პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან
ღამის 12 საათამდე
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და ნასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მანეთი და 30 კაპ.; განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 ს. სტამბის ტელეფ. 13—80 [illegible] 5—43.

ხუთშაბათი, 3 თებერვალი 1927 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 26 (1781)

დ ღ ი უ რ ი

— ამხ. კამენევი ჩავიდა რომში
— ამხ. კოპპი დაინიშნა საბ.კავშ. სრულუფ. წარმომად. შვეციაში
— ნორვეგიის მუშათა და ს.-დ. პარტიის გაერთიანებული ყრილობის დახურვა.
— ბრიუსელში მოწვეულია კოლონიალური ქვეყნების ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის კონგრესი.
— იტალიელმა ფაშისტებმა გადალახეს ავსტრიის საზღვარი.
— რომში გაიხსნა უზენაესი ფაშისტური ტრიბუნალი.
— ნორვეგიაში დაარსდა ახალი მუშათა პარტია.
— გერმანიის კომპარტია ბერლინში აწყობს საპროტესტო მიტინგებს.

„კომუნისტი"
გრძელდება ხელის მოწერა
თებერვლისათვის
კანტორა-რუსთაველის პრ. № 34, ტელეფ. 8—81

შესრულების შემოწმება

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

ეხლანდელი დროის ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ჩვენს სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა აპარატებს რიგიანად არა აქვთ დაყენებული შესრულების შემოწმება.

გარედან თუ შეხედავ საქმეს, აპარატებში, თითქოს არსებობენ აღრიცხვის, სტატისტიკის და კონტროლის უჯრედები; სინამდვილეში კი არ არსებობს მიღებულ გადაწყვეტილებათა საკმაო დასაბუთება, რადგან არ სწარმოებს იმის საკმაო აღრიცხვა, რაც გაკეთებულია გამოტანილ გადაწყვეტილებათა და წინედ მიღებულ დირექტივების განსახორციელებლად.

ამ მტკიცების სისწორე ჩვენ შეგვიძლია შევამოწმოთ ჩვენი პოლიტიკის სერიოზულ საკითხებზე და კიდევ უფრო მეტად ჩვენს დაწესებულებათა და ორგანიზაციების ცხოვრების ფაქტებზე.

ცალკე ფაქტების მასშტაბით შეგვიძლია დავასახელოთ გამოცდილების უყურადღებოდ დატოვება, ხელმძღვანელთა შეცვლის და დაუსრულებელ რეორგანიზაციების დროს. წინანდელი გამოცდილების გამოყენება, თითქმის უფლებათა და შესაძლებლობათა შეზღუდვათაც კი ითვლება.

თუ მცირე ფაქტებიდან, რომლებიც ერთად აღებულნი სერიოზულ ბოროტებას წარმოადგენენ, გადავალთ დიდ პოლიტიკურ ამოცანების გატარებაზე, აქ თავის თავად იგულისხმება, არ არის და არც შეიძლება იყოს გამოცდილებისა, მემკვიდრეობისა და შემოწმებისადმი უყურადღებო დამოკიდებულება. ამ საკითხებზეა მიქცეული პარტიის, პრესის, კონტროლის და მთავრობის ორგანოების ყურადღება და ამ გზითვე იქმნება საპარატო და საზოგადოებრივი კონტროლის ელემენტები.

მაგრამ დიდი საკითხების მხრივაც ვერ ვინუგეშებთ თავს. ავიღოთ აქტუალური საკითხი—საცალო ფასების მოძრაობა. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების დირექტივები სავსებით ნათელი და გარკვეულია, — რაც არ უნდა დაჯდეს, დაკლებულ იქნას ფასები და განმტკიცდეს სახელმწიფო მრეწველობისა და კოოპერაციის კავშირი მასიურ მომხმარებელთან — მუშებთან და გლეხებთან.

შესრულებულია თუ არა ეს დირექტივა? ძალიან სუსტად. მუშებმა და გლეხებმა მხოლოდ ერთ-ორ საქონელზე იგრძნეს პატარა შემსუბუქება, საერთოდ კი თითქმის არ შეცვლილა საჭირო საქონლის შენაწყობის ღირებულება.

პარტიის დირექტივამ მოგვცა სავსებით გარკვეული მითითებანი ფასების დაკლებაზე. პარტიის პოლიტიკა მთელი 100 პროცენტით სწორი და საქმიანი იყო. მაგრამ, ეს დირექტივა არ იქნა შესრულებული, და პარტიის საქმიანი მითითებები — გამოყენებული.

შესრულების შემოწმება, რომ სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო, პარტიის დირექტივის განხორციელების პროცესში უკვე დიდი ხანია უნდა გამოაშკარავებულიყო საცალო ფასების განმტკიცების, ან და, უფრო უარესი ამ ფასების აწევის ნამდვილი მიზეზები.

მაგრამ გადიოდა თვეები, ხოლო საქმე ადგილიდან არ იძვროდა, და არც სავაჭრო ორგანიზაციების და არც ხელმძღვანელ ორგანოების მხრივ არ იყო ნიშნები, არ იყო კონკრეტული წინადადებები დირექტივების განხორციელების გარშემო. პირიქით, დაიწყეს, თავი იჩინეს დირექტივებისაგან გადახრის საშიშ ნიშნებმა, ახალ ახსნა-განმარტებათა ძიებამ და სხ.

საჭირო გახდა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ჩარევა, რომ სავაჭრო ორგანიზაციები დაბრუნებულიყვნენ პარტიის პირდაპირ და ნათელ დირექტივების განხორციელების გზაზე.

თუ ავიღებთ სხვა საკითხს, მაგალითად, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლებას, აქაც შეიძლება შევამჩნიოთ დირექტივებისაგან გადახრის ფაქტები.

გარეშე კაპიტალისტურ მსოფლიოსთან უკიდურესად რთული დამოკიდებულების პირობებში და ჩვენს კავშირის შიგნით უკიდურესად რთული კლასიური ურთიერთ - დამოკიდებულების პირობებში პარტიის პოლიტიკის დირექტივების სწორი შესრულება უნდა გადაიქცეს მთელი ჩვენი მშენებლობის ქვაკუთხედად. აქ საჭიროა დირექტივების არა ფორმალური მიღება, არამედ მისი დაკვირვებულად გამოყენება მუშაობის ამა თუ იმ კონკრეტიულ პირობებში და, ამავე დროს, დავალებათა შესრულების ნამდვილი და სასტიკი შემოწმება.

ახალ ნორმების წამოყენება შეიძლება მხოლოდ გამოცდილების გათვალისწინების და წინად მიცემულ დირექტივების შესრულების შემოწმების ნიადაგზე.

მშენებლობის დღევანდელ ხანაში ჩვენ მრავალ წლისთვის ვყრით საძირკველს. ჩვენ გადავდივართ უდიდეს მშენებლობაზე, რომელიც, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით, წარმოადგენს სოციალიზმში შესავალ კარს. გაუფრთხილებელ ნაბიჯს და ახალ იდეების დაჩქარებით გატარებას ასეთ პირობებში შეუძლია უდიდესი მატერიალური პოლიტიკური ვნების მოტანა. ამიტომ ამჟამად ჩვენთვის უაღრესად საჭიროა შესრულების, როგორც ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი აბსოლიუტური პირობის, შემოწმება.

შესრულების შემოწმება უნდა გადავაქციოთ საათის სისწორით მომუშავე მექანიზმისებურ სისტემად. ჩვენი აპარატის ორგანიზაციული ფორმები, აპარატისა და თვითეული ცალკე მუშაკის სამუშაო დღის განწესრიგება უნდა შეიცავდეს თვითშემოწმების ელემენტებს, როგორც აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

და ყველა ამას ფხიზელ კონტროლს უნდა უწევდენ მასები, რომლებიც ამავე დროს შესრულების შემოწმებაში უნდა ღებულობდენ არა ფორმალურ, არამედ ნამდვილ, ცოცხალ მონაწილეობას.

გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ ნიადაგზე მივიღებთ სწორი და ნაყოფიერი მუშაობის გარანტიას ჩვენ მშენებლობის ყველა დარგში.

მოსკოვი, 2 თებერვალი.

ბრძოლა „მაჩანჩალობასთან"

ავანგარდის როლი თავისი კლასის მიმართ—**ხელმძღვანელობის გაწევა და არა კუდში ჩანჩალი**—უაღრესად პრაქტიკულ საკითხს წარმოადგენს. ის ყოველდღე კონკრეტულად სდგას უჯრედის წინაშე, თვითეულ ცალკე კომუნისტის წინაშე. ის ყოველდღიურად სდგას აგრეთვე ჩვენი სასოფლო ორგანიზაციების წინაშე—**პროლეტარული ხაზის გატარება გლეხობას შორის და არა გლეხობის განწყობილების კუდში ჩანჩალი.**

სოფლად ამოცანა უფრო ძნელია, ვინაიდან კომუნისტური შემადგენლობა სოფელში გაცილებით უფრო სუსტია, ვინემ ქალაქში. ჩვენ არ ვაქცევთ საკმაო ყურადღებას საკითხს პარტორგანიზაციების შემადგენლობის ზრდის და მოწესრიგების შესახებ. როცა საარჩევნო კამპანიის პერიოდში სოფლად ათეულ კომუნისტებს ერთმევათ ხმის მიცემის უფლება საარჩევნო უფლებათა კანონის საფუძველზე (სომხეთში ასეთ „უბედურ" შემთხვევას ადგილი ჰქონდა სომხეთის ცაკის წევრის მიმართაც კი)—ეს მოწმობს იმას, რომ საჭიროა უფრო სერიოზულად მოვეპყროთ საკითხს პარტიაში მიღების შესახებ ჩვენს სასოფლო ორგანიზაციებში.

საკითხის ჩვეულებრივ დაყენებას „კუდში ჩანჩალის" შესახებ ჩვენში ცალმხრივად უყურებენ. საკმაოდ არ ითვალისწინებენ იმ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ „მაჩანჩალური" განწყობილების არსებობას ამა თუ იმ შემთხვევაში.

რა არის „მაჩანჩალობა"? ეს ისეთი მოვლენაა, როცა პარტორგანიზაცია, პარტუჯრედს ან პარტიის ცალკე წევრს არ აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ჩამორჩენილ და ცეხურ განწყობილებებს და კუდში მისდევს მასას. ბოლშევიკურ ცეცხლში ჯერ კიდევ არ არის გამობრძმედილი პარტიის წევრების და კანდიდატების მთელი მასა (უკანასკნელ წლებში პარტიის წევრთა და კანდიდატთა რიცხვი ძლიერ გაიზარდა). იქ, სადაც ადგილი აქვს „მაჩანჩალობას", ხშირად მეტად სუსტია პარტიული და პროფესიონალური მუშაობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ხელმძღვანელი სამეურნეო, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციები არ აწვდიან ადგილებს საკმაო ცნობებს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც ისინი ატარებენ ფაბრიკებში ან ქარხნებში.

არის შემთხვევები, როცა კომუნისტები შეგნებულად მაჩანჩალებენ კუდში და ამით ბოროტმოქმედებას სჩადიან პარტიის წინაშე. მაგალითად: წარმოებაში ტარდება ესა თუ ის ღონისძიება. ის განხილულ იქნა უჯრედში. უჯრედმა მიიღო გადაწყვეტილება. საერთო კრებაზე ამ საკითხის განხილვის დროს კომუნისტები, ემორჩილებიან რა უპარტიოთა განწყობილებებს, გამოდიან უჯრედის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

მეორე შემთხვევა. სამეურნეო მუშაკი ატარებს ამა თუ იმ ღონისძიებას პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციის დაუკითხავად. პარტუჯრედს არ განუხილავს ეს საკითხი. კომუნისტებმა არ იციან როგორი უპასუხონ, როცა მათ ამ ღონისძიების შესახებ ეკითხებიან უპარტიოები. თვით კომუნისტებს ეჭვი ეპარებათ ამ ღონისძიებების მიზანშეწონილობაში. და თუ ეს ღონისძიება მართლაც აუცილებელია, სასარგებლო და რაციონალურია, კომუნისტები ამ შემთხვევაში კუდში მიჩანჩალებენ და ეს არის არა მათი, არამედ სამეურნეო მუშაკის ბრალი.

როგორ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა „მაჩანჩალობის" წინააღმდეგ?

პირველ ყოვლისა, წინანდებურად საჭიროა მტკიცე და ენერგიული მუშაობა მასების ნამდვილი ბოლშევიკური აღზრდისათვის. ბოლშევიზმი უნდა ვასწავლოთ არა მარტო წრეებში და სკოლებში, არამედ პრაქტიკაშიაც.

„მაჩანჩალობის" წინააღმდეგ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს პარტიის წევრების მიერ წარმოების და მთელი საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვის გზით, უმაღლესი პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა გარჩევის გზით. ფაბრიკასა და ქარხანაში ღონისძიების გატარება უჯრედში წინასწარ განხილვის გარეშე, — ეს არის უჯრედის, ან მისი ცალკე წევრების დაყენება „მაჩანჩალობის" გზაზე.

ზემოთქმულიდან სრულებითაც არ უნდა გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ ბიუროკრატიულ გადამახინჯებებთან, მიზანშეუწონელ და საზიანო ღონისძიებებთან ბრძოლის ინიციატივა კომუნისტებმა უპარტიოებს უნდა გადასცენ. არის შემთხვევები, როცა კომუნისტებს ეშინიათ გამოსვლა და საკითხის დასმა: „მაჩანჩალობა" არ დაგვაბრალონო. პირიქით, კომუნისტებმა აქ თავის ხელში უნდა აიღონ ინიციატივა. ისინი სისტემატიურათ და დროულად უნდა აყენებდენ საკითხებს ფაბქარხკომის ფრაქციის წინაშე, უჯრედის ბიუროს და კომუნისტ სამეურნეო მუშაკების წინაშე.

კომუნისტებმა ყოველთვის უნდა იცოდენ, თუ როგორია უპარტიო მუშების განწყობილება; ისინი ყურადღებით უნდა ეპყრობოდენ მუშების მოთხოვნილებებს, თავის დროზე უნდა აყენებდენ საკითხებს, ყოველთვის წინ უნდა იყვნენ, თუ საჭიროება მოითხოვს, არ უნდა შეუშინდენ საერთო განწყობილების წინააღმდეგ წასვლას. მეორეს მხრით იმავე კომუნისტებმა თავის თავზე უნდა აიღონ ბრძოლის ინიციატივა ყოველგვარ უწესოების და ბიუროკრატიულ გადამახინჯების წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს წარმოებებში.

იგივე უნდა ითქვას სასოფლო ორგანიზაციების შესახებ. საარჩევნო კამპანიის პრაქტიკიდან სჩანს, რომ ზოგიერთ ადგილებში არსებობს „მაჩანჩალური" განწყობილება, რაშიაც ბრალი მიუძღვის არა კომუნისტებს ან ცალკე პარტუჯრედებს, არამედ ხელმძღვანელ ორგანიზაციებს, რომლებიც დაგვიანებით გზავნიან სათანადო დირექტივებს ან სრულებით არ გზავნიან მათ. საკითხი „მაჩანჩალურ" განწყობილების შესახებ მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, ის ყოველთვის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს.

რუბენ.

ჩაის კულტურის საქმე ჩვენში*)

1924 წელს საქ. კ. პ. ცეკას მაისის პლენუმის დადგენილებამ, შემდეგ. საქართ. მიწადმოქმედების სახკომის ინიციატივით საკითხის საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებში განხილვამ და. დასასრულ, შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილებამ 6 დეკემბრის თარიღით ჩაის სააქციო საზოგადოების მოწყობის შესახებ, ერთხელ და საბოლოოდ მკვდარი წერტილიდან დასძრეს ჩაის კულტურის განვითარების საკითხი საქართველოში. 1925—და 26—წლებში სწარმოებდა გულმოდგინე მუშაობა ამ საზოგადოების მოსაწყობად და ამავე წლებში გადაიდგა პირველი ნაბიჯი ამ საზოგადოების შესაქმნელად. ახალ 1927 წელს საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სპეციალური კომისიის დადგენილებათა გამო იქნება ფართო შესაძლებლობა ჩაის კულტურის ჩქარი განვითარებისათვის, რაც ბუნებრივათ რთულ ხასიათს აძლევს საზოგადოების მუშაობას.

გასული წლის ოქტომბერში საზ. „საქართველოს ჩაის" აქციონერთა კრებამ დაამტკიცა გლეხურ მეურნეობაში ჩაის პლანტაციების გაფართოების ხუთ წლიანი გეგმა, რომლის მიხედვით უნდა გაშენდეს 6160—დესეტინა (ამჟამად არსებულ ჩაის პლანტაციებთან ერთად) ისე რომ 1927 წელს მიემატოს 5[illegible]0 დესეტინა, 28—წელს—750 დესეტ., 29 წელს—100, 30 წელს—1250, 31 წელს—15[illegible]; აქედან აჭარისტანში უნდა გაშენდეს 500—დესეტინა, ზუგდიდის და სამურზაყანოს მაზრებში 1500 და ოზურგეთის მაზრაში 3000. ამჟამად სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი" აწარმოებს ამ გეგმის ხელახალ განხილვას მისი გაფართოების მიზნით. შრომისა და თავდაცვის საბჭოს სპეციალური კომისიის მიერ ჩაის პლანტაციების გამრავლების ხუთ წლიანი გეგმა გადიდებულია 20000-დესეტინამდე. ამგვარათ განვითარების ტემპი ოთხჯერ ძლიერდება.

საზოგადოების გეგმის პლანტაციების ზრდის მხოლოდ 5000—დესეტინით განსაზღვრის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ერთი გარემოება—თესლის უქონლობა.

ჩაის კულტურისათვის შესაფერ და გამოსადეგ არეს სივრცე ამ კულტურის საჭიროებით დამაკმაყოფილებელ ბუნებრივ ისტორიული პირობებით, თუნდაც ჩაის რაიონების ვარაუდით მოხაზულ ქარტის ფარგლებში, რამოდენიმეჯერ აღემატება შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ აღნიშნულ და განსაზღვრულ არეს.

ამჟამად ეს არე ან სავსებით ცარიელია და დაფარულია გვიმრებით, ან ითესება სიმიდით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც იმდენად მცირე მოსავალს იძლევა. რომ ნამდვილად იგი წარმოადგენს მკვდარ მიწის ფონდს. დასავლეთ საქართველოში არსებულ მიწის მწვავე სივიწროვის და აგრეთვე გლეხურ მეურნეობაში მუშა ხელის სიჭარბის არსებობის პირობებში ამ არეს გამოყენების აუცილებლობა, გლეხური მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების მიზნით, სავსებით აშკარაა.

პირველ წელსვე გლეხების მიერ მოყვანილ ჩაის მწვანე ფოთლის შეძენის სწორმა ორგანიზაციამ, ოზურგეთის მაზრაში ჩაის ფაბრიკის მოწყობამ გლეხები დაარწმუნა იმაში, რომ ჩაის ფოთლის ხელსაყრელ ფასებში გასაღება შესაძლებელია და, ამიტომაც გლეხობის მოთხოვნილებამ ჩის თესლზე ბევრად გადააჭარბა „საქართველოს ჩაის" გეგმებსა და ვარაუდს.

ამგვარად, ჩვენ ხელთ გვაქვს ყველა ობიექტიური პირობები ჩაის სანერგეების ჩქარი განვითარებისათვის. არა გვაქვს მხოლოდ თესლი. მაგრამ განა შრომისა და თავდაცვის საჭოს კომისიის დადგენილება არ გვაძლევს უფლებას გამოვძებნოთ და შევიძინოთ თესლი, თუნდაც მაღალ ფასებში?

უნდა ვიფიქროთ, ამ დადგენილებამ გაითვალისწინა არა მარტო ჩაის კულტურის განვითარების განუზომელი მნიშვნელობა შავი ზღვის ნაპირების მეტად ღარიბი რაიონების ეკონომიკისათვის, არამედ იმპორტის შემცირების შესაძლებლობა და მისი უდიდესი მნიშვნელობაც, თუ ჩვენ გვექნება ჩვენი,—საბჭოთა ჩაი. ეს მოსაზრებები უნდა ვიფიქროთ უფრო მნიშვნელოვანი არიან, ვიდრე მოსაზრებანი თესლის შეძენაზე თანხების დაზოგვის შესახებ. ან რა დაზოგვა და მომჭირნეობა იქნება, თუ მიწის სიდიდის სივრცე და თავისუფალი მუშა ხელი. სრულიად გამოუყენებელი დარჩება და შემოტანილი ჩაისთვის კი მოგვიხდება ვალიუტის ზომაზე მეტად გაღება?

ჩაის კულტურის ზრდის ტემპი კომისიის ზემოხსენებულ დადგენილების გამო, უეჭველად შეიცვლება, გაძლიერდება და მაშასადამე საზოგადოების მუშაობაც უფრო ინტენსიურად წარიმართება.

მაგრამ ამავე დროს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება ჩაის სამმართველოს გაუქმებისა და მთელი ჩაის საქმის „ცენტროსოიუზი"-სთვის გადაცემის შესახებ ,საზ. „საქართველოს ჩაის" წინაშე აყენებს მისი ნორმალური მუშაობისათვის მეტად მნიშვნელოვანს საკითხს—ორგანიზაციულ საკითხს.

გარეგნულად თითქოს არაფერი არ შეცვლილა: „ცენტროსოიუზ"-მა ჩაის სამმართველოს აქტივთან ერთად მიიღო მისი ვალდებულებანი. და მანვე უნდა დაიჭიროს მისი ადგილი სააქციო საზოგადოება „საქართველოს—ჩაი"-ში, მაგრამ ნამდვილად საქმე ასე არ არის და არც უნდა იყოს.

თუმცა ჩაის სამმართველო არ ყოფილა წარმოებითი ორგანო, იგი მაინც ექვემდებარებოდა ს. მ. უ. საბჭოს, რომლისათვისაც წარმოების ინტერესები არ შეიძლება უცხო ყოფილიყო.

„ცენტროსოიუზი" მარტო ვაჭრობით და ჩაის გასაღებით არის დაინტერესებული. რომ ეს ასეა, აშკარაა იქიდან, რომ, როგორც სპეციალურ კომისიების, ისე „ცენტროსოიუზი"-ს გამგეობის დადგენილებებში კრინტიც არ არის დაძრული ჩაის კულტურისა და წარმოების შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებებში გარკვევით და ნათლად არის ნათქვამი, რომ ჩაის საქმის „ცენტროსოიუზი"-ს ხელში გადასვლამ უნდა გააძლიეროს და არამც და არამც არ უნდა შეასუსტოს ყურადღება ჩაის წარმოებისადმი ამიერ-კავკასიაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ „ცენტროსოიუზი" ამ შეცდომას გამოასწორებს უახლოეს ხანში, მაგრამ ჩვენ არ შეიძლება არ გვაინტერესებდეს ფორმები, რომელშიდაც უნდა გამოიხატოს, „ცენტროსოიუზი"-ს მონაწილეობა საქართველოს ჩაის კულტურის განვითარების საქმეში.

ჩაის სამმართველოს მონაწილეობა მიწადმოქ. სახკომსა და სახ. სამ. ბანკთან ერთად ჩაის სააქციო საზოგადოებაში მიზნად ისახავდა პირველ ხანებში გასაღების წესიერ ორგანიზაციას მანამდე, ვიდრე მიღწეული არ იქნებოდა გასაზიდი ჩაის ღირსების გაუმჯობესება.

თუ ჩაის სამმართველოსთვის, როგორც ს. მ. უ. ს. ორგანოსათვის, საჭირო იყო უშუალო მონაწილეობის მიღება საზოგადოების საწარმოო მუშაობაში და ამ მონაწილეობამ ქართული ჩაის ბუნებრივი თვისებების გამოსარკვევად ამხ. სუგაკის ხელმძღვანელობით დიდი სამსახური გაუწია საზოგადოებას, „ცენტროსოიუზი"-სათვის, როგორც მხოლოდ მოვაჭრე ორგანიზაციისათვის, ასეთი მონაწილეობა არა თუ სავალდებულოა, საჭიროც არაა.

საქონლის ღირსება, რომელიც არ შეიძლება, რასაკვირველია, არ აინტერესებდეს „ცენტროსოიუზი"-ს. მისთვის შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს სპეციალური ხელშეკრულების განსაკუთრებული მუხლებით.

ამიერ-კავკასიისათვის ჩაის მიწოდების საკითხში ა. კ. სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრის გამგეობამ „ცენტროსოიუზ"-ს წაუყენა მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ მთელი ჩაის საქმე ამიერკავკასიაში მას გადაეცეს. ამის მსგავსად „ცენტროსოიუზი"-ს უფლებები და ინტერესები საქართველოს ჩაის წარმოების საქმეში უნდა გადაეცეს კოოპერაციის ადგილობრივ ცენტრის იმ პირობით, რომ სავსებით დაცული იქნეს ეს ინტერესები.

სასოფლო-სამეურნეო ბანკების, როგორც ისეთი ორგანოების, მონაწილეობა, რომელნიც დაინტერესებული არიან მათ მიერ გლეხთა მეურნეობებზე გაცემულ სპეციალურ კრედიტების წესიერი გამოყენებით, (თუ საჭირო იქნება მათი აქციონერათ შესვლა საზოგადოებაში), და აგრეთვე მათი კონტროლის კრედიტების გამოყენებაზე განხორციელებული უნდა იქნეს, მხოლოდ ადგილობრივი ბანკის საშუალებით.

საბჭოთა რუსეთის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მონაწილეობა, რომელიც იმ თავითვე ცხოველ ინტერესსა და აქტივობას იჩენდა საზოგადოების მოწყობის საქმეში, მეტად მნიშვნელოვანია და საჭირო იმდენად, რამდენადაც ჩაის კულტურის გავრცელება არ განისაზღვრება საქართველოს ფარგლებით, საბჭოთა რუსეთის შავი ზღვის ნაპირებზე და აგრეთვე აფხაზეთის ჩრდილოეთ მაზრებში ჩაის კულტურის გავრცელების საკითხი რთული და ნაკლებ შესწავლილი საკითხია, არა იმდენად ნიადაგისა და კლიმატიური პირობების თვალსაზრისით, რამდენად რენტაბელობის მიხედვით ჩაის კონკურენციის შესაძლებლობის თვალსაზრისით ისეთ კულტურებთან, როგორიც არის მაგ. თამბაქო. ამ საკითხის შესწავლას საზოგადოება დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს.

ცხადია, ჩაის კულტურის სივრცე საქართველოში, რაც არ უნდა გაფართოვდეს იგი, ვერ დააკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის ბაზრების საჭიროებას. განსაკუთრებით, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ სააქციო საზოგადოების მიერ ჩაის სამმართველოს სპეციალისტების მონაწილეობით მოხდენილმა ცდებმა გამოარკვიეს მწვანე ჩაის ფაბრიკაციის შესაძლებლობა საქართველოში.

საზოგადოების სწორი ორგანიზაციის საკითხი არის საკითხი მისი მუშაობის წარმატებისა მომავალში და საზოგადოების მუშაობაც საქმის განვითარების ისეთი ტემპით, რომელსაც მას უკარნახებენ ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი სადირექტივო ორგანოები და. მეორე მხრივ,—ჩაის რაიონების გლეხთა მეურნეობის საჭიროებანი, თავისი პასუხისმგებლობის მიხედვით იქნება იმდენად მნიშვნელოვანი. რამდენადაც ნაყოფიერი თავისი შედეგების მიხედვით.

ვ. კანდელაკი.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

იაპონია და ამერიკა ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში

კელლოგი აუცილებლად სთვლის იაპონია-ამერიკის თანამშრომლობას ჩინეთის საკითხში

მარქსის ახალი მთავრობის შემადგენლობა დიდ შიშს იწვევს ფრანგ მრეწველთა წრეებში

სამხრეთ - სლავიაში შესდგა ახალი მთავრობა უზუნოვიჩის თავმჯდომარეობით

ბრძოლა ჩინეთში

მუკდენის ჯარების გადაჯგუფება

პეკინი, 1 თებერვალი. პრესა ადასტურებს ცნობას მუკდენის ჯარების ზოგიერთი ნაწილების გადაყვანის შესახებ ხენანის პროვინციაში.

ჩჟან-სუე-ლიანს სუი-იუ-ანიდან გადაჰყავს ერთი კორპუსი სამხრეთისკენ გადაჯგუფებულ მუკდენის რაზმების შესაცვლელად.

უ-პეი-ფუ ჩჟან-ძო-ლინისათვის გაგზავნილ დეპეშაში ამტკიცებს, თითქოს, მან შესძლო მის ჯარებში დაწყებულ აჯანყების ჩაქრობა. (ადს).

ინგლისის ჰაეროპლანები

ლონდონი, 1 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იტყობინება: **პორტსმუტიდან ჩინეთისაკენ წავიდა ავიო-გემი, დატვირთული 20 ჰაეროპლანით.** ამრიგად იმ ჰაეროპლანთა რაოდენობა. რომელნიც თავის განკარგულებაში მოეპოება ინგლისის ხელისუფლებას ჩინეთის წყლებში, 80-დე აღწევს. გუშინ ინდოეთიდან ჩინეთში გაიგზავნა ინგლისელ და ინდოელ ჯარების ახალი ტრანსპორტი. (ადს).

ამერიკელების ევაკუაცია

ვაშინგტონი, 1 თებერვალი. საზღვაო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო - საზღვაო ძალების სარდლის ცნობა, რომ ჩრდილოეთ - ამერიკის **შეერთებული შტატების კონსულებმა მიიღეს ინსტრუქცია ამერიკელ მოქალაქეების ევაკუაციის შესახებ.** იტყობინებიან, რომ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების ბევრი მოქალაქე სტოვებს ჩინეთის შუა პროვინციებს. (ადს).

მოლაპარაკების შეწყვეტა

ვაშინგტონი, 2 თებერვალი. „ასოშიეტედ პრესი" ხანკოუდან იუწყება, რომ ეროვნული მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ევგენი ჩენმა შესწყვიტა მოლაპარაკება ინგლისის მისიის მრჩეველთან პეკინში ომალთან და უარი განაცხადა შეთანხმების დადებაზე იმის გამო, რომ ინგლისის ჯარების კონცენტრაცია ხდება შანხაიში. (ადს).

ინგლის - იაპონიის გზები შორდებიან ერთმანეთს

ტოკიო, 1 თებერვალ. კენსიკაის ორგანო „ხოცი", რომელიც ეხება ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას, აცხადებს, რომ იმ დროს, როდესაც ინგლისის პოლიტიკა არღვევს უცხო სახელმწიფოთა თანამშრომლობას ჩინეთში, შეერთებული შტატები ატარებენ მშვიდობიან პოლიტიკას.

გაზეთი იუწყება, რომ კელოგისა და იაპონიის ელჩის მაცუდაირას შეხვედრის შემდეგ, ჩ.-ა. შ. შ. მთავრობამ დიდი უკმაყოფილება გამოსთქვა ინგლისის პოლიტიკით.

კელოგმა განაცხადა, რომ ის აუცილებელ საჭიროებათ სთვლის იაპონია-ამერიკის თანამშრომლობას ჩინეთთან მოლაპარაკების წარმოების დროს.

დასასრულ „ხოცი" აღნიშნავს, რომ იაპონიასა და ინგლისის პოლიტიკის გზები თანდათან შორდებიან ერთი მეორეს. იმ დროს, როდესაც ძლიერდება იაპონიის დიპლომატიური კავშირი შეერთებულ შტატებთან. (ადს).



ო. მალლი
ინგლისის საელჩოს მრჩეველი პეკინში

ვაშინგტონი ნილაბ ქვეშ

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტ" მოწინავე წერილში ეხება შეერთებული შტატების პოლიტიკას და სწერს: „ვაშინგტონის განცხადება, რომ შეერთებული შტატები არ მოქმედობს ინგლისთან შეთანხმებულად ჩინეთში, ეს არის მხოლოდ დიპლომატიური მანევრი, ვინაიდან თუ უცხოელებს თავს დაესხენ შანხაიში ამერიკა უეჭველად შეუერთდება ინგლისს და მონაწილეობას მიიღებს შანხაის დაცვაში. (ადს).

მოძრაობა ინგლისელების წინააღმდეგ იზრდება

პეკინი, 1 თებერვალი. ჩინეთის პრესა იტყობინება, რომ მთელს ჩინეთს მოედო ინგლისელების საწინააღმდეგო მოძრაობა, რაც გაძლიერდა იმ გარემოებამ, რომ ინგლისელები ახალ სამხედრო ძალებს გზავნიან ჩინეთში. ხანჯოუს სავაჭრო პალატამ და ჩუ-კიანგის ბევრმა სავაჭრო და სხვა ორგანიზაციამ საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს გარეშე საქმეთა სამინისტროს და მოითხოვეს სასწრაფო ზომების მიღება. შანხაიში, ინდოეთის ჯარების ჩასვლის გამო, განსაკუთრებით გაძლიერდა აგიტაცია ინგლისელების წინააღმდეგ. ბევრმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვენ ინდოელთა ჯარების გაყვანას.

ჩჟან-ძო-ლინი შეურაცყოფილია

პეკინი, 1 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ ჩჟან-ძო-ლინმა ზოგიერთ უცხოელ კორესპონდენტთან საუბარში თავისი აღშფოთება გამოსთქვა იმის გამო, რომ „ანტიბოლშევიკური" სახელმწიფოები არასაკმაო დახმარებას უწევენ მას და არა საკმაო თანაგრძნობას იჩენენ მისდამი; კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მას თანხები ესაჭიროება სამხრეთის ძალების საწინააღმდეგო კამპანიის საწარმოებლად. ჩჟან-ძო-ლინმა დასძინა აგრეთვე, რომ მან დაჰკარგა პრესტიჟი ევგენი ჩენთან შედარებით, რომელსაც დიდ ყურადღებას აქცევენ უცხოეთის სახელმწიფოები.

ესპანეთიც არ რჩება უკან

პარიზი, 1 თებერვალი. პრიმო-დე-რივერამ განაცხადა, რომ ესპანეთი დაიცავს აბსოლიუტურ ნეიტრალიტეტს.

„ერთი კრეისერი,—განაცხადა პრიმო-დე-რივერამ,—გაგზავნილია ჩინეთში იქ მცხოვრებ ჩვენიანების დასაცავად და, აგრეთვე, იმიტომ, რომ „ესპანეთის დროშაც უნდა ფრიალებდეს იქ, სადაც ფრიალებს სხვა სახელმწიფოთა დროშა". (ადს).

გერმანიის პროფკავშირების გამემარცხენება

ბერლინი, 1 თებერვალი. გერმანიის პროფკავშირების გამემარცხენებას მოწმობს არა მარტო პროფკავშირთა სხვადასხვა ორგანოების არჩევნების შედეგები, არამედ აგრეთვე მუშათა კრებების დადგენილებებიც.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრებამ ესლინგერში გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ეხლა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის და შემდეგში 42 საათის სამუშაო კვირისათვის.

რეზოლიუცია წინადადებას აძლევს კომპარტიას, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და სრულიად გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანებას არ დაკმაყოფილდენ პარლამენტში მუშაობით და სათავეში ჩაუდგენ პარლამენტის გარეშე ბრძოლას 8 საათის სამუშაო დღისათვის.

დუისბურგში და ჰამბორნში მელითონეების კრება მიღებულ რეზოლიუციაში აღშფოთებით აღნიშნავს პროფკავშირებიდან წევრების მასიური გამორიცხვის ფაქტს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროფკავშირებიდან განზრახ ერეკებიან ოპოზიციონურ ელემენტებს, რომ არ აწყენინონ მრეწველ ზილვერბერგს, რომელიც [illegible] სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობას. (ადს).

იმპერიალისტები იარაღდებიან

ვენა, 1 თებერვალი. ევროპის ქვეყნებში შეუსუსტებლად გრძელდება მზადება ომისათვის.

სამხრეთ-სლავიის პარლამენტში სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ გაზაფხულზე ამუშავებული იქნებიან ახალი სამხედრო ქარხნები, რომლებიც დაამზადებენ ზარბაზნებს, ყუმბარებს, თოფებს და აგრეთვე 200 ჰაეროპლანს წლიურად.

ზოგიერთი სამხედრო ქარხნები, რომელნიც საზღვრების მახლობლად მდებარეობენ, გადატანილ იქნენ საზღვრის დაშორებით ცენტრალურ ადგილებში. სანაპირო ჯარების რაოდენობა გადიდებულია. (ადს).

მენშევიკურ ჭორების წინააღმდეგ

ბერლინი, 1 თებერვალი. 4 თებერვალს კომპარტია ბერლინში აწყობს ხუთ ღია კრებას საბჭოთა კავშირის მიმართ ინტერვენციონალისტურ ზრახვების და სოციალ-დემოკრატების მიერ „საბჭოთა გრანატების" შესახებ გავრცელებულ ჭორების წინააღმდეგ. (ადს).

კომფრაქციის შეკითხვა რეიხსტაგში

ბერლინი, 1 თებერვალი. რეიხსტაგის კომუნისტურმა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა, ნამდვილად [illegible] თუ არა გერმანიის მთავრობა ხელშეკრულების დადებას ვატიკანთან. (ადს).

ფრანგ კაპიტალისტების შიში

პარიზი, 1 თებერვალი. ფინანსიურ წრეებთან დაახლოვებულ სააგენტო „კაპიტალი"-ს ბიულეტენი სწერს:

„გერმანიის ახალი მთავრობა ყველაზე რეაქციონური მთავრობაა ზავის ჩამოგდების შემდეგ. ახალი მთავრობის შედგენა ჩვენში შიშს იწვევს". (ადს).

იაპონიის პრესა „იზვესტია"-ს შესახებ

ტოკიო. 2 თებერვალი. იაპონიის პრესა, რომელმაც ფართოდ გამოაქვეყნა „იზვესტია"-ს კომენტარიები შიდეხარასა და ვაკაცუკის განცხადებათა გამო. გუშინ გამოაქვეყნა საუბარი საბჭოთა კავშირის საქმეების რწმუნებულთან ტოკიოში ბესედოვსკისთან—ეროვნულ მოძრაობის შესახებ ჩინეთში და იაპონია საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. (ადს).

იტალია-ავსტრიის საზღვარზე

ფაშისტების დემონსტრაცია

ვენა, 1 თებერვალი. ავსტრიის სააგენტო იტყობინება: „50 იტალიელმა ფაშისტმა ორი ოფიცერის მეთაურობით 29 იანვარს ბრეინეროვის გადასასვლელთან გადალახა ავსტრიის საზღვარი და ავსტრიის ტერიტორიაზე გაიარა 100 ნაბიჯი. ავსტრიის ჟანდარმერიის პატრულების დანახვისთანავე ფაშისტები დაუბრუნდენ იტალიის ტერიტორიას. იტალიის სანაპირო საგუშაგოს კომენდანტმა ავსტრიის საგუშაგოს უფროსს ბოდიში მოუხადა ამ ინციდენტის გამო. (ადს).

გერმანიის განიარაღების გარშემო

საფრანგეთის პრესის აზრი

პარიზი, 1 თებერვალი. „ტან" ეხება შეთანხმებას გერმანიის განიარაღების საკითხის შესახებ და სწერს: „მხოლოდ სრული ტექსტის შესწავლით შეგვეძლება გამოვარკვიოთ იმ შეთანხმების შინაარსი და ტეხნიკური მნიშვნელობა. რომელიც დაიდო მოკავშირეებსა და გერმანიის შორის გერმანიის სიმაგრეების და იარაღის დამზადების საკითხში მოლაპარაკებს სიძნელე მოწმობს, რომ გერმანია თავისი ჩხირკედელაობის მეთოდებით ისეთივე რჩება, როგორიც იყო. გარდა ამისა, მოლაპარაკების სიძნელე მოწმობს, რომ გერმანიაში საქმე გვაქვს ორ პოლიტიკასთან: ერთია პასუხისმგებელ კაბინეტის პოლიტიკა და მეორეა მთავრობისაგან დამოუკიდებელ სამხედრო წრეების პოლიტიკა. ეს საბუთს გვაძლევს ვშიშობდეთ მით უფრო, რომ ახლო მომავალში არ უნდა ველოდეთ რაიმე ცვლილებას მარქსის მიერ ეხლანდელ შედგენილ კაბინეტში".

„ჟურნალ დე დება" გამოსთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ თავის დროზე არ ყოფილა დაწესებული კონტროლი გერმანიის ფინანსებზე, რაც, გაზეთის აზრით, სამხედრო კონტროლზე უფრო ნაყოფიერი იქნებოდა. გაზეთი სწერს: „ლოკარნოს ხელშეკრულებები ერთა ლიგას საკმაო უფლებებს ანიჭებენ იმისათვის, რომ გამოამჟღავნოს და თავიდან აიცილოს ამ შეთანხმებათა დარღვევა გერმანიის მიერ, რაც საფრთხეში აგდებს მშვიდობიანობას. ერთა ლიგის არსებობის გამართლება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს ის მისთვის მინიჭებულ უფლებებს. (ადს)

ტერორი პოლონეთში

ბელორუსთა გრომადის დარბევის გამო

ვილნო, 1 თებერვალი. გაზეთების ცნობით, პოლიციამ გაანთავისუფლა ბელორუსთა გრომადის სამდივნოს შენობა.

მიუხედავად ამისა პოლიცია ყოველდღე ათვალიერებს სამდივნოს შენობას, რომ შეამოწმოს, დაიწყო თუ არა მუშაობა.

დაპატიმრებულთა ნათესავებს არ აძლევენ დაპატიმრებულების ნახვის საშუალებას.

პრესის ცნობით გრომადის დარბევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა გენერალი ბულაკ-ბალახოვიჩი. (ადს)

30 ბელორუსელი გლეხის საქმე

ვილნო, 1 თებერვალი. ზელვში გაირჩა 30 გლეხის საქმე. გლეხებს ბრალი ედებოდათ იმაში, რომ ისინი, როგორც ბელორუსთა გრომადის წევრები, იწვევდენ არალეგალურ კრებებს და წინააღმდეგობას უწევდენ პოლიციას, რომელიც ცდილობდა კრებების გარეკას.

ბრალდებულთ მისჯილი აქვთ ჯარიმა, ან დაპატიმრება თუ ჯარიმას არ გადაიხდიან. (ადს).

ბელგიის დეპუტატთა პალატის კომფრაქციის პროტესტი

პარიზი. 1 თებერვალი. ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ ბელგიის დეპუტატთა პალატის კომუნისტურმა ფრაქციამ პოლონეთის მთავრობას გაუგზავნა პროტესტი ბელორუსთა გრომადის დეპუტატების დაპატიმრების წინააღმდეგ. კომფრაქცია მოითხოვს დაპატიმრებულთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. (ადს).

ფაშისტების თარეშის წინააღმდეგ

ვენა, 2 თებერვალი. გუშინ შესდგა ახალი საპროტესტო დემონსტრაციები ფაშისტების მიერ მუშებზე ახალი თავდასხმის წინააღმდეგ შატენდორფში. ვენისა და მრავალი პროვინციალური ქარხნების მუშები საკუთარი ინიციატივით სწყვეტდენ მუშაობას და აწყობდენ მიტინგებს.

სოციალ-დემოკრატები ყოველგვარი საშუალებით სცდილობენ შეაკავონ მუშები მასიური გამოსვლებისაგან. პროფკავშირთა ავსტრიის კავშირმა მოუწოდა მუშებს, რომ შატენდორფში დაღუპულთა დაკრძალვის დღეს ერთი მეოთხედი საათით შეეწყვიტათ მუშაობა. დაკრძალვაზე გამოსულმა ვენის ბურგომისტრმა, სოციალ-დემოკრატმა ზეიცმა, წარმოსთქვა უფერული სიტყვა ზეიპელის მთავრობის წინააღმდეგ; იგი სცდილობდა მუშების ყურადღება ჩამოეშორებია ფაშიზმთან გადამწყვეტი ბრძოლისაგან და აყენებდა ხელისუფლების საარჩევნო ბიულეტენების საშუალებით დაპყრობის ლოზუნგს.

კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა მოთხოვნილება, რომ დაუყოვნებლივ განიარაღებული და დათხოვნილი იქნას ყველა ფაშისტური ორგანიზაციები. აიკრძალოს ფაშისტური პრესა, დაპატიმრებულ იქნან ყველა დამნაშავენი მკვლელობაში, შეიარაღებულ იქნან მუშები წარმოებებში ფაბქარხკომების ხელმძღვანელობით, დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული ფაბქარხკომების კონფერენცია ვენაში და სხვა სამრეწველო ქალაქებში ფაშიზმთან ბრძოლის ზომების განსახილველად. კომპარტია მოუწოდებს მუშებს ზეიპელის მთავრობის ჩამოგდებისაკენ და სოციალ-დემოკრატიული პროფკავშირის ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, რომელიც აბრკოლებს მუშათა მოძრაობას (ადს).

გაერთიანებული ყრილობა

ნორვეგიის მენშევიკების ერთიანი ფრონტი

ოსლო, 1 თებერვალი. დასრულდა ნორვეგიის მუშათა პარტიის და, აგრეთვე, სოციალ - დემოკრატების გაერთიანებული ყრილობა. ამ ორი პარტიის გაერთიანების პროექტი მიღებულ იქნა ყველა ხმების უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ.

ერთსულოვნობის მიუხედავათ, მთელ რიგ საკითხების გარშემო ადგილი ჰქონდა მწვავე კამათს. (ადს).

მთლიანობის მუშათა პარტია

ოსლო, 1 თებერვ. ნორვეგიის მუშათა პარტიის და, აგრეთვე, სოციალ-დემოკრატების გამაერთიანებელ **ყრილობისაგან ჩამოშორებულ 400 დელეგატის კონგრესმა ერთხმად დაადგინა დაარსოს ქალაქისა და სოფლის მუშების ახალი პარტია „მთლიანობის მუშათა პარტიის"** სახელწოდებით.

კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც თანაუგრძნობს ჩინელი ხალხის ბრძოლას განთავისუფლებისათვის.

კონგრესი იხილავდა აგრეთვე ომის საფრთხის, საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის, ნორვეგიის კომკავშირის და საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის საკითხებს.(ადს)

ფაშისტური ტრიბუნალის გახსნა

რომი, 1 თებერვალი. დღეს შესდგა „სახელმწიფო თავდაცვის" კანონის თანახმად დაარსებულ განსაკუთრებულ ტრიბუნალის გახსნა. საზეიმო გახსნაზე დამცველები გამოვიდენ სიტყვებით, რომლებშიც არწმუნებდნენ გენერლებსა და ფაშისტური მილიციის წარმომადგენლებისაგან შემდგარ სასამართლოს, რომ ისინი იხელმძღვანელებენ სახელმწიფოს თავდაცვის ამოცანით და „პრემიერის წმინდა პიროვნებით". სასამართლომ პირველად მოისმინა ახალგაზრდა უპარტიო უმუშევარ მუშა-მშენებელთა საქმე. მუშები პასუხისგებაში არიან მიცემული ფაშისტური მილიციის ერთ-ერთი ჯარისკაცის დაბეზღების თანახმად მათ აბრალებენ თითქოს ისინი ხმამაღლა გამოსთქვამდენ მწუხარებას, რომ ლიუჩეტის თავდასხმა მუსოლინზე 1926 წ. სექტემბერში უშედეგოთ დამთავრდა. ბრალდებულთ სასამართლომ მიუსაჯა 9 თვის ციხე წინასწარ პატიმრობის ჩაუთვლელად და დააკისრა მათ სასამართლოს ხარჯების დაფარვა 500 ლირის რაოდენობით თითეულს.

დღეს დაიწყო სამი მუშის საქმის მოსმენა, რომელთაც ასეთივე შინაარსის ბრალდება აქვთ წაყენებული. ახლო მომავალში გაიმართება კიდევ იმ პირთა ორი პროცესი, რომლებმაც თანაგრძნობა გამოუცხადეს მუსოლინის თავდამსხმელებს. 21 თებერვალს გაიხსნება მუსოლინზე თავდასხმის საქმეების სერია. პირველ რიგში გაირჩევა ძანიბონის და კაპელოს საქმე (ადს).

უზუნოვიჩის ახალ კაბინეტი

ვენა, 2 თებერვალი. უზუნოვიჩმა შეადგინა ახალი კაბინეტი ურადიჩოდ. მთავრობას სკუპშინაში ჰყავს 176 ხმა 315 ხმიდან. სამხრეთ-სლავიის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ კაბინეტი ხანგრძლივი არ იქნება. რადიჩის პარტია ძლიერი ოპოზიციით იმუქრება. (ადს).

მუშების ზიზღი [illegible]

სტოკჰოლმი, 2 თებერვალი. ტრანსპორტელთა პროფკავშირის სტოკჰოლმის ორგანიზაციამ, რომელსაც ჰყავს 4.000 მეტი წევრი, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებს გაძლიერებულ საზღვაო შეიარაღებათა პროექტის წინააღმდეგ (შეიარაღების პროექტი მიღებულ იქნა სპეციალური კომისიის მიერ, რომელსაც თავმჯდომარეობდა სოციალ - დემოკრატი ჰანსონი). რეზოლიუცია მოითხოვს ხანსონის გამორიცხვას სოციალ - დემოკრატიული პარტიიდან. (ადს).

„იზვესტიას" აკრძალვა

პარიზი, 2 თებერვალი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიმეორა 1920 წელში გამოცემული განკარგულება, რომელიც გაზ. „იზვესტია"-ს გავრცელებას კრძალავს საფრანგეთში.

ამერიკის სამხ. ძალები მზათ არიან

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ძალები თანდათან თავს იყრიან წყნარ ოკეანეს წყლებში ფილიპინის რაიონში; ისინი ჯერ-ჯერობით არ გადიან ჩინეთის წყლებში. (ადს).

ღამის ცნობები

კამენევი იტალიაში

რომი, 2 თებერვალი. რომში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში ამხ. კამენევი, რომელსაც შეხვდენ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელნი და იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი. (ადს).

ახალი დანიშვნა

მოსკოვი, 2 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად შვეციაში დანიშნოს კოპპი. (ადს).

მოლაპარაკება ხანკოუში

ლონდონი, 2 თებერვალი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გადაიდო შეთანხმების დადება ინგლისის კონცესიების შესახებ ფუცზიანში და ხანკოუში. მოლაპარაკება ხანკოუში გრძელდება (ადს).

მუშებმა გაიმარჯვეს.

ლონდონი, 2 თებერვალი. ბირმინგამის ტრამვაიელმა მუშებმა მიაღწიეს იმას, რომ დადგენილ იქნა 48 საათის მუშაობა კვირაში, რომელიც გაუქმებული იყო საყოველთაო გაფიცვის დროს (ადს).

იაპონიის მრჩეველი საბჭოთა კავშირში.

ტოკიო, 2 თებერვალი. პარლამენტის წევრი სასაკი დანიშნულია იაპონიის მთავრობის მრჩეველად და დელეგატად იაპონია-საბჭოთა კონფერენციაზე მოსკოვში (ადს).

სოციალისტური ორგანიზაციის დარბევა.

ვენა, 2 თებერვალი. უნგრეთის პოლიციამ დაშალა სოციალისტური მუშათა პარტიის ერთი ძლიერი პროვინციალური ორგანიზაცია კაპოშვარში. ორგანიზაციის შენობა დაბეჭდილია, წიგნებს, ფურცლებს და სხვ. კონფისკაცია მოუხდინეს (ადს).

საქართველოს
ეროვნული

საბჭოთა სახალხო მეურნეობა იზრდება

(ამხ. კუიბიშევის მოხსენება სახ. კომ. სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე)

მიმდინარე სამეურნეო წელში, ჩვენი მრეწველობა წინ გაუსწრებს რუსეთის მშვიდობიანობის დროის მრეწველობას. სათბობი მასალის მომარაგება წელს უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე შარშან. განზრახულია სამუშაო ხელფასის მომატება. წელს უნდა იხსნას საკითხი ბათუმში ნავთსახდელი ქარხნის მოწყობის შესახებ.

მოსკოვი, 2 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე—ამხ. კუიბიშევმა მოხსენება გააკეთა 1926—27 წლის საერთო სამრეწველო საწარმოო და ფინანსიურ გეგმაზე.

ახასიათებს რა მრეწველობის საერთო მდგომარეობას ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის დამლევისათვის საბჭოთა რუსეთის მრეწველობის განვითარება წინ გაუსწრებს 1913 წლის რუსეთის მრეწველობის განვითარებას. მიმდინარე წლისათვის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საპროექტო სამრეწველო გეგმა საცენზო მრეწველობის საერთო შემოსავლის ღირებულებას განსაზღვრავს 4.992 მილიონი მანეთით, რაც გასულ წელთან შედარებით 20,1 პროცენტით მომატებას წარმოადგენს.

სამრეწველო გეგმის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მრეწველობის ის დარგები, რომელნიც წარმოების იარაღებს ამზადებენ, უფრო მეტად ვითარდებიან, ვიდრე ის დარგები, რომელნიც ფართო მოხმარების საგნებს ამზადებენ. გეგმის ეს დამახასიათებელი თავისებურობა გამოხატავს რეკონსტრუქტიულ ტენდენციებს. საწარმოო საშუალებათა მწარმოებელ მრეწველობის ზრდა გასულ წელთან შედარებით გამოიხატება 28 პროცენტით, მაშინ როდესაც მოხმარების მრეწველობის ზრდა—17 პროცენტით; მრეწველობის ცალკე დარგთა პროექტით გათვალისწინებული ზრდა (გასულ წელთან შედარებით) უდრის,—ქვანახშირისა—31 პროცენტს, ლითონის მრეწველობის—23 პროც., საფეიქრო მრეწველობის—18,5 პროცენტს, საკვები მრეწველობის—11 პროც.

ეხება რა საკავშირო და რესპუბლიკანურ მრეწველობათა ზრდის შეფარდებას, ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ საკავშირო მრეწველობის ზრდა განისაზღვრება—18,7 პროც., რ. ს. ფ. ს. რ-ის—28 პროც., უკრაინის ს. ს. რ-ის—23,2 პროც., ხოლო ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ-ის 28 პროცენტით. ეს ცნობები მოწმობენ იმ გარემოებას, რომ მსხვილ მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო განვითარების ზრდა უფრო წინ მიდის, ვიდრე საკავშირო მრეწველობის განვითარება.

სათბობი მასალის მარაგების მხრივ მიმდინარე წელს უფრო უკეთესი მდგომარეობა იქნება, ვიდრე გასულ წელს. რაც შეეხება ლითონს, შარშანდელთან შედარებით მდგომარეობა აქაც რამდენიმედ გაუმჯობესებულია. მრეწველობა უნდა იქნეს მომზადებული იმისათვის, რომ გაძლიერებული იქნეს თანდათან უფრო მეტი რაოდენობის დამზადებული საქონლის მასა საბრუნავ საშუალებათა მინიმუმის პირობებში.

ეს მუშაობა მით უფრო არსებითი ხდება, რომ მიმდინარე წელს ჩვენ გვაქვს უფრო წყნარი საბაზრო კონიუნქტურა.

ყველა მასალები გვიჩვენებს, რომ წელს ჩვენ გვექნება საქონლის რესურსების რამოდენიმე დაგროვება. გასულ წელს შესამჩნევად იმატა მრეწველობაში დასაქმებულმა მუშახელმა, რომელიც 25 პროცენტამდე გაიზარდა.

წელს დასაქმებულ მუშათა რიცხვი გასულ წელთან შედარებით საშუალოდ მხოლოდ 7 პროცენტით მოიმატებს. მოსალოდნელია სასეზონო მუშების დიდი მომატება კაპიტალური მშენებლობის ფართო პროგრამის განხორციელების გამო. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პროექტით განზრახულია საშუალო ხელფასის მომატება. თუ გასულ წელს საშუალო ხელფასი 51 მანეთით განისაზღვრებოდა, მიმდინარე წელს იგი გაიზრდება 56.8 მანეთამდე ე. ი.—9,9 პროცენტით. ხელფასთან შედარებით უფრო უნდა მოიმატოს შრომის ნაყოფიერებამ. ს. მ. უ. საბჭოს პროექტით ეს ზრდა ნავარაუდევია 12,6 პროცენტის რაოდენობით.

ს. მ. უ. საბჭო ზედმიწევნითი სისწორით ამუშავებს საკითხს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ.

ამ საკითხის დამუშავების შედეგი ჯერ-ჯერობით ის არის, რომ მთავრობამ უკვე მიიღო დადგენილება გასაშვები ფასების 15—25 პროცენტით შემცირების შესახებ მთელ რიგ საქონელზე. ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის მიერ უკვე აღებულია მტკიცე კურსი, რომ მიმდინარე წელს მიღებულ იქნეს გადამწყვეტი შედეგები თვითღირებულების შემდგომი შემცირების დარგში.

კაპიტალურ სამუშაოების გეგმა გათვალისწინებულია 247 მილ. მანეთის რაოდენობით, ხოლო ელექტრო მშენებლობასთან ერთად—1.100 მილიონი მანეთის რაოდენობით.

თუ მივმართავთ მრეწველობის ცალკე დარგებს საწარმოო საშუალებათა დამამზადებელ მრეწველობაზე დაიხარჯება—675 მილიონი მანეთი და ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ მრეწველობაზე 242 მილიონი მანეთი. გასულ წელთან შედარებით იზრდება იმ თანხების რაოდენობა რომელიც მოწყობილობაზე იხარჯება. გასულ წელს ამ თანხებიდან იხარჯებოდა 186 მილიონი მანეთი, ხოლო მიმდინარე წელს—288 მილიონი მანეთი.

ახალი ქარხნების ასაგებად გათვალისწინებულია 187 მილიონი მანეთის დახარჯვა.

მიმდინარე წლის კაპიტალურ სამუშაოებზე და აღდგენითი სამრეწველო მშენებლობაზე დასახარჯი თანხების საერთო ჯამი საჭიროა გადიდებულ იქნეს 80 მილიონი მანეთამდე.

საშენებლო ქაოსის თავიდან ასაცილებლად, ს. მ. უ. საბჭოს მიმდინარე წელს განზრახული აქვს ეცადოს საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის წარმოებათა კოლლექტიური მშენებლობის დაწყება.

ეს იმას ნიშნავს, რომ რამოდენიმე საგუბერნიო აღმასკომი ერთს ფონდში აერთიანებენ სამრეწველო მშენებლობისათვის გადებულ თანხებს და აშენებენ საერთო-სახელმწიფო მშენებლობის დიდ წარმოებას.

ამხ. კუიბიშევის მოხსენების მოსმენის და გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, სახ. კომ. საბჭომ და შრომის და თავდაცვის საბჭომ შესაძლებლად სცნეს მრეწველობის განვითარების გაძლიერება, და წარმოების გადიდება საშუალოდ 20 პროცენტით გასულ წელთან შედარებით. სახ. მ. უ. საბჭოს წინადადება მიეცა ორი კვირის განმავლობაში დაამუშაოს ზედმიწევნით სწორი დირექტივა იმის შესახებ, თუ რომელ დარგებში უნდა დაიწყოს საბაზრო კონიუნქტურის მიხედვით წარმოების გაფართოება, მაქსიმალური ფარგლები, რა დარგებსა და რა ფარგლებში იქნება შესაძლებელი და მიზანშეწონილი საორიენტაციო ციფრების გადამეტება. ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა აგრეთვე ერთი თვის განმავლობაში სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად დაამუშაოს გეგმიანობის ელემენტები საქონლის მარაგის რეზერვის შექმნის დარგში და ამის შესახებ სათანადო მოხსენება გააკეთოს შრომის და თავდაცვის საბჭოში.

თვითღირებულების შემცირების საკითხში ს. მ. უ. საბჭოს მიეცა დირექტივა მთელს მრეწველობაში მიმდინარე წლისათვის თვითღირებულება შეამციროს საშუალოდ 6 პროცენტით მაინც. მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის საერთო პროგრამა (ელექტროფიკაციით) მიღებულია 948 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამ ჯამში შედის სამარქაფო თანხა 80 მილიონი მანეთის რაოდენობით გაუთვალისწინებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

სამარქაფო თანხების შექმნის მეთოდების, წყაროების და საკალენდარო ვადების გამორკვევა და დაწესება მინდობილი აქვთ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ს. მ. უ. საბჭოს. სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ს. მ. უ. საბჭოს და ფინ. სახ. კომისარიატს წინადადება მიეცათ დაამუშაონ მეორე რიგის სამუშაოთა ნუსხა იმ ანგარიშით, რომ მეორე რიგის სამუშაოების რაოდენობა ს. მ. უ. საბჭოს წინადადებებთან შედარებით გადიდებული უნდა იქნეს.

სახ. კომ. საბჭომ და შრ. და თავდაცვის საბჭომ აუცილებლად სცნო აგრეთვე პირველ რიგის სამუშაოთა შემადგენლობაში შეტანილი იქნეს „დნეპროსტროი", რომლისთვისაც გადადებული უნდა იქნეს 7 მილიონი მანეთი. ელექტრო მშენებლობის სამუშაოებისათვის დაწესებულია 158 მილიონი მანეთი; ამ თანხიდან ბიუჯეტით გადებული იქნება 80 მილიონი მანეთი.

1926-27 წლის მრეწველობისათვის გადებული ფინანსების საერთო ჯამი სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით უდრის 463,5 მილიონ მანეთს (ელექტროფიკაციით).

სახელმწიფო საგეგმო კომისიას მიეცა წინადადება ფინსახკომის და ს. მ. უ. საბჭოს მონაწილეობით მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად გაანაწილოს საკავშირო და რესპუბლიკანურ ბიუჯეტებზე მრეწველობის განსავითარებლად გადებული ასიგნობანი და ამის შესახებ მოახსენოს სახ. კომ. საბჭოს და შრომის და თავდაცვის საბჭოს უახლოეს სხდომას. ს. მ. უ. საბჭოს წინაშე, როგორც მნიშვნელოვანი ამოცანა დასმულია, რომ მან საერთო სამრეწველო გეგმის შესრულების დროს, კერძოთ, კაპიტალური მშენებლობის წარმოების დროს, განსაკუთრებით ახალი ქარხნების აგების საქმეში, იხელმძღვანელოს პროდუქციის ღირსების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების აუცილებლობით. მრეწველობის ცალკე დარგების და მშენებლობის შეერთებული გეგმის დანარჩენი მასალების დამუშავება სახ. კომ. და შრომის და თავდაცვის საბჭოებმა დაავალეს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ს. მ. უ. ს., რომელთაც უნდა წარადგინონ შრომის და თავდაცვის საბჭოში პრაქტიკული წინადადებანი და სწორი დირექტივები ყველა ამ საკითხების შესახებ. კერძოთ, ზემოხსენებულ ორგანიზაციებს წინადადება აქვთ მიცემული **განიხილონ ნავთსახდელი ქარხნის აგების საკითხი ბათუმში.**

საჭირო განმარტება

მოსკოვი, 2 თებერვალი. ბელორუსიის გრომადის და დამოუკიდებელი გლეხთა პარტიის დეპუტატების დაპატიმრებათა გამო პოლონეთის პრესაში გამოქვეყნებული იყო იუსტიციის მინისტრის მეიშტოვიჩის წერილი სეიმის თავმჯდომარის რატაისადმი. ამ წერილთან ახლოა ვილნოს სააპელაციო სასამართლოს პროკურორის თანაშემწის საბრალდებლო დასკვნა. ეს ბრალდება თითქმის სავსებით დამყარებულია იმაზე თითქოს დეპუტატები მოქმედებდნენ მეზობელი რესპუბლიკის ორგანოების „დირექტივებით" და როგორც „ჯამაგირიანი დივერსიონული ბანდა", რომ „იმ შემთხვევაში, თუ პოლონეთთან მოხდება ომი, მეზობელი სახელმწიფოსათვის მათ უნდა გაეწია დივერსიონული შეიარაღებული დახმარება და აგრეთვე ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებში უნდა გამოეწვიათ შეიარაღებული ამბოხება, თუ ეს იქნება აუცილებელი ამავე სახელმწიფოს პოლიტიკის მიზნებისათვის". რამდენადაც საბჭოთა კავშირი არის პოლონეთის სახელმწიფოს ერთი მეზობელი სახელმწიფოთაგანი, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს აქვს რწმუნება განაცხადოს, რომ ყველა ეს ბრალდებანი საბჭოთა კავშირის მთავრობის ორგანოებისა და პირების მიმართ მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მემაღაროები ბრძოლას განაგრძობენ

ლონდონი, 2 თებერვალი. „ლენსბერის ყოველკვირეულ"-ში კუკმა მოათავსა წერილი პროფკავშირების აღმასკომების კონფერენციის შედეგების შესახებ. „წინააღმდეგ კონფერენციის დადგენილებისა,—სწერს კუკი, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ პროფკავშირების წევრთა მასები ფიქრობენ, ისევე, როგორც მემაღაროენი, რომ ჩვენ მოვიქეცით სწორად, როცა არ დავთანხმდით სამუშაოთა ხელფასის შემცირებაზე, სამუშაო დღის გადიდებაზე და სარაიონო შეთანხმებაზე. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რამდენიმე მილიონი ინგლისელი მუშა ცხრა თვის განმავლობაში მაისამდე იბრძოდნენ იმისათვის, რომ მემაღაროები არ დათანხმებულიყვენ დათმობაზე. მიუხედავად მომხდარისა, მემაღაროენი და მათი ბელადები სასოწარკვეთილებას არ ეძლევიან. ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას, სანამ არ მივაღწევთ ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. (აოს)

რაც ესიზმრებათ—ის ელანდებათ

მოსკოვი, 2 თებერვალი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „შვეიცარიის გაზეთების იმ ცნობის გამო, რომელსაც ჰავასის სააგენტო იუწყებოდა, თითქოს საბჭოთა მთავრობას ბერნში ჰყავს თავისი ნახევრად ოფიციალური წარმომადგენელი ბოგოცკის სახით, რომელიც ვითომც მას არა ერთხელ წარმოადგენდა კონფერენციაზე ჟენევაში, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ მოქალაქე ბოგოცკი, რომელიც შვეიცარიაში სცხოვრობდა ჯერ კიდევ რევოლიუციამდი და დღემდე არ შეუცვლია თავისი საცხოვრებელი ადგილი, არ ყოფილა და არც არის საბჭოთა მთავრობის არც ნახევრად ოფიციალური და არც ოფიციალური წარმომადგენელი და რომ იგი არცერთ საერთაშორისო კონგრესზე ან კონფერენციაზე არ გამოსულა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლად".

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გრიპი.

დონის-როსტოვი, 2 თებერვალი. გრიპის ეპიდემიის გავრცელების მოლოდინში, საწარმოებს მზადება ბრძოლისათვის ამ ეპიდემიის წინააღმდეგ. ბაქტერიოლოგიურმა ინსტიტუტმა დაიწყო გრიპის საწინააღმდეგო ასაცრელი შრატის დამზადება სწრაფად და ექიმთა კადრის მომზადება. საავადმყოფოებში გადიდებულია საწოლების რიცხვი (ადს).

ბოროტმოქმედებანი რკინისგზეზე

დნეპროპეტროვსკი, 2 თებერვალი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევამ აღმოაჩინა დიდი ბოროტმოქმედებანი უკრაინის რკინისგზის დნეპროპეტროვსკის განყოფილებაში (რკინისგზების გაყვანის სამმართველო). მუშათა და გლეხთა ექსპედიციის დადგენილებით, მოხსნილ იქნა ადგილიდან უკრაინის რკინისგზის ხელმძღვანელები. დამნაშავენი გადაეცენ სასამართლოს. გარდა ამისა, საკონტროლო კომისია პასუხისგებაში აძლევს პარტიულებს. (ადს).

4.500 კითხვა!

ტულა, 2 თებერვალი. საგუბერნიო საკონტროლო კომისიის პლენუმზე, კომისიის თავმჯდომარე ამხ. ფესტერმა აღნიშნა, რომ კომუნალურმა განყოფილებამ შესავსებად მიიღო 4.500-კითხვიანი ანკეტა ეს ანკეტა მრავლდება და იგზავნება საგუბერნიო რაიონებში. კითხვებს შორის, მაგალითად, არის ასეთები. „როგორ მუშაობს თქვენში კრემატორიუმი და ტრამვაი", და სხვ. ასეთი კითხვა ეძლევათ რაიონებს, რომელთაც კანალიზაციაც კი არა აქვთ (ადს).

ახალი პოლიარული გადაფრენა.

ლენინგრადი, 2 თებერვალი. ლენინგრადში დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა არქტიკაში ახალი მეცნიერული გადაფრენისათვის, რომელსაც აწყობს პოლიარული ქვეყნების შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოება. გადაფრენა დაიწყება ლენინგრადიდან მურმანსკამდე, შემდეგ ჩრდილო პოლიუსიდან ალიასკისაკენ. ექსპედიციის მთავარი ამოცანაა—გამოკვლიოს გაიმირის ნახევარ-კუნძული, ჩრდილოეთის რაიონები და პოლიარული ადგილები, რომელნიც საბჭოთა კავშირს ეკვრიან. ექსპედიციას ექნება საერთაშორისო ხასიათი; ხარჯებს გადაფრენისათვის გაიღებენ ყველა სახელმწიფოები, რომელნიც შედიან ამ საზოგადოებაში. დოქტორი ეკენერი, „ცეპელინი"-ს საზოგადოების დირექტორი ერთი თვით იძლევა თავის დირიჟაბლს ამ გადაფრენისათვის. შემდეგში კი განზრახულია აიგოს საკუთარი დირიჟაბლი. ლენინგრადსა და მურმანსკში განზრახულია აიგოს დირიჟაბლის დასადგომი მაჩტები (ადს).

გრიპი მოსკოვში და ლენინგრადში.

მოსკოვი, 2 თებერვალი. წარსულ კვირაში მოსკოვში აღრიცხული იყო გრიპით ავადგახდომის 1.987 შემთხვევა; წინა კვირაში აღრიცხული იყო 1.127 შემთხვევა (ადს).

ლენინგრადი, 2 თებერვალი. წარსულ კვირაში გრიპით ავად გახდა 775 კაცი; უკანასკნელ კვირაში აღრიცხული იყო 325 შემთხვევა (ადს).

კარაქის შემოტანა ამიერ-კავკასიაში.

მოსკოვი, 2 თებერვალი. საკავშირო შინაჭრობის სახ. კომისარიატმა ნება დართო ვოლოგდის სასოფლო-სამეურნეო კავშირს, რომ ამიერ-კავკასიაში სამომხმარებლო კოოპერაციისათვის შეიტანოს 3.000 ფუთი ტკბილი კარაქი (ადს).

უკრაინა

თევზის ჭერა.

ხარკოვი, 2 თებერვალი. ხერსონის მახლობლად არაჩვეულებრივად მრავალ თევზს იჭერენ. იყო შემთხვევები, როცა ბადით ერთად ამოჰქონდათ 2.500 ფუთი თევზი.

„დნეპროსტროი".

ხარკოვი, 2 თებერვალი. „დნეპროსტროი"-ის ფონდის ანგარიშში სხვადასხვა საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეიტანეს 1 მილ. მან. მეტი. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

მოლას ოინები

ბაქო, 2 თებერვალი. აზ. ცაკის პრეზიდიუმმა 2 თებერვალს დაადგინა 3 დღის ვადაში აზერბეიჯანის საზღვრებიდან გადაასახლოს ლიკიჩაში (კუბის მაზრა) მცხოვრები სპარსეთის ქვეშევრდომი მოლა,—რომელიც გამოცხადდა საარჩევნო კრებაზე და წინადადება მისცა იქ მყოფ ქალებს დაეტოვებიათ კრება. რაც მათ მიერ დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული და ამგვარად კრება ჩაიშალა.

შემდეგი კრების წინადამით იგივე მოლა კულაკებთან ერთად დადიოდა ეზო-ეზო და აგიტაციას ეწეოდა ღარიბი გლეხობის კანდიდატურის წინააღმდეგ, მდიდარ გლეხების კანდიდატთა სასარგებლოდ და აგრეთვე ქალთა კრებაზე დასწრების წინააღმდეგ. ამ აგიტაციის გამო მოვალი ქალი არ ცხადდებოდა კრებაზე და არჩევნები ვერ ხდებოდა.

ამავე მოლას აგიტაციის წყალობით გასული წლის ზაფხულზე გლეხებმა სოფელში არ შეუშვეს ვეტერინარული რაზმი საქონლის ასაცრელად. რის გამოც ამ სოფელში ჭირით დაიხოცა 100 სული საქონელი. ცაკის დადგენილება მოლას გადასახლების შესახებ დაუყოვნებლივ სისრულეში იქნა მოყვანილი. (ადს).

საბჭოების ყრილობა

განჯა, 1 თებერვ. საბჭოების სამაზრო ყრილობა დანიშნულია ქ. განჯაში 22 თებერვლისათვის. დღის წესრიგში სდგას: მთავრობის და სამაზრო აღმასკომის საანგარიშო მოხსენებები მოხსენებები სასოფლო მეურნეობის, კოოპერაციის და განათლების შესახებ; არჩევნები სამაზრო აღმასკომის და დელეგატების საბჭოების სრულიად აზერბეიჯანის ყრილობაზე (ადს).

შეკითხვა გერმანიიდან.

ბაქო, 2 თებერვალი. თავის დროზე პრესაში იყო ცნობა ნაფტალინის ნავთის მადნების შესახებ. ამ ნავთს სამკურნალო თვისება აქვს და წინეთ მისგან ამზადებდნენ სხვადასხვა წამლებს. ამჟამად სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ გერმანიიდან მიიღო შეკითხვა: შესაძლოა თუ არა ამ ნავთის გატანა გერმანიაში (ადს).

სომხეთი

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა

ერევანი, 2 თებერვალი. აღწერასთან ერთად სწარმოებდა მოსახლეობის დაკითხვა დაბადებისა და სიკვდილიანობის შემთხვევების შესახებ 1926 წელს, აღმოჩნდა, რომ 1926 წელს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა იძლევა 3.5 პროცენტს. ამგვარად, ორი წლის შემდეგ სომხეთის მოსახლეობა 1 მილიონს მიაღწევს. (ადს).

სარდარაბადის საგუბარი

ერევანი, 2 თებერვალი. სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას მდ. არაქსზე სარდარაბადის არხისათვის საგუბარის ასაგებად. გაზაფხულზე თბილი ამინდის დადგომისთანავე დაიწყება საგუბრის შენება. (ადს).

კარბიდის ქარხანა

ერევანი, 2 თებერვალი. თავდება აგება დიდი საკარბიდო ქარხნისა, რომლის ძალოვნება 1000 კილოვატს უდრის. ქარხანა ამუშავებული იქნება თებერვლის დამლევს. (ადს).

საკ. ცაკის

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 2 თებერვალი. 1 თებერვალს გაიხსნა საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი და მიღებული იქნა ნაკაზის პროექტი საბიუჯეტო კომისიის მუშაობის შესახებ; ეს პროექტი წარმოადგენს იმ დებულების განვითარებას, რომელიც შეეხება ცაკის საბიუჯეტო კომისიის მუშაობას.

კომისიის პრეზიდიუმს დაევალა ეს ნაკაზი წარუდგინოს დასამტკიცებლად ცაკის პრეზიდიუმს. (ადს).

თათბირი

სას.-სამ. გადასახადის შესახებ

მოსკოვი, 2 თებერვალი. 1 თებერვალს გაიხსნა თათბირი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. თათბირმა მოისმინა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილების გამგის ლიფშიცის მოხსენება, რომელმაც აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარსული წლის თანხა 300 მილ. მან., როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, სწორად დასახული გამოდგა. მიმდინარე წელში აკრეფით 15 იანვარს უნდა შემოსულიყო 246 მილ. მან., ანუ წლიური შემოსავლის 82 პროცენტი; შემოვიდა—263 მილ. მან., ანუ 88 პროცენტი. გლეხების მეურნეობათა 20 პროცენტის განთავისუფლება გადასახადიდან საბოლოოდ გადაწყდა.

მთელ კავშირში გადასახადისაგან განთავისუფლებული იქნება მეურნეობათა არა ნაკლებ 35 პროცენტისა, ცალკე რესპუბლიკებში კი—39 პროცენტი (ადს).

პარტიული ცხოვრება

ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგ. მე-14 კონფერენცია

მეექვსე სხდომა

ამხ. ბუჯიაშვილის მოხსენება

პიონერთა ბიუროს მუშაობაზე

ამ. ბუჯიაშვილი ეხება პიონერ ორგანიზაციის მუშაობის ძირითად მომენტებს საანგარიშო პერიოდში.

პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, ეს არის პიონერთა აქტივობის ზრდა; მეორე, ის გარემოება, რომ საანგარიშო პერიოდში მიღებული იყო მთელი რიგი ღონისძიებების, პიონერთა ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. მესამე გარემოება არის საზოგადოებრივი ყურადღების გაძლიერება პიონერთა მიმართ, და უკანასკნელი ის, რომ პიონერ ორგანიზაციების მატერიალური მდგომარეობა ძალიან უნუგეშოა. ხშირი პიონერთა ორგანიზაციიდან გასვლა, რაც 17 პროცენტამდე აღწევს, ადასტურებს იმას, რომ აქ საქმე ჯერ ჯერობით ვერ არის მოგვარებული.

მთავარი მიზეზი, რის გამოც ხდება ორგანიზაციის დატოვება არის კოლექტივებში მუშაობის მოუწესრიგებლობა და უსისტემობა. ეს გარემოება იწვევს მოზრდილ პიონერთა უკმაყოფილებას.

მეორე მიზეზი გამოიხატება პიონერთა წინამძღოლობის მოუმზადებლობაში. ეს წინამძღოლები იმდენად დატვირთულნი არიან კომკავშირის უჯრედების დავალებებით, რომ მათ არ აქვთ შესაძლებლობა პირნათლად შეასრულონ თავიანთი უშუალო მოვალეობანი.

მესამე მიზეზია კომკავშირის უჯრედ. ხელმძღვანელობის საქმის სუსტი დაყენება. გარდა ამისა, კოლექტივების მუშაობა არ ეგუება პიონერთა ჰასაკს, რაიც ძირითად ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

შექმნილ მდგომარეობიდან მთავარი გამოსავალი არის პიონერთა მუშაობაში კონკრეტიულ დავალებების მეთოდების შემოღება.

პიონერ ორგანიზაციის ზრდის საკითხი ასეთ სურათს იძლევა: ქალაქად 192 კოლექტივია, რომლებშიაც ირიცხება 5778 პიონერი და 2150 ოქტომბრელი.

სოფლებში ახალგ. მოჯამაგირენი ნაკლებად ებმებიან პიონერ ორგანიზაციებში.

ამის შემდეგი მომხსენებელი ეხება პიონერთა საზაფხულო მუშაობას და აღნიშნავს, რომ სკოლების დათხოვნის გამო პიონერთა რიცხვი კოლექტივში საგრძნობლად შემცირდა; ამ პერიოდში კოლექტივების დაშლის შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი.

მიღწევები არის სასკოლო მუშაობაში: ამჟამად თითქმის ყველა სკოლაში დაარსებულია პიონერთა ფორპოსტები, რომლის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

რაც შეეხება კომკავშირულ ბირთვს პიონერ ორგანიზაციებში—ის აღწევს 5 პროცენტამდე. და ჩვენი ამოცანაა ამ პროცენტის შეძლების და გვარად გადიდება. ამასთან დაკავშირებით უნდა გავაძლიეროთ კომკავშირის უჯრედების ხელმძღვანელობა პიონერთა კოლექტივებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ოქტომბრელთა შორის მუშაობას.

დასასრულ ამხ. ბუჯიაშვილი აღნიშნავს, რომ საჭიროა პიონერთა შორის მომუშავეთა შტატების გადიდება და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მეშვიდე სხდომა

1 თებერვლის საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი თბილისის კომიტეტის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობის მისაღებად ჩაეწერა 187 დელეგატი. საღამოს სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა დელეგატებმა: ჯანჯღელიშვილი, ტრისტიანოვი, ხომასურიძე, ჯალანდაძე, ბადალოვი, სააკიანი, ალიევი, სუჯიკი, ბოგდანოვი, ბერაევი, ტრაპაიძე, ცუცქირიძე, გეორგობიანი, კოპლატაძე, ნარიმანაშვილი, კიკნაძე, ბარსეგოვი, ქიქოძე, მარკაროვი, პერ-არიუტინოვი; კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ: მოჯამაგირეების ჩაბმას ორგანიზაციაში, მათ შორის კულტურულ განმანათლებელი მუშაობის გაძლიერების საჭიროებას, გლეხური ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის გამოცოცხლებას, პიონერთა შორის მუშაობის სისუსტეს, გასამხედროებას, უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხს, ნებაყოფლობითი საზოგადოებებში მუშაობას, ქალთა შორის მუშაობის საკითხებს და სხვა.

ამავე საღამოს სხდომაზე, კონფერენციას მიესალმა დუშეთის ორგანიზაციის სახელით ამხ. ჯანაშია.

მერვე სხდომა

2 თებერვლის დილის სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. სალუქვაძის მოხსენების გარშემო—მონაწილეობას ღებულობენ: ჩაოოევი, აბესაძე, არიუტინოვი, მავრიში, კუპრაძე, ოსაძე, ავაქოვი, კოლომიცევი, ვარლამოვი, ტოტიშელი, კრიგორიანი, ხანდამოვი, ობროზცევი სარიალ და სხვები. გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ, მშრომელი ახალგაზრდობის განათლების საკითხს, პრესის გავრცელებას, უმუშევრობას ახალგაზრდობაში, ფიზკულტურის საკითხს, სოფლად მუშაობას, საწარმოო დისციპლინას და სხვა.

მეცხრე სხდომა

2 თებერვალს საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები.

ამხ. ბუჯიაშვილის საბოლოო სიტყვა

კამათში გამოსული ამხანაგები, ამბობს ამხ. ბუჯიაშვილი, უმთავრესად ეხებოდნენ წინამძღოლთა მომზადების საკითხს. მე ჩემს მოხსენებაში გარკვეულად აღვნიშნე, რომ წინამძღოლები ვერ არიან სათანადოთ მომზადებული რის გამოც ვერ აკმაყოფილებენ ბავშვების მოთხოვნილებებს. ამიტომაც წინამძღოლთა მომზადების და გადამზადების საკითხს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. თვით წინამძღოლებმა ენერგიულად უნდა მოჰკიდონ ხელი თვითგანვითარების საქმეს და სამისო ლიტერატურა უნდა შეიძინონ. უამისოდ ისინი ვერ შეძლებენ კოლექტივების მუშაობის დაყენებას სათანადო სიმაღლეზე. გარდა ამისა პიონერები უნდა შევაჩვიოთ საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას. ეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა არის და მის გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების გატარება. აქედანვე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება კოლექტივებისათვის ბინის გამონახვას. ის შენობები, რომელიც დათმობილი აქვს პიონერ-კოლექტივებს, სანიტარულ-ჰიგიენურ თვალსაზრისით მინიმალურ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებენ. საჭიროა შევისწავლოთ მუშაობის ყველა დეტალები და სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები გავატაროთ ცხოვრებაში.

ამხ. სალუქვაძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! აქ გამოსული ზოგიერთი დელეგატები აღნიშნავდნენ კომკავშირის მუშაობის სისუსტეს სოფლად. გარდა ამისა იყო ნათქვამი, თითქოს თბილისის კომიტეტი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა კომკავშირს სოფლად. ეს დებულება სწორი არ არის. თვით ის ფაქტი, რომ ჩვენი ორგანიზაცია უფრო ჩქარი ტემპით იზრდება სოფლად, ვინემ ქალაქად, ამის დამადასტურებელია, რომ კომკავშირის მუშაობა სოფლად საანგარიშო პერიოდში გამოცოცხლდა. რაც შეეხება ხელმძღვანელობას, ჩვენ რამდენჯერმე მოვიწვიეთ ადგილებზე მომუშავეთა თათბირი, სადაც ვსვამდით სოფლად მუშაობის საკითხებს. იგივე ითქმის აქტივში მუშაობის შესახებ როგორც რაიონის ისე თბილისის მასშტაბით იმართებოდა აქტივის კრებები, აღნიშნავენ აგრეთვე იმას, რომ საზოგადოებათა მეცნიერება სკოლებში არა სასურველი ელემენტების ხელში არისო. ეს მე ჩემს მოხსენებაშიც აღვნიშნე, და მასთან ვთქვი, რომ ეს გარემოება აიხსნება მარქსისტ კომუნისტი მასწავლებლობის სიმცირით.

რაც შეეხება ფიზკულტურას, კომკავშირმა უნდა გააძლიეროს მონაწილეობა ფიზკულტურის ორგანიზაციებში. ორიოდე სიტყვა ორგანიზაციის ზრდის შესახებ. ჩვენი ორგანიზაციის ზრდა სოფლად ასეთი გზით უნდა წარვმართოთ. პირველ რიგში უნდა მივიღოთ მოჯამაგირე და უღარიბესი ახალგაზრდობა. რაც შეეხება საშუალო გლეხს, აქ მეტი სიფრთხილე არის საჭირო. იყო შემთხვევები, როცა საშუალო გლეხის და ხანდახან კულაკის შვილი ღარიბის, „ქურქით" შემოდიოდა ორგანიზაციაში. საშუალო გლეხური ახალგაზრდობის მიღებისას ჩვენმა უჯრედებმა სათანადოთ უნდა შეამოწმონ მისაღები კანდიდატები. შემდეგ ამხ. სალუქვაძე ეხება ჯავშნის საკითხს, ხელმძღვანელობას, ქალთა შორის მუშაობას და ამომწურავ პასუხს აძლევს ყველა იმ კითხვებზე, რომელიც მოკამათეების მიერ იყო წამოყენებული თვით ის ფაქტი—ამბობს დასასრულ ამხ. სალუქვაძე—რომ, თბილისის კომიტეტის მუშაობამ ასეთი ცხოველი კამათი გამოიწვია, ადასტურებს ახალგაზრდობის აქტივობის ზრდას, რაც თავდები არის მომავალი მუშაობის ჯანსაღ ნიადაგზე დაყენებისა. (ტაში).

ამხ. სალუქვაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ვრცელი მოხსენებით ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. მ. კახიანი. მისი მოხსენების ანგარიში მოთავსებულ იქნება

წითელდროშოვან არმიის მე-3 კონფერენცია

არმიის პარტკომისიის მუშაობა

კონფერენციის მეექვსე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. სტელმახის მოხსენება არმიის პარტკომისიის მუშაობაზე.

— პარტიის დირექტივა მუშურ ელემენტების გაძლიერების შესახებ ჩვენი არმიის პირობებში არ იქნა გატარებული სრულად, რადგან არმიაში სჭარბობს გლეხობა.

პარტიაში წევრების მიღების დროს უნდა მიექცეს ყურადღება, თუ ვისთანა გვაქვს საქმე, რადგან ბოლო დროს პარტიაში მოისწრაფიან არა სასურველი ელემენტები.

პარტკომისია ფრთხილად ეპყრობა კანდიდატების მიღებას პარტიის წევრებად. პარტკომისიამ მოახდინა ამ საკითხის გამოკვლევა თვით ნაწილების პარტუჯრედებში.

პარტკომისია აქცევდა დიდ ყურადღებას კომკავშირის მუშაობას და უწევდა მას ხელმძღვანელობას.

საკონტროლო კომისიის მიერ დამყარებულია მტკიცე კავშირი პარტიულ მასასთან, კომისიის მუშაობა შუქდებოდა პრესაში. ჩატარებულ იქნა დივიზიის პარტკომისიის მუშაობის გადასინჯვა.

პარტკომისიას დამყარებული აქვს კავშირი ყველა ნაწილების პარტორგანიზაციებთან.

მეათე სხდომა

ორი თებერვლის დილის სხდომა მთლიანად მოუნდა კამათს ამხ. სტელმახის მოხსენების გარშემო არმიის პარტკომისიის მუშაობაზე.

კამათში მიიღეს მონაწილეობა შემდეგმა ამხანაგებმა: ავაკუმოვმა, კიურგენიმა, იუსუპოვმა, ტიგიშვილმა, ცილმანმა, გევორკიანმა და სხვ.

ორატორები აღნიშნავდნენ, რომ არმიის პარტკომისიამ უნდა მიაქციოს უდიდესი ყურადღება ნაწილების პარტორგანიზაციების მდგომარეობას და მათი მუშაობის შესწავლას.

პარტიაში მიღების ირგვლივ ნათქვამი იყო, რომ საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა იმ ამხანაგების მხრივ, რომელნიც აძლევენ რეკომენდაციას პარტიაში შესვლელთ.

საჭიროა აგრეთვე, რომ გლეხ წითელ არმიელებს, რომელთაც სურთ პარტიაში შესვლა, არ მოეთხოვოს დიდი ცოდნა პოლიტიკურ საგნებში.

შემცირებულ უნდა იქნეს კომკავშირელების მიერ გასავლელი ინსტანციები მათი პარტიის წევრებად და კანდიდატებად გადარიცხვის დროს.

ამხანაგებმა სასურველად სცნეს ჯგუფური ჰომზადება იმ ამხანაგების, რომელთაც აქვთ სურვილი შევიდნენ პარტიის რიგებში.

საჭიროა, ამბობს ამხ. სტელმახი, გაძლიერებულ იქნეს პარტიის რიგები არმიაში მუშების ხარჯზე.

აგრეთვე უნდა მიექცეს ყურადღება შინაპარტიული დემოკრატიის საკითხის ფართოდ გაშლას.

ნაწილების კომუჯრედებმა უნდა გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობის წარმოება.

კონფერენციამ არმიის პარტკომისიის მუშაობის ხაზი სცნო სწორად და მუშაობა მოიწონა.

მეთერთმეტე სხდომა

კონფერენციის მეთერთმეტე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. პავერმანის მოხსენება სამხედრო-საზღვაო ინსპექციის მუშაობაზე.

მომხსენებელი ამბობს, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ინსპექციის მიერ წარმოებულ იყო დიდი მუშაობა.

ამ ხანში გამოკვლეულია 99 ნაწილის და დაწესებულების მუშაობა.

ინსპექცია აწარმოებდა ბრძოლას გადახრებთან მომარაგების რეჟიმის გატარების დროს და ბიუროკრატიზმთან, რომელიც ბუდობს ზოგიერთ ჯარის ნაწილში.

ინსპექციის მიერ შესწავლილია საველე მზადების, დისციპლინის და მეთაურთა მომზადების საკითხები. მის მიერ გამოკვლეულია მრავალი სამეურნეო საკითხი, რითაც იგი უწევდა დიდ დახმარებას არმიის მომარაგებას.

ინსპექციამ დაწვრილებით შეისწავლა ჯარში გაწვევის საკითხი.

ინსპექციის მომავალ სამუშაო გეგმაში შედის სამხედრო კოოპერაციის, უვადო შვებულებაში მყოფ არმიელების ყოფა-ცხოვრების და სამხედრო ხასიათის საზოგადოების მუშაობის შესწავლა და გამოკვლევა.

ინსპექციას მოსდის წითელ არმიელებისაგან მრავალი შეკითხვა და საჩივარი, რომლებსაც ინსპექცია იხილავს რიგ გარეშე.

კამათში მონაწილე ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ინსპექციის მუშაობა იყო გეგმიანი, მხოლოდ საჭიროა ამ მუშაობის პოპულარიზაცია და ჩამუშავება როგორც სამხედრო ისე სამოქალაქო ჰაზეთებში.

კონფერენციამ, რეზოლიუციის გამოსამუშავებლად, აირჩია კომისია 9 კაცის შემადგენლობით.

დღეს, დილის 9 საათიდან იმუშავებენ სექციები და კომისიები. საღამოს 6 საათზე შესდგება კონფერენციის უკანასკნელი სხდომა.

ი.

რა იყო მაშინ და რა არის დღეს*)

II

მას შემდეგ, რაც მე დავახასიათე საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობა, მინდა დაპირებისამებრ ავალაპარაკოთ თვით „პარიზი" და მოვიყვანო მათ მიერ მოცემული ცნობები და ციფრები.

ჯერ კიდევ არ იყო საქართველოს „დამოუკიდებლობა" გამოცხადებული, ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის თავისებურ ფედერაციასთან ჰქონდა საქმე, რომ ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანია სეიმის 1918 წლ. 15 თებერვლის სხდომაზე ტრიბუნიდან „ხალხთა წარმომადგენლებს" აუწყებდა: „ჩვენ სახელმწიფოში უფრო და უფრო იზრდება ანარქია. მუშათა კლასში განწყობილება ბოლშევიკურია",—მე აქ სმენას ვთხოულობ.—„თვით მენშევიკ მუშებსაც გადასდებიათ ბოლშევიზმის სენი"-ო. და თუ საქართველოს სულიერი განწყობილება ასეთი ყოფილა 15 თებერვლამდე, როგორი სიტყვებით უნდა დახასიათდეს შემდეგი ხანის მდგომარეობა. ნამდვილი „ანარქია" სწორედ 15 თებერვლიდან იწყება. აჯანყდა ლეჩხუმი და 19 თებერვალს მოჰკლეს სეიმის წევრი ლეგან დადეშქელიანი. ამას შემდეგ მოჰყვა დუშეთის აჯანყება, და მთელი სამეგრელოს იარაღით ხელში გამოსვლა. აფხაზეთში დროებით ბოლშევიკების სრული ბატონობაა. თიანეთის მოძრაობა და ბოლოს, სამხრეთ ოსეთის ჯანყი და ოსეთის განადგურება—გადაწვა. მე აქ მოვიყვანე „ანარქიის" მხოლოდ მთავარი ადგილები და მომენტები. ისე კი—სხვა დასხვა გამოსვლებს, პატარ-პატარა აფეთქებებს მუდამ ჰქონდა აქა-იქ ადგილი 18-დან დაწყებული 25 თებერვლამდე. და ან როგორ უნდა დაწყნარებულიყო მშრომელიბა ჩვენიში? „რა იწვევდა ბოლშევიკურ განწყობილებას"

მე ზევით დავახასიათე საქართველოს მაშინდელი ეკონომიური მდგომარეობა. სოფლის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ზოგიერთ ადგილებში ვენახებს ჩეხდნენ და მათ ადგილებზე სიმინდს თესავდნენ. სოფელს ბაზარი აღარ ჰქონდა, ის თითქმის მოწყდა ქალაქს. ქალაქი მიყუჩდა. ფაბრიკებს ან ძალზე შეასუსტეს იმ პატარ-პატარა ხელოსნურ ხასიათის ფაბრიკა-ქარხნებმაც კი, რომლებიც ქალაქად მუშაობდნენ, ვინაიდან აქ ან მანქანები გაფუჭდნენ და გაცვდნენ, ან და ნედლეული აღარ მოიპოვებოდათ. ცალცალკე და ორივე ერთად, სოფელიც და ქალაქიც კატასტროფიულ მდგომარეობას განიცდიდნენ. გადაიათვალიეროთ იმ დროის გაზეთები და იქ ჩვენ კატასტროფიულ სურათს დავინახავთ. წავიკითხოთ ყ. ე. დამფუძნებელ კრების სტენოგრაფიული ანგარიშები და იქ ჩვენ მიერ მოცემულ დახასიათებას თვით ჟორდანია დაადასტურებს ტრიბუნიდან.

მე აქ უადგილოდ მიმაჩნია გაზეთებიდან ამონაწერების მოყვანა, ეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა. მე მხოლოდ შევჩერდები მუშათა კლასის მდგომარეობაზე და აქ კი დავიმოწმებ ყოფილ შრომის მინისტრის, ცნობილი გიორგი ერაძის, სიტყვებს. იმას ყველა კარგად იცნობს, ის დღესაც ემიგრაციაში იმყოფება, რაც მხოლოდ რაღაც გაუგებრობით უნდა აიხსნას. მე ვსარგებლობ იმ მოხსენებით, რომელიც გ. ერაძემ საქართველოს პროფკავშირებს გაუკეთა აქ ყოფნის დროს. ის ამბობს: „**მუშათა კლასის სიღარიბემ და სიღატაკემ უკანასკნელ საფეხურს მიაღწია, რომლის შემდეგ მას მოელის ფიზიკური განადგურება. ქალაქის მშრომელი ნაწილის უმრავლესობა სისტემატიურ შიმშილს განიცდის. ბევრს ტანზე პერანგი აღარ აცვია. მუშების ბავშვების უმრავლესობა კლასში ვერ დაიარება ტანსამოსის და ფეხსაცმელების უქონლობის გამო**". მე მეშინია მკითხველი არ დავღალო ამონაწერებით, ამიტომ აქ ამით დავკმაყოფილდებით. ესეც რომ არ იყოს, ამაზე მეტი რაღა უნდა გვითხრას ერაძემ. უპერანგო, გატიტვლებულ მუშას სიკვდილის აჩრდილი თვალწინ წამოუყენა,—ამაზე მეტი მართლაც რა უნდა გვითხრას გიორგიმ. ასე ლაპარაკობდა მინისტრი 1919 წლის ნოემბერში. გადის ერთი წელიწადი და იგივე ერაძე იმავე მუშებს მოხსენებას უკეთებს. ეს მოხსენება, სხვათა შორის, სატარიფო პალატის მუშაობას ეხება. აქ ერაძეს ციფრები უკავია ხელში და მათაც ალაპარაკებს. მას მთელი ცხრილი დაუმზადებია, რომელიც ეხება „მუშის ხელფასის და ცხოვრების გაძვირების მოძრაობას". მეტად საინტერესოა ეს ცხრილი, მაგრამ მას მე აქ მაინც ვერ მოვიყვან, რადგან ძლივდით მე მინდა ვთხოვო რედაქციას და ასეთ-ამწყობს მომცენ საშუალება ამაზე უფრო მეტი საინტერესო ცხრილის მოყვანისა. მე ამიტომ ამ ცხრილიდან მხოლოდ ერთი ციფრით ვსარგებლობ: 1920 წლის ნოემბერში მუშების საშუალო ხელფასი უდრიდა 6.075 მან. თვეში (ბონებით) ამ ციფრს მესიერებიდან ნუ გაუშვებთ. ეხლა კი ერაძის მოხსენებას დავუბრუნდეთ.

იქ ჩვენ ვკითხულობთ ასეთ სიტყვებს: „ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს, ვინაიდან მუშები თავიანთი საშუალებებით (ერაძის მოხსენებებს მე ვთარგმნი რუსულიდან ი. კ.) შეეცდებიან მდგომარეობის გაუმჯობესებას". შემდეგ ჩვენ ვკითხულობთ:

„დააწესა რა განაკვეთები, საცხოვრებელ მინიმუმზე გაცილებით ნაკლები. მან (სატარიფო პალატამ) გამოიწვია ის გარემოება, რომ საუკეთესო კვალიფიციურმა და საერთოდ გამოცდილმა მუშებმა დასტოვეს ფაბრიკა-ქარხნები". მოხსენება შემდეგი სიტყვებით თავდება. „აქამომდე პოლიტიკა შენდებოდა მუშათა კლასის მსხვერპლზე, ეხლა კი ის უნდა აშენდეს არა მუშათა კლასის **მსხვერპლზე, ვინაიდან მუშათა კლასის ფიზიკური ღონემიხდილობა იმუქრება თვით სახელმწიფოს არსებობას**". (ხაზგასმული ჩემია. ი. კ.). ეს ითქვა 1920 წლის ნოემბერში და სამი თვის შემდეგ ერაძის წინასწარმეტყველება გამართლდა. მხოლოდ ერთი შენიშვნით: დაეცა მენშევიკური სახელმწიფო და მისი ადგილი ბოლშ. სახელმწიფომ დაიკავა.

ეხლა კი უნდა მოვიყვანო ჩემს მიერ ზემოდ ხსენებული ცხრილი. (ვსარგებლობ ა.-კ. ფინანსიურ-სტატისტიკური კრებულით 1918—1923 წ.").

საცალო ფასები ქ. თბილისში 1920 წელს, საშუალო თვიური, მანეთებში. (ვინაიდან ცხრილი ძლიერ დიდია, ზოგიერთ საგნებს გამოვტოვებ და კაპეიკებსაც არ მოვიყვან).

საქონლის დასახელება	ერთეული	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
სიმინდი	ფუთ.	200	250	420	440	650	850	775	1400	1600	1420	2200	2400
პ. ფქვ. ადგილ.	„	600	680	825	1000	1150	1550	1650	2000	3000	3200	5600	6600
ლობიო	გირ.	7	9	14	15	19	16	16	25	30	35	60	90
ხორცი	„	14	16	30	32	35	36	39	44	54	87	114	148
ერბო	„	120	143	184	180	170	200	220	259	320	519	648	833
შაქარი ფხვნილი		35	54	67	75	75	73	100	165	258	244	399	725
ყველი	„	41	42	64	60	67	71	80	140	240	250	340	390
კვერცხი	ათი	37	54	60	55	52	57	70	85	165	290	420	540
მარილი	გირ.	4	6	7	7	8	12	13	13	28	36	46	48
ჩაი (შუათანა ხარისხ)		162	183	192	200	206	198	275	420	520	550	650	780
ნავთი	„	3	3	3	2	5	5	5	5	6	10	27	53
საპონი	„	28	41	53	55	57	61	70	140	250	230	265	300
ძაფი	კოჭა	7	8	11	13	14	18	20	24	40	47	75	122
ჩითი	არშ.	57	76	93	95	102	106	189	286	415	780	950	1160
ფეხსაცმელები	წყვ.	415	610	810	980	1100	1300	2040	3000	3900	8100	10300	5400

ცხადია, როდესაც ერაძე ამ ციფრებს მისჩერებოდა, მას მართლაც უნდა ეყვირა: მუშათა კლასის ფიზიკურ ღონემიხდილობა თვით სახელმწიფოს არსებობას ემუქრებაო. პირადად მე, როდესაც ეხლა ამ ციფრების იანვრიდან დეკემბრამდე მაღლა ნახტომებს დავჩერებივარ, ასე მგონია სადღაც უფსკრულისაკენ მივექანებითქო. თვითეული ციფრი ცალ-ცალკე და ყველანი ერთად თითქოს შეთქმულნი, ხელი-ხელს ჩაკიდებულნი, მწყობრად და დარაზმულად სულ ზევით და ზევით მიექანებიან და მართლაც რომ სახელმწიფოზე იერიში მიაქვთ. სოფელმა თავისი ძალები საომრად გამოგზავნა; პურის ფქვილიდან დაწყებული და კვერცხით გათავებული ყველანი სახელმწიფოს დალეწვას ლამობენ. ლობიოც კი ჩაერია ბრძოლაში და შიდი მანეთიდან იანვარში ცხრა თუმნამდე გაიზარდა. აბა ერთი შეხედეთ კვერცხს, როგორ ბრაზმორეული აღმართ-აღმართ მიგორავს და იმუქრება; იანვარში სულ რაღაც 37 მანეთის ძალის პატრონი იყო, დეკემბერში კი 540 მანეთის ბრაზით მიექანება. მე ზევით ჟორდანიას სიტყვები მოვიხსენიე ქალაქის განწყობილების და სოფლის შესახებ. იმავე 15 თებერვალს სეიმის სხდომაზე ჟორდანია ამბობს: „ის, რაც ხდება, ეხლა ჩვენ სოფელში, არ არის ახალი რამ: ასეთი ხდება ყველა რევოლიუციების დროს"-ო. გაკადნიერდები და ჩემ ყოფილ მასწავლებლის სიტყვაში პატარა შესწორებას შევიტან. დიახ, ბატონო ნოე, ხდებოდა, მაგრამ ეს ასე აღარ მოხდა, აღარ მოხდა საბჭოთა კავშირში, აღარ მოხდა პროლეტარულ რევოლიუციის დროს, ბოლშევიკების დროს, ლენინის დროს. ხდებოდა ბურჟუაზიულ რევოლიუციის დროს, ეხლა კი... მაგრამ აბა რათ მალაპარაკებთ ამდენს, განა თქვენ ყველაფერი ეს ჩემზე უკეთ არ მოგეხსენებათ. მაგრამ რადგანაც დავიწყე, დავათავებ ბარემ: არ მოხდა იმიტომ, რომ აქ მუშურ-გლეხური ხელისუფლებაა; იმიტომ, რომ აქ თავის დროზე სისწორით აუღეს ალღო მდგომარეობას, ძველი შეცდომები გაკვეთილად გამოიყენეს; იმიტომ, რომ მუშა და გლეხი ერთმანეთს დაუახლოვეს, ქალაქსოფლის კავშირი განამტკიცეს. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა. გლეხს მიწა დანამდვილებით მისცეს, გლეხს მიწა მოურწყეს, ჭაობები ამოუშრეს, სოფელში არ ნახული ტრაქტორი შეაგორეს, სოფლის ჭირნახული გაასაღეს, სოფელს სესხი მისცეს, ძვირფასი მცენარეულობის მოყვანის შესაძლებლობა შეუქმნეს, ყოველ მხრივ ხელი შეუწყვეს და უწყობენ, გლეხი თვით აამუშავეს, გაანძრიეს, აქტიური გახადეს და სხვ. და სხვ. ვისაც სურს ლენინის სიდიადე გაიგოს, მან მისი შეფასება აქედან უნდა დაიწყოს. და თქვენ კი და ჩვენც ჯერ კიდევ 1920 წლის 14 იანვარს დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან ყველას გასაგონად ამბობდით: „დასავლეთის იმპერიალისტები მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს"-ო. ე. ი. ბოლშევიკებს. ჯიუტობა პოლიტიკაში არაფის კარგს არ უქადის.

მე ცოტა არ იყოს გადაუხვიე. ცხრილის ანალიზს შევუდექი და შუა გზაზე შევწყვიტე.

ჩვენ ვთქვით, როგორი იყო მდგომარეობა სოფლად.

ქალაქის ბრაზიც არ ჩამორჩენია სოფლისას. მართალია, ქალაქი ჩაჩუმებული იყო, ის მიდუნდა, დაუძლურდა, ის საქონელს ვეღარ ამზადებდა, მაგრამ რითაც შეეძლო, ისიც ჩაერია ბრძოლაში. შაქარი, ჩაი, საპონი, ნავთი, ჩითი, ფეხსაცმელები და სხვ. ყველანი იერიშით მიდიოდნენ. ერაძემ დაადასტურა, რომ ჩითმა და ფეხსაცმელებმა მუშები და მათი შვილები გაატიტვლეს; ძაფი „რაზმზია" და იმანაც კი იერიშით გასწია: იანვარში 7 მანეთიანი კოჭს „ყუმბარა" გადაისროლა, დეკემბერში კი 122 მანეთიდან „ზარბაზნით" გადიქცა. საპონმა პირი არავის დაბანა: იანვარში თუ თვე 28 მან. შეიფასა, დეკემბერში 300 მან. ნაკლებ არავის ეძლეოდა. ნავთი პირველ ხანებში „პატიოსნად" იბრძოდა, ოქტომბრიდან დაწყებული სულ გადაირია და ვეფხვივით დახტოდა. ჩაი და შაქარი შეთანხმდნენ და ისე მწყობრად მიდიოდნენ იერიშზე, გეგონებოდათ ტყუპებიაო; გადახედეთ ცხრილს და უთუოდ დამეთანხმებით. ერთი სიტყვით, ქალაქი და სოფელი აგრევდნენ სახელმწიფოს და 25 თებერვალს ბოლშევიკებს საქართველო უკვე დანგრეული დახვდათ და ეს 25 თებერვალი, რომ არ მომხდარიყო, „დემოკრატიული რესპუბლიკა", როგორც იტყვიან, თავის თავად „პატრონს ჩაბარდებოდა".

ასეთი იყო საქართველოს მდგომარეობა 25 თებერვლამდე.

მე ზევით ვთხოვე ციფრი 6075-ის დამახსოვრება. მოყვანილი ცხრილის შემდეგ მუშის ამ მაშინდელი ხელფასის შეფასებას ეხლა შევუდგები. როგორც ზევით ვთქვი, 1920 წლ. ნოემბერში, ერაძის მიერ მოცემული ცნობით, მუშის თვიური ხელფასი უდრიდა 6075 მან. ეხლა ვნახოთ, რას და რამდენს იყიდდა მუშა ამ ფულით. ჩაუკვირდეთ ცხრილის ნოემბრის სვეტს, იქ პირველი ადგილი სიმინდს უკავია—ფუთი 2.200 მან. მუშას შეეძლო თვეში თითქმის სამი ფუთი სიმინდის ყიდვა. თუ ოჯახზე ვიანგარიშებთ ოთხ სულს, გამოდის, რომ თითო სულს ერგებოდა დღეში ერთი გირვანქა სიმინდი. და ამის მეტი არაფერი. აი, ეხლა მე მესმის ერაძის ოხვრა და მუქარა. იმავე სვეტში სულ ბოლოს მოქცეულია ფეხსაცმელები: წყვილი 10.300 მან. იმავე მუშას შეეძლო თავისი თვიური ხელფასით შეეძინა მხოლოდ ერთი წყვილისათვის მხოლოდ მარჯვენა ან მარცხენა ფეხის ფეხსაცმელი,—ცოტა მეტი.

აი, ეხლა მე მესმის, რატომ ამბობდა ერაძე, რომ მუშას ბავშვი სკოლაში ვერ გაუგზავნიაო. მგონი, კმარა. მე რომ ერაძე არ „ჩამომეყვანა" პარიზიდან, მოსისინე ხალხი იტყოდა: მოღალატე, გამყიდველი, ტყუილებით კვებავს მკითხველებსო.

ამნაირად ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ განსხვავდება მუშების ეხლანდელი მდგომარეობა მენშევიკების დროინდელი მდგომარეობიდან. ეხლა მე მინდა ნათელ იყო ეს განსხვავება.

მოღუნებული მრეწველობა ხელფასს შეასუსტებს თითქმის მკვდარი მრეწველობა ხელფასს იმ დონემდე დასწევს, რომ მუშას წყვილი ფეხსაცმლის მხოლოდ ნახევარს აყიდვინებს. მას გაატიტვლებს და ფიზიკურ განადგურებამდე მიიყვანს. ასეთი სურათი ჩვენ მოგვცა მენშევიკური პერიოდის განხილვამ. ზევით ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიკურ ხანაში მრეწველობა გამოცოცხლდა, აღსდგა, განვითარდა და სულ წინ და წინ მიაბიჯებს. ჩვენ უციფროდაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელფასი უთუოდ აწეული უნდა იყოს ეხლა. მაგრამ ჩვენ ისეთ „ხალხთან" გვაქვს საქმე, რომელიც ციფრებსაც ძნელად უჯერებს და აბა უმათოთ რას დაგიჯერებს.

1921 წლ. სტატისტიკური გამოკვლევით (იხ. „სტატისტიკური კრებული" 1919—27 წლ.) 1920 წელს საქართველოს წარმოებებში და დაწესებულებებში ითვლებოდა 50.689 მუშა-მოსამსახურე. 1923 წელს პირველ ოქტომბრიდან 1926 წლ. ოქტომბრამდე პროფკავშირთა წევრების რიცხვის ზრდა შემდეგ სურათს გვძლევს:

1 ოქტომბერი 1923 წ. 87.022 წევრი
„ „ 1924 „ 111.342 „
„ „ 1925 „ 129.347 „
„ „ 1926 „ 157.634 „

რას გვეუბნება ეს ციფრები? მუშამოსამსახურე კი არ გარბის კავშირებიდან, წარმოება - დაწესებულებებიდან. როგორც ამას, ერაძის თქმით, ის ჩადიოდა მენშევიკების დროს; ის ეხლა თანდათანობით ეტანება იმათ. მკვდარს გაურბოდნენ, ცოცხლისაკენ ეშურებიან. მაგრამ ეს კიდევ არ უპასუხებს ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე. ხელფასი, ეკონომიური მდგომარეობა როგორია ეხლა? 1925 წლის იანვარში მუშის თვიური ხელფასი უდრიდა 40 მან. 75 კაპ. (ჩერვონეცით) იმავე წლის სექტემბერში—53 მან. 6 კაპ. ჩვენ ვხედავთ, რომ ხელფასი თანდათან იზრდება. 1926 წელს საშუალო ხელფასი უდრიდა 65 მან. ეს ციფრი თავისთავად ჩვენ ვერაფერს ვერ გვეტყვის. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რას იყიდის ამ ფულით მუშა? ჩვენ ვიცით უკვე, რომ 1920 წლის ნოემბერში მუშას თავისი თვიური ხელფასით შეეძლო ეყიდა მხოლოდ სამი ფუთი სიმინდი. 1926 წლის სექტემბერში კი ფუთი სიმინდი თავისუფალ ბაზარზე ღირდა 1 მან. 20 კ. მაშასადამე, მუშას შეეძლო ეყიდა 54 ფუთზე ცოტა მეტი სიმინდი; მენშევიკების დროს კი მხოლოდ 3 ფუთს იყიდდა, ან და ეხლა ის იყიდდა 187 არშ. ჩითს (კოოპერატიული ფასები, რომ ავიღოთ, კიდევ უფრო მეტს). ვინაიდან ერთი მეტრი ჩითი სექტემბერში ღირდა 52 კაპ. მენშევიკების დროს კი იყიდდა მხოლოდ 6 არშინს და 5 გოჯს. იმ დროს არშინი ჩითი ღირდა 950 მან. მე აქ არც დასასვენებელ სახლებს, კურორტ - სანატორიუმებს, ყოველწლიურ ორი კვირით შვებულებას და ბევრ სხვა რამეს აღარ შევეხები და ვინც კიდევ შენატრის „პარიზის" მობრუნებას. მან ჯერ კარგად შეაფასოს ეს უდავო ციფრები, გონიერი და შესაფერი დასკვნები გამოიყვანოს აქედან და მერე მენშევიკები კი არა, თუ გინდ ჩინგიზ-ხანი ინატროს.

ჩვენ ვხედავთ, რომ აქაც, მუშათა კლასის საკითხშიაც, მენშევიკური საქართველო პირშავად დარჩა და ბოლშევიკური მას სჯობნის, სჯობნის იმდენად, რომ მათი შედარება რაღაც კარიკატურული გამოდის. ზევით ჩვენ დაღმა და აღმასვლაზე ვლაპარაკობდით და მე ვფიქრობ, რომ ჩემ მიერ წამოყენებული დებულება სავსებით დაამტკიცა ციფრმა. აქ—მენშევიკების დროს—საქართველო განქარებით სცილდებოდა ყველა დარგში ომის წინა დროის დონეს, აქ კი—ბოლშევიკების დროს—ის დიდად და შეუწყვეტლად უახლოვდება, და ზოგიერთ დარგში გაუსწრო კიდეც ამ დონეს. ვიცი, რომ აქ უთუოდ ერთ შენიშვნას წამაყენებენ: არაფერი ვაჟკაცობაა იმ დონესთან მიახლოვებაო. ამიტომ მე მინდა ერთი ცნობა მოვიყვანო მხოლოდ ერთი დარგის შესახებ,—ხელფასის შესახებ. მე ვსარგებლობ „1926—27 წლ. სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები"-ით, რომელიც მოსკოვმა გამოსცა.

რეალური ხელფასის მოძრაობა პროცენტებში 1913 წელთან შედარებით

წლები	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
1913	100	100	100	100	100
1919	99	87	75	—	34
1920	101	95	67,4	—	33
1921	111	95	76,9	—	35
1922	104,1	102,3	62,2	102,4	41
1923	97,1	107,3	62,2	—	59
1924	97,3	106,3	85	97,7	75,5
1925	99,3	99,7	95	89,7	87

უკანასკნელი სვეტი მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში (და აქ საქართველოც არის ნაანგარიშევი) ხელფასი 21 წლიდან სულ მაღლა და მაღლა იწევს და უახლოვდება 1913 წელს. ყველა სვეტების უკანასკნელი ციფრები მოწმობენ, რომ 1925 წლის ვერც ერთ სახელმწიფოს ვერ მიუღწევია 13 წლამდე. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ მსოფლიო ომის დასაწყისში როგორი ყოველ მხრივ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო რუსეთი. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ის ომი მთელი თავისი სიმძიმით უმთავრესად რუსეთს დააწვა და გაანადგურა. ისიც ცხადია, რომ ამ ომით, გერმანიის და რუსეთის გარდა ყველამ ხეირი [illegible] გერმანიიდან აღებული კონტრიბუციით. ომის შემდეგ რუსეთმა გადაიტანა ორი რევოლიუცია, სამხედრო ინტერვენცია, სამოქალაქო ომი და სხვ. და თუ ჩვენ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, ჩვენ აღტაცებაში უნდა მოგვიყვანოს საბჭოთა კავშირის შესახებ ზევით მოყვანილმა ციფრმა. მე სიტყვა გამიგრძელდა, მიუხედავად ამისა, მე არ შემიძლია დავსკვნა და ზევით ჩემ მიერ დასმული ზოგიერთ კითხვების პასუხებზე გადავიდე, სანამ ეროვნულ საკითხს და საქართველოს დამოუკიდებლობას არ შევეხები. საუბრის გასაადვილებლად, მე მინდა ამ ორი საკითხიდან ერთი საკითხი გამოვყო, მით უმეტეს, რომ მე ხომ სამეცნიერო შრომას არ ვიძლევი ამ წერილში, მე მხოლოდ პრაქტიკულ საკითხებს ვარჩევ, მე საქართველოს მისი, ასე ვსთქვათ, ყოფა-ცხოვრების მხრიდან ვუდგები, მე ვცდილობ ორი სურათის მოცემას (რა იყო მაშინ, და რა არის დღეს) და მათ დაპირისპირებას.

ივ. კაჩუხაშვილი.

(დასასრული იქნება).

---

*) იხ. „კომუნისტი" № 25.

შეცდომის გასწორება

ჩემ წერილში („კომ." № 25) შეცდომით არის ნაჩვენები 22 მილიონ ნახევარი მანეთი, როგორც კავთისხევის ცემენტის ქარხნის ღირებულება. უნდა იყოს: 2 მილიონ ნახევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არჩევნები დაიწყო

მტკიცედ გავატაროთ პარტიის დირექტივები

უკვე დაიწყო საბჭოების ქვედა ქსელის გადარჩევა.

პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მთელი ყურადღება მიმართული უნდა იქმნას ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიაზე და, რაც უმთავრესია, წარსული საარჩევნო კამპანიის შეცდომების გამოსწორებაზე, რომლებიც აღნიშნულია საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმისა და, აგრეთვე, საქ. კომპარტ. (ბ) ცეკას დეკემბრის პლენუმის რეზოლუციებში საბჭოების გადარჩევის საკითხზე. პასუხისმგებლობა ამ დადგენილებათა განხორციელებაზე პირველ რიგში ეკისრება საარჩევნო კრებების ხელმძღვანელთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საარჩევნო კამპანიის წარმატებით თუ არა წარმატებით ჩატარება საკმაოდ ხანგრძლივი დროისთვის განსაზღვრავს ჩვენს პოლიტიკურ მდგომარეობას და უდიდესი მნიშვნელობა ექნება ყველა ჩვენს ძირითად სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებისათვის.

რომელ ნაკლულევანებების აღმოფხვრას და რომელი ამოცანების დაყენებას ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება საბჭოების გადარჩევის დროს?

პირველი. ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული საბჭოების გადარჩევის მუშათა რაიონებში, რითაც აიხსნება მუშების სუსტი მონაწილეობა საარჩევნო კრებებში და მათი (მუშების) სუსტი მოზიდვა საბჭოების შემადგენლობაში.

მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს უნდა ვეცადოთ, რომ მუშებმა ნამდვილი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ გადარჩევაში და შევიდნენ საბჭოების შემადგენლობაში; განსაკუთრებით ეს საჭიროა საწარმოო კავშირებში გაერთიანებულ მუშების მხრივ.

„ჩვენთვის აუცილებელია პროლეტარიატის აქტივობის და მომზადების შემდეგი ზრდა. ჩვენთვის აუცილებელია; რომ მუშათა კლასი გახდეს ძირითადი სოციალური ძალა, რომლის მნიშვნელობაც კიდევ უფრო გაიზრდება ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჩვენთვის აუცილებელია, რომ შემდეგში ფართოდ დაიბადოს პროლეტარიატის ეს აქტივობა, რომ პროლეტარიატი და მისი მომხრე სოფლის ღარიბი ფენები გადაიქცნენ იმ სოციალურ ელემენტებად, რომლის ნიადაგზედაც მტკიცდება საბჭოების გამოცოცხლების ნამდვილი პროლეტარული პოლიტიკა" (მოლოტოვი).

მეორე. გლეხობის მოჯამაგირე და ღარიბი ნაწილის სუსტი მონაწილეობა საარჩევნო კრებებში და საბჭოების შემადგენლობაში მათი არასაკმაო მოზიდვა.

მიმდინარე კამპანიაში მუშაობა ისე უნდა დავაყენოთ, რომ მთელი ღარიბი გლეხობა, მთელი მოჯამაგირე გლეხობა ესწრებოდეს საარჩევნო კრებებს. საქართველოს ცაკის მიერ დაგზავნილია ცირკულიარები „საბჭოების არჩევნებში ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის მონაწილეობის შესახებ". ამ ცირკულიარის გატარებამ ცხოვრებაში უნდა უზრუნველჰყოს ღარიბი და მოჯამაგირე გლეხობის ფართო მონაწილეობა საარჩევნო კრებებში. ამ ცირკულიარის თანახმად, მუშა ხელის დამქირავებელი, შრომის კანონთა კოდექსის (მუხ. 161) ძალით, ვალდებულია არჩევნების დროს გაანთავისუფლოს მუშაობისაგან მუშა და მოჯამაგირე, რომ ამ უკანასკნელებმა მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო კრებებში.

ამასთან ერთად მიღებული იყო დირექტივა მაცხოვრებელთან საარჩევნო პუნქტების დაახლოების შესახებ—ისიც გაადვილებს არჩევნებში ღარიბი გლეხობის მონაწილეობას, მიუხედავად თბილი ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ნაკლებობისა. რაც შეეხება მოჯამაგირე და ღარიბი გლეხობის შეყვანას საბჭოების შემადგენლობაში, ამ მხრივ საჭიროა საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას დეკემბრის პლენუმის დადგენილებით ხელმძღვანელობა.

„საბჭოების შემადგენლობაში შეყვანილ იქნას გლეხობის მოჯამაგირე და ღარიბი ნაწილის წარმომადგენლები რაც შეიძლება მეტი რიცხვით".

მესამე. „პარტიის ხაზის" დამალვა განსაკუთრებით სოფლად. პარტიულ ორგანიზაციების საჯაროთ გამოსვლაზე უარის თქმას, პარტორგანიზაციათა კანდიდატურის წამოუყენებლობას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ადგილას (მოლოტოვი). ყველაფერი ეს აიხსნება ქვედა პარტიულ ორგანიზაციების მხრივ ამ მუშაობის ხელმძღვანელობისა და როლის შეუთვისებლობით.

გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას ეს ცალკე უარყოფითი მომენტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულ არჩევნებში. და სასტიკად გატარდეს ცხოვრებაში საქ. კომ. პარ. (ბ) ცეკას დეკემბრის პლენუმის დადგენილებები.

„გადამჭრელი ბრძოლა პარტორგანიზაციის „ხაზის დამალვის" ტენდენციის წინააღმდეგ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სოფლად ჩვენი პარტორგანიზაცია გადაიქცეს ფართე გლეხური მასების ნამდვილ ხელმძღვანელად. ახ. ლენ. კომკავშირმა, პროფკავშირებმა, კოოპერაციამ, ქალებკომებმა, ქალთა სადელეგატო კრებებმა უფრო მეტი ორგანიზაციული მონაწილეობა უნდა მიიღონ გადარჩევაში. პარტორგანიზაციებს ევალებათ ცალკე დასვან საკითხი ჩამოთვლილი ორგანიზაციების მონაწილეობის ორგანიზაციული ფორმების შესახებ".

მეოთხე. საბჭოების შემადგენლობაში ქალების მექანიკური მოზიდვა, იმის გაუთვალისწინებლად, შესძლებენ თუ არა ისინი მუშაობის წარმოებას; ასეთ მოვლენას კი ბევრგან ჰქონდა ადგილი.

საჭიროა გადამჭრელი ბრძოლის წარმოება ქალთა მოზიდვაზე ასეთი ზედამხედველობის წინააღმდეგ. დასახელებულ ქალთა კანდიდატურა ყოველმხრივ უნდა იქნას შესწავლილი და მომზადებული იქნას საბჭოების მუშაობაში მისი აქტიური მონაწილეობის უნარიანობა.

„ქალთა მექანიკური დაწინაურების მეთოდის უარყოფასთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმოს საბჭოებსა და აღმასკომებში ქალთა დაწინაურების საკითხს".

აი პარტიის ეს დირექტივა მთელი სერიოზულობით უნდა იქნას გატარებული ცხოვრებაში.

და ბოლოს არჩევნების შედეგების გაშუქებისა და პოლიტიკური აღრიცხვის სისუსტე ყველა სამაზრო აღმასკომებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საარჩევნო კამპანიის შედეგების აღრიცხვას და სტატისტიკას. „არჩევნების მსვლელობის დროს და შედეგებში აღმოჩენილ კლასიურ ელემენტებისა და კლასიურ ტენდენციების უფრო სწორი აღრიცხვის თვალსაზრისით" (ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის რეზოლუციიდან).

საჭიროა დაწვრილებითი ინსტრუქციები მიეცეთ ადგილებს არჩევნების შედეგების შესახებ ახალ ერთიან საანგარიშო ფორმების სწორედ შევსების მიზნით.

ყველა აღნიშნულ საკითხების, ისე როგორც სხვა საკითხების გარშემო, რომლებიც გადარჩევას შეეხებიან, ადგილებს მიღებული აქვთ კონკრეტიული პრაქტიკული მითითებანი; მათი გატარება კი სავსებით დამოკიდებულია ადგილობრივ მუშაკებისაგან და, აგრეთვე, იმისაგან, თუ ადგილები რამდენად სერიოზულად და ენერგიულად ხელს მოჰკიდებენ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ამ დირექტივის განხორციელებას. მედგრად, ენერგიულად მოვკიდოთ ხელი მის გატარებას.

ამნაირად მომავალ საარჩევნო კამპანიის ძირითადი ამოცანებია:

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების დირექტივის გატარება, რომელიც შემდეგში გამოიხატება: მუშებისა და გლეხების, განსაკუთრებით გლეხობის ღარიბი და მოჯამაგირე ნაწილის უფრო მეტი მოზიდვა, ამომრჩეველთა მეტი მონაწილეობა საარჩევნო კრებებში, საბჭოების შემადგენლობაში მუშების, მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხობის შეყვანა, საქმიანად მიდგომა საბჭოებში ქალთა კანდიდატურის დაწინაურებისადმი. არჩევნებზე ხელმძღვანელობის გაუმჯობესება ქვედა პარტიულ ორგანიზაციების მხრივ.

განვახორციელებთ რა ამ ამოცანებს, ჩვენ შევასრულებთ საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგის ნამდვილ განხორციელებას, პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცებას და ღარიბი და საშუალო გლეხობის ბლოკის გაძლიერებას.

ი. ჯავახია.

როგორ მიმდინარეობს არჩევნები თბილისში

გუშინ არჩევნები ჩატარდა

„თემქაში"

2 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზე თბილისის ელექტრო - მექანიკურ ქარხანაში მოხდა საბჭოს დეპუტატების არჩევნები. შესწყდა მუშაობა ყველა ცეხში და მუშები დაიყვნენ ჯგუფებათ თავიანთ ოჯახის წევრების მოლოდინში. არ გასულა დიდი ხანი, რომ ქარხნის ეზოში თავის მოყრა დაიწყეს დიასახლისებმა—მუშების ცოლებმა, დედებმა და დებმა.

საარჩევნო დარბაზში თავი მოიყარა 130-მდე ამომრჩეველმა. გამოცხადდა საარჩევნო კომისია და კრებაც გაიხსნა. ამხ. ნოდარაძე ქართულ ენაზე კითხულობს ნაკაზს, შემდეგ იგივე ნაკაზი წაკითხულ იქნა რუსულად.

— უნდა მოისპოს საბჭოთა დაწესებულებებში ბიუროკრატიზმი.

— საბინაო საკითხი ვერ არის ჯეროვნად მოგვარებული, უნდა გაფართოვდეს საბინაო მშენებლობა. საჭირო არის სკოლების ქსელის გაფართოება.

— უპატრონო ბავშვებს უნდა მიექცეს ყურადღება.

ასეთი შესწორებები შეჰქონდათ მუშებს ნაკაზში. შესწორებებისა და დამატებების შეტანის დასრულების შემდეგ საბჭოში არჩეულ იქნა სამი დეპუტატი: ამხ. ნოდარაძე (კომუნისტი), ამხ. პრიხოვსკი (უპარტიო) და ამხ. აბაზაძე (კომკავშირელი).

ასეთი საქმიანი და უჩვეულო კრება ჯერ ჩვენს ქარხანაში არ შემდგარაო, ამბობდენ კრებიდან დაშლილი მუშები.

ალმასკომის მე-2 სტამბაში

აღმასკომის მე-2 სტამბაში (ყოფ. სამხედრო სტამბა), საარჩევნო კრება გაიხსნა დღის სამ საათზე. სტამბის წითელ კუთხეში თავი მოიყარეს ადგილობრივმა მუშებმა და მათი ოჯახის წევრებმა. სულ კრებაზე გამოცხადდა 104 ამომრჩეველი. მათ შორის 23 ქალი.

ნაკაზის წაკითხვის შემდეგ მუშებმა შეიტანეს მთელი რიგი დამატებები და შესწორებები. ნაკაზის შესახებ წარმოთქმულ სიტყვებში მუშები გამოსთქვამდენ სურვილს, რომ ახალმა საბჭომ ყურადღება მიაქციოს მთელ რიგ დეფექტებს. რომელთაც ამჟამად აქვს ადგილი ასეთი დეფექტებია სკოლების სიმცირე, განაპირა უბნების მოუწყობლობა და სხ.ვა.

საბჭოს დეპუტატებათ ერთხმად ამორჩეულ იქნა ამხ. **დ. მორბედაძე** (კომ.) ასოთ-ამწყობი და ამხ. კამალოვი (კომ.).

არჩევნების დასრულების შემდეგ ამომრჩევლებმა მადლობა გადაუხადეს დამსწრეებს ნდობის გამოცხადებისათვის და განაცხადეს, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებენ ამომრჩევლების დავალებათა შესრულებას.

საკომსაბჭოს გარაჟში

დილის 11 საათზე სახკომსაბჭოს გარაჟში თავი მოიყარეს ყველა ადგილობრივმა შოფერებმა, მათმა თანამშრომლებმა და ოჯახის წევრებმა.

შოფერებს განსაკუთრებული მოთხოვნილებები აქვთ დეპუტატებისადმი წარდგენილი:

— უნდა მოგვარდეს ქუჩებში მოძრაობა, გამოუცდელი შოფერები არ უნდა იქნენ დაშვებული მანქანებზე, საჭიროა გაიაფდეს მუშებისათვის თეატრის ბილეთები, უნდა მოგვარდეს საბინაო მშენებლობის საკითხი და სხ.

ნაკაზის მიღების შემდეგ კრებაზე წარმოდგენილი იქნა რამოდენიმე კანდიდატურა, ხმების უმრავლესობით არჩეულ იქნა ამხ. **ხოროშილოვი.** (კომ.).

ასოთ-ჩამომსხმელ ქარხანაში

გუშინ 2 თებერვალს მუშაობის შემდეგ, ნაშუადღევის 1 ნახ. საათზე შესდგა ასოთ - ჩამომსხმელ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას ყველა მუშა-მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები დაესწრო. დღის წესრიგში დასმული იყო: საბჭოს დეპუტატის არჩევა და არჩეულთათვის შესაფერი „ნაკაზი"-ს მიცემა. კრებამ საბჭოს დეპუტატად აირჩია ამხ. **გ. მარკინი.**

შემდეგ საერთო კრებამ განიხილა „ნაკაზი", რომელიც მიიღო რამოდენიმე დამატებით.

პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბაში

გუშინ, მუშაობის გათავების შემდეგ შესდგა პოლიგრაფტრესტის მეორე სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. საბჭოს დეპუტატების ასარჩევად და არჩეულ დეპუტატთათვის „ნაკაზის" მისაცემად. კრებამ საბჭოს წევრებად ერთხმად აირჩია შემდეგი ამხანაგები: ამხ. **ხატუროვი** და **ციმაკურიძე** კანდიდატად ამხ. **მეფისაშვილი.** საბჭოს დეპუტატების არჩევნების შემდეგ კრებამ განიხილა „ნაკაზი" და შეიტანა მასში დამატებები.

კრებას სტამბის ყველა მუშა-მოსამსახური დაესწრო.

ჩვენი დავალება ახალ საბჭოს

(გრეხილ-ავეჯეულობის ქარხანაში)

დღის სწორედ 2 საათზე ქარხნის ეზოში თავი მოიყარეს ადგილობრივ მუშების ცოლებმა, დედებმა და დებმა. შესწყდა ხმაური ფაბრიკაშიაც და დაისვენეს ხერხებმა, ხელჩოებმა და სხვა სადურგლო იარაღებმა, ასე უწყალოთ, რომ იკვითებიან ყოველდღიური მუშაობის დროს.

— ნაკაზი ძალიან კარგია, მაგრამ უნდა დაუმატოთ, რომ კოოპერატივები საჭიროა საღამოობითაც ვაჭრობდენ, ქალაქის განაპირა კუთხეებში გაიხსნას ახალი კოოპერატიული დუქნები, განაპირა ქუჩებში ღამე გავლა არ შეიძლება და ამიტომ მოგებულ უნდა იქნას ქვაფენილებით.

— გახსენით ახალი სკოლები, თორემ ბავშვები სასწავლებლებს გარეთ გრჩება — ამატებდენ მუშები ნაკაზს ახალ პუნქტებს.

დამატებებისა და შესწორებების შემდეგ დაწყებულ იქნა კენჭის ყრა. საბჭოს დეპუტატებათ ერთხმათ აირჩიეს ამხ. პავლიაშვილი (კომ.) და ამხ. კაციტაძე (უპარტიო).

სად შესდგება დღეს არჩევნები

1. პოლიგრაფიულ სკოლაში, დღის 3 საათზე — ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრთათვის.

2. ცეკავშირის სტამბაში, დღის 3 საათზე — სტამბის მუშებისა და მათი ოჯახის წევრთათვის.

3. რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში — ქალაქის რაიონის შინამოსამსახურეებისათვის და მეეზოვეებისათვის.

4. რუსთაველის ელექტრო - სადგურზე — ადგილობრივი მუშებისათვის. დღის 2 საათზე.

ამომრჩევლებმა თან უნდა იქონიონ საარჩევნო უწყებები, ურომლისოდაც დარბაზში არავის შეუშვებენ.

5. მეორე რაიონში. ნაშუადღევის 3 საათზე შესდგება ცხენსაშენ საჯინიბოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება ადგილობრივ. (კლარა ცეტკინის ქ.)

საღამოს 6 საათზე ავტო-კლუბში შოფერების ადგილკომის კრება. საბჭოს დეპუტატების ასარჩევად.

არჩევნები ადგილებზე

სამზადისი დამთავრდა

ახალსენაკი, 2 თებერვ. დამთავრდა წინასწარი საარჩევნო მუშაობა. მაზრა დაყოფილია 198 უბნად.

ქალაქის საბჭო გაუქმებულია; არჩეულ იქნება სათემო საბჭო. (ადს).

რამდენ დელეგატს აირჩევენ.

ახალ-სენაკი, 2 თებერვალი. მთელს მაზრაში არჩეულ უნდა იქნეს 1.242 დეპუტატი და 410 კანდიდატი. საბჭოების სამაზრო ყრილობაზე არჩეულ იქნება 120 დელეგატი (ადს).

თვით საარჩევნო კომისიას წაერთვა ხმა

(დ. თიანეთი, თბილ. მ.)

გაზეთ „კომუნისტი"-ს 1927 წ. 29 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო ჩემი წერილი საარჩევნო კომისიის იმ უღირს წევრებზე, რომლებსაც არა ჰქონდათ უფლება საარჩევნო დებულების მიხედვით, რომ ყოფილიყვნენ საარჩევნო კომისიის წევრებათ. ეს პირები პასუხისგებაში არიან მიცემულნი და „მაგარი" ბრალდებებიც აქვთ წაყენებული. ისინი არიან: ლექსო სისაური და სვიმონ გონჯილაშვილი.

მათი გასვლა საარჩევნო კომისიაში გაუგებრობით მოხდა, რადგან კომისიის არჩევნების დროს მთელი აქტიური და პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგები იყვნენ თბილისში პარტიულ კონფერენციაზე.

ისარგებლეს რა ამით ამ ყმაწვილებმა კერძო ინტერესით წაართვეს ხმა იმ გლეხებს, რომლებსაც დებულების თანახმად არ ერთმევათ ხმა და თბილისიდან ჩამოსულ ამხანაგი შეიყვანეს შეცდომაში, რადგანაც სხვადასხვა ტყუილები უამბეს მას. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

დაბრუნდენ თუ არა თბილისიდან ყველა ამხანაგები, მოხდა ხელმეორეთ კრება, სადაც გამოირკვა, რომ მართლა კერძო ინტერესებს ჰქონდა ადგილი საარჩევნო სიების შედგენის დროს. გაუგებრობით წაერთვა ხმა რამდენიმე პირს, რომელნიც ისევ აღადგინა საარჩევნო კომისიამ.

ეს ყმაწვილები კი დაფერთხეს საარჩევნო კომისიიდან და დებულების თანახმად თვით ამ ყმაწვილებს წაერთვა ხმის უფლება. რადგანაც თიანეთის სახალხო გამომძიებელმა ყაყიჩაშვილმა და მოსამართლე გოგოსაშვილმა მათ წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები დაადასტურა.

ამ სტრიქონების დამწერს გაშავებულმა პირებმა ჩაუქნიეს თავი მუქარის ნიშნად. ამას ვწერ ჩვენი გაზეთის მკითხველების და რედაქციის გასაგონათ, რადგანაც ჩემ პირველ წერილს თვით რედაქციაც გამოეხმაურა. ეხლა მდგომარეობა გამოსწორებულია.

ზაქარია ბადურაშვილი.

როგორ ჩავატარეთ მოსამზადებელი მუშაობა

(წერილი სიღნაღიდან)

მაზრაში თავის დროზე დაწყებული და უკვე დამთავრებულ იქნა მოსახლეობის დეტალური აღწერა. მთავარი, რაც უნდა აღინიშნოს აღწერის გარშემო არის ის, რომ მაზრაში საშუალოდ 150 პროცენტამდე იმატა არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოკლებულთა რიცხვმა. ეს აიხსნება შემდეგი გარემოებით: პირველი ისაა, რომ წელს ენერგიული ზომები იყო მიღებული კონსტიტუციით და საარჩევნო ინსტრუქციით უფლება მოკლებულთა „აღმოსაჩენად"; მეორეც ის, რომ თვით საარჩევნო ინსტრუქცია სათანადოთ ამრავლებს (შარშანდელთან შედარებით) არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოკლებულთა რიცხვს. შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით ბევრი იყო საჩივრები იმ პირთა, ვისაც უფლება წაერთვათ. ხსენებულ საჩივრებზე როგორც სათემო, ისე სამაზრო საარჩევნო კომისიები თავის დროზე აძლევდენ სათანადო პასუხს.

გარდა ამისა ჩატარებული იქნა პროფკავშირის ყველა ადგილკომების გაერთიანებულ კრებებზე მოხსენებები არჩევნების მომზადება და გატარებასთან დაკავშირებულ კითხვების გასარკვევად. განსაკუთრებული სიცხოველით და ნაყოფიერად იქნა ჩატარებული მოჯამაგირეთა კრებები.

სხვათა შორის საბჭოების გადარჩევის კამპანიას შარშან ის ნაკლი ჰქონდა, რომ მოჯამაგირეები ნაკლებათ იყო გაყვანილი საბჭოებში. ამ დეფექტის თავიდან ასაცილებლად წელს მიღებული იქნა სათანადო ზომები. ამასთანავე ყველა მოზრდილ თემებში გაკეთებულ იქნა მოხსენებები სამაზრო ხელისუფლების მოღვაწეობაზე. მოთავებული იქნა აგრეთვე სათემო საბჭოების მიერ ანგარიშის ჩაბარებაც. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამომრჩევლების საქმიანი კრიტიკა უზრუნველყოფილი იყო. შარშანდელთან შედარებით სათემო აღმასკომების მოხსენებები იყო პრაქტიკული და საქმიანი. უნდა აღინიშნოს ის საქმიანი კრიტიკა და შენიშვნები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სათემო საბჭოების მოხსენებების ირგვლივ. სათემო აღმასკომების მოხსენების შემდეგ თანამოხსენებლად გამოდიოდნენ სარევიზიო კომისიები. ხსენებულ კომისიებმა მოსამზადებელ მუშაობის განმავლობაში ყოველ მხრივ გამოიკვლიეს საბჭოების და აღმასკომების საქმიანობა.

ამჟამად მიმდინარეობს ღარიბი გლეხების, მოჯამაგირეების და საშუალო გლეხების აქტივის საუბნო კრებები. სადაც წინასწარ მუშავდება ახალი საბჭოს კანდიდატების სიები. ხსენებულ კრებებს ხელმძღვანელობენ უშუალოდ კომუჯრედები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ წელს პარტორგანიზაცია გაბედულ და სწორ ხელმძღვანელობას უწევს არჩევნების კამპანიას და ამიტომაცაა, რომ დღემდე არავითარ გაუგებრობას არ ჰქონია ადგილი. ამრიგად, საბჭოების არჩევნების როგორც ტექნიკური, ისე ორგანიზაციული სამზადისი უკვე დამთავრებულია. თვით არჩევნები დაიწყო პირველ თებერვალს ქიზიყის რაიონის ბოდბისხევის თემში და დამთავრდება მარტის ხუთში.

აკ. ჭოჭუა.

შეცდომის გასწორება

სახ. კომისართა საბჭოს სტამბაში დეპუტატი არჩეულ იქნა ამხ. **ერასტი გაბუნია** და არა გრ. გაბუნია, როგორც ეს იყო აღნიშნული ჩვენი გაზეთის 2 თებერვლის ნომერში.

ნუ თუ?

გაზ. „პრავდა"-ს მე-10-ე ნომერმა განსაცვიფრებელი ამბავი მოიტანა.

თავის მოხსენებაში, რომელიც გაკეთებულ იქნა მოსკოვის საგუბერნიო კონფერენციაზე, ამხ. ნ. ბუხარინმა, სხვათა შორის, სთქვა: „სწარმოებს ენერგიული მუშაობა პოლონეთში, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ეროვნულ რესპუბლიკების და ოლქების ეროვნულ-ბურჟუაზიული და ფეოდალური შეჯგუფებანი, ეროვნული თეთრგვარდიელნი: უკრაინის, ბელორუსიის, ბურჟუაზიული, მენშევიკური და ფედერალისტური ელემენტები საქართველოსი და სხვა.

საქმე იქამდე მიდის, რომ მენშევიკებმა დასვეს და დადებითად გადასწყვიტეს საკითხი საქართველოში აჯანყების შესახებ.

არის უდავო ცნობები, რომ აჯანყება დაკავშირებული იქნება პოლონეთის ან რუმინიის გამოსვლასთან. შესაძლოა იგი ადრეც მოხდეს"-ო.

ასეთ ცნობას იძლევა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ფრიად პასუხისმგებელი წარმომადგენელი.

ეჭვს გარეშეა, ყოველ ქართველში, რომელსაც აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, ეს ცნობა უდიდეს განცვიფრებას გამოიწვევს: როგორ, აგვისტოს ამბების შემდეგ კიდევ აჯანყება?

ეს დაუჯერებელი ამბავია და მას ჩვენში არავინ დაიჯერებდა, არავინ ყურს არ ათხოვებდა, რომ ჩვენ თვალწინ არ გვქონდეს ორი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი. ერთი: განცხადებას აკეთებს უაღრესად პასუხისმგებელი პირი, რომლის ყოველი სიტყვა და წინადადება მოფიქრებული და წინდახედულია. მეორე: ჩვენ გვაქვს წარსულში პრეცედენტი — 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, რომელიც ყველასათვის, ვინც არსებულ პირობებს ოდნავ მაინც იცნობდა, დაუჯერებელი იყო და, მიუხედავად ამისა, მაინც მოხდა.

აქვს თუ არა რაიმე შანსები აჯანყებას ჩვენში?—არავითარი. ამაში ჩვენ დაგვარწმუნებს არსებულ ძალთა განწყობილების უბრალო გათვალისწინება. მოვიგონოთ 1921 წლის თებერვალ-მარტის დღეები და შევადაროთ ისინი დღევანდელ მდგომარეობას.

საქართველო მაშინ დემოკრატიულ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ნ. ჟორდანიას მთავრობას ჰყავდა ჯარი და გვარდია, მის ხელში იყო მთელი სახელმწიფოს აპარატი, ჰქონდა ნივთიერი საშუალებანი და სარგებლობდა გარკვეულ წრეების თანაგრძნობით მიუხედავად ამისა, ის დამარცხდა. დამყარდა საბჭოთა წესწყობილება.

ახლა ვკითხოთ: დღეს, როდესაც „დემოკრატიულ მთავრობას" არა ჰყავს არც ერთი ჯარისკაცი, არა აქვს ხელთ სახელმწიფოს აპარატი და გახიზნულია უცხო ქვეყანაში, განა მეტი შანსები აქვს „გამარჯვების?" რა თქმა უნდა, არა.

1921 წლის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. დღეს საქართველოში, გარდა კომუნისტებისა, არავითარი პოლიტიკური პარტია არ არსებობს და, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ანტიბოლშევიკური ნაშთები სადმე კიდევ დარჩენილა, ის არავითარ ძალას არ წარმოადგენს.

საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები სრულიად განადგურდენ. იმავე დროს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება 1921 წელთან შედარებით ასჯერ უფრო გაძლიერდა მთელ ამიერ-კავკასიაში და კერძოთ—საქართველოში. ცხადია, როცა ერთი მხარე ნადგურდება ხოლმე, მეორე ყოველ დღე ძლიერდება—პირველის აჯანყება წარმოუდგენელია.

საბჭოთა კავშირს შეუძლია თოფქვეშ იყოლიოს სამჯერ მეტი კაცი, ვიდრე ჩვენ ვართ მთელ საქართველოში. ამის შემდეგ სიგიჟე არ იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ბათოჯაში აჯანყებით ის დასცემს საბჭოთა ხელისუფლებას მთელს საბჭოთა უზარმაზარ კავშირში?!

რუსეთში სამოქალაქო ომი სამი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

საბჭოთა რუსეთს ყოველ მხრით უტევდენ: ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. სოციალისტი, ბურჟუა, მონარქისტი, გენერალი და ყოფილი ტერორისტი, ყველა ბედს ცდიდა, ყველა იარაღით ხელში ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. რა გამოვიდა? შედეგები ფრიად ორიგინალური და დამაფიქრებელია:

1) განადგურდენ ყველა ის ძალები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდენ.

2) სახალხო მეურნეობა ერთიანად მოიშალა. ქვეყანა გაღატაკდა.

3) ბოლშევიკები უფრო შემჭიდროვდენ და გაძლიერდენ.

ერთი სიტყვით, ანტისაბჭოთა ძალებმა მიიღეს შედეგები, დიამეტრალურად საწინააღმდეგო იმის, რასაც ისინი მიზნად ისახავდენ.

შეიძლება ვინმემ იფიქროს—აჯანყება რომ მოხდეს, დაგვეხმარებიანო. ასეთი იმედი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. როცა დემოკრატიული საქართველო ფეხზე იდგა, სახელმწიფოს წარმოადგენდა, ჰყავდა თავისი შეიარაღებული ძალა და სხვ., მას არავინ დაეხმარა დღეს, დავიჯეროთ, რომ ევროპის იმპერიალისტები ისეთი უანგარო ხალხია, რომ „დემოკრატიულ მთავრობას" ყველაფრით დაეხმარებიან?

არა. ამას ჩვენ ვერ დავიჯერებთ.

ახლა დავსვათ კითხვა: შესაძლებელია თუ არა საგარეო გართულება, რომელსაც, როგორც ამხ. ბუხარინის მოხსენებიდან სჩანს, უკავშირებენ აჯანყებას?

უკვე აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ თუ ომი შესაძლებელია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, მით უფრო შესაძლებელია ის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირის შორის. აქედან აშკარაა, კითხვაზე—შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირისა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის საგარეო გართულება—ომი,—ჩვენ უნდა მივუგოთ დადებითად:

დიახ, იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და საბჭოთა კავშირს შორის საგარეო გართულება—ომი—შესაძლებელია.

საბჭოთა წესწყობილება უარჰყოფს იმ სახელმწიფო პრინციპებს, რომლებზედაც დამყარებულია ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები. თვით ფაქტი საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისა, არის უდიდესი დემონსტრაცია იმ გარემოების, რომ რეაქციის ფრონტი გარღვეულია..

ყოველი მიღწევა, რომელსაც ადგილი ექნება საბჭოთა რესპუბლიკების სოციალისტურ აღმშენებლობაში, არის სოციალიზმის იდეების საუკეთესო აგიტაცია ევროპის მუშათა წრეებში და, მაშასადამე, იგი არის უდიდესი მუქარა ბურჟუაზიის ბატონობისათვის მთელს მსოფლიოში.

ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ კომპარტია და კომინტერნი მხარს უჭერენ და ყოველი მხრივ ეხმარებიან რევოლიუციონურ მოძრაობას მთელს დედამიწაზე.

ყოველივე ამის გამო ევროპის ბურჟუაზიას აქვს სრული საფუძველი ჭირივით სძულდეს საბჭოთა კავშირი და მთელი თავისი ძალღონით ცდილობდეს მას ხელი შეუშალოს, იგი დასცეს და გაანადგუროს.

მაგრამ ერთია სურვილი და მეორეა რეალური შესაძლებლობა.

საბჭოთა კავშირი უზარმაზარი ქვეყანაა, მას აქვს უდიდესი შესაძლებლობანი. მას ადვილად ხელს ვერავინ წამოჰკრავს, საბჭოთა კავშირის ირგვლივ არც ერთი პირველხარისხოვანი სახელმწიფო არ არის, მის გარშემო არის შედარებით პატარა სახელმწიფოები, რომლებსაც თვითარსებობის ინსტიქტი უკარნახებთ მეტად ფრთხილად იყვნენ საბჭოთა კავშირთან.

მაშასადამე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის საწარმოებლად საჭიროა უდიდესი კოალიცია. ეს კი მოასწავებს მეორე საერთაშორისო იმპერიალისტური ომის გამოწვევას. ყველა იმ ფიზიკურ და ნივთიერ განადგურებათა შემდეგ, რაც პირველმა საერთაშორისო იმპერიალისტურმა ომმა სხვადასხვა სახელმწიფოებს მოუტანა, იმ პოლიტიკურ პერტრუბაციების შემდეგ, რაც ამ ომს შედეგად მოჰყვა—საერთაშორისო იმპერიალისტური ომის მეორე გამოცემა მეტად სახიფათო საქმეა. მის განმეორებას ადვილად ვერ გაბედავენ თვით ის სახელმწიფოები, რომლებიც მომავალი ომებისათვის გაშმაგებით ემზადებიან.

მაშასადამე: 1) ის უდიდესი კრიზისი და განადგურებანი, რაც საერთაშორისო იმპერიალისტურ ომს მოჰყვა და რაც ჯერ კიდევ დაძლეული არ არის—აი ერთი უმთავრესი მიზეზი იმის, თუ რატომ ეძნელება იმპერიალისტურ ევროპას საბჭოთა კავშირთან ჯვაროსნული ომი.

2) ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებობს უდიდესი წინააღმდეგობანი ყოველ მათგანს აქვს თავისი ანგარიშები თავის მეზობლებთან, დავა და უთანხმოებანი. ეს ძლიერ ხელს უშლის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთი მთლიანი მებრძოლი ფრონტის შექმნას.

3) დღეს რომ საერთაშორისო იმპერიალისტური ომი ისევ ატყდეს, წარმოუდგენელია ევროპის მუშათა კლასი ისევ აჰყვეს თავის ბურჟუაზიას, როგორც ეს 1914 წელში მოხდა. განსაკუთრებით წარმოუდგენელია, რომ ის გვერდში ამოუდგეს თავის ბურჟუაზიულ მთავრობებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში.

4) ევროპის ბურჟუაზიას სძულს საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ უყვარს საბჭოთა სიმდიდრე. ამიტომ ევროპის ბურჟუაზიის საქმიანი წრეები ადგებიან ასეთ გზას,—ისინი ცდილობენ დაწუწკონ კომუნისტური მოძრაობა თავის ქვეყნებში, ხოლო იმავე დროს უახლოვდებიან საბჭოთა კავშირს ეკონომიურ შეთანხმებათა ნიადაგზე. ეს გარემოება ხელს უშლის, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომების დაწყებას.

5) საბჭოთა ხელისუფლებას, რომლის ხელთ არის უდიდესი და უმდიდრესი ქვეყანა, შეუძლია გააკეთოს, თუ ამას მოითხოვს ძალთა რეალური განწყობილება, ისეთი დიპლომატიური და პოლიტიკური მანევრები, რომლებსაც შეუძლია ჩაშალოს მრავალი სახიფათო კომბინაცია.

6) საბჭოთა კავშირი არ არის განიარაღებული ქვეყანა. მას ჰყავს თავისი წითელი არმია. რომელიც წარმოადგენს არა მარტო შეიარაღებულ ძალას, არამედ რევოლიუციის არმიას და, მაშასადამე, არის ორმაგი საფრთხე ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის.

ყოველივე ეს და სხვა მრავალი პირობა და მიზეზი ხელს უშლის იმპერიალისტებს დაიწყონ ჯვაროსნული ომები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მაგრამ, ვსთქვათ, რომ ყოველივე ეს არის უბრალო მოსაზრება და სინამდვილეს არ შეეფერება; ვსთქვათ, შეიქმნა მთლიანი ანტისაბჭოური ფრონტი ბალტიის ზღვიდან ბოსფორამდე დაიწყო:

Бабка за дедку,
Дедка за репку.

გამოვიდენ აქტიურად პოლონეთი, ფინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონია, რუმინია და სხვ. ვსთქვათ, დაიწყო ომი.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ამ შემთხვევაში? ამაზე პასუხის გაცემა ადვილია: როცა ომები იწყებოდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, ყველა ხეირიანი სოციალისტი ომის წინააღმდეგი იყო, ყველას სავალდებულოდ მიაჩნდა ომის წინააღმდეგ ბრძოლა. ასე იყო, ვიდრე სოციალისტურ ინტერნაციონალში 1914 წელს ტვინის ძვრა არ მოხდებოდა, ვიდრე სოციალისტური ინტერნაციონალის ბელადები და თვალსაჩინო წევრები მონარქებს გვერდში არ ამოუდგებოდნენ.

აშკარაა, ყოველი სოციალისტი, რომელსაც სოციალისტურ სინიდისზე მთლად ხელი არ აუღია, უნდა იყოს მთელი თავისი არსებით იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, საერთოდ და, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი საბჭოთა კავშირს ემუქრება. მან უნდა მიიღოს ყოველი ზომა, რომ ასეთი ომი არ მოხდეს, ხოლო, თუ იგი მოხდა, ის უნდა ჩადგეს საბჭოთა ქვეყნის დამცველთა პირველ რიგებში. სხვა გზა სოციალისტისათვის აქ არ არსებობს.

პოლონეთი-რუმინია ვერ დაისახავს მიზნად რუსეთის დაპყრობას. ეს ხომ საშინელი უტოპია იქნებოდა. მათი მიზანი იქნება ჩამოგლიჯონ საბჭოთა კავშირს ახალი ნაჭრები, ახალი ოლქები. ამ მხრით მათ გააკეთეს წარსულში ერთგვარი ექსპერიმენტი: რუმინიამ მიითვისა ბესარაბია, ხოლო პოლონეთმა—რამდენიმე მილიონი წმინდა რუსული მოსახლეობა. ასეთ პირობებში ამ სახელმწიფოების ახალი ტერიტორიალური გაფართოვება საბჭოთა კავშირის ხარჯზე, უდავოა, გამოიწვევს რუსეთის ინტელიგენციაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მის ნაწილშიაც კი უდიდეს პატრიოტულ აღტყინებას, ხოლო თუ მათ უკან გამოაყოლეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ან კირილე ვლადიმერის ძე მათი დამქაშებით,—საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი ნაწილი ინტელიგენციითურთ, როგორც ერთი კაცი, იარაღით გამოვა. ასეთი იქნება ამ სახელმწიფოების შეტევის აუცილებელი შედეგი.

მაგრამ, ვსთქვათ, ევროპის იმპერიალისტებმა მიზნათ დაისახეს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კიდეც მიაღწიეს მას. როგორ ფიქრობთ, იმპერიალისტები, რომლებმაც თავის ფულით, იარაღითა და ჯარით საბჭოთა ხელისუფლება დასცეს, რუსეთში სოციალისტებს წამოასკუპებენ სათავეში? ეს შეუძლებელია. ამ შემთხვევაში გამარჯვების ყველაზე მეტი შანსები აქვს მონარქიას, რომელიც არავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს არსებობას. კიდევ მეტი. დამოუკიდებელ საქართველოს არსებობას ვერ ურიგდებიან რუსეთის კადეტები და ვერც რუსეთის ესერები და მენშევიკები. ასეთია ფაქტები.

ასეთ პირობებში ჭკუაზე მყოფი ადამიანი განა იფიქრებს, რომ ომს საქართველოს ბედი დაუკავშიროს?! ცამდე მართალია ირ. წერეთელი, როცა ამბობს: „თუ რუსეთს ვაგრძნობინეთ, რომ ყოველ გართულების დროს ჩვენგან ხიფათს მოელის, იცოდეთ, საშინელ ბედს მოვუმზადებთ ჩვენს ხალხს".

ამნაირად აჯანყება, იქნება იგი დაკავშირებული საგარეო გართულებასთან, თუ დამოუკიდებლად იწარმოებს,—არის საშინელი პროვოკაცია და ავანტიურა, რომელიც ჩვენს ქვეყანას თავს დაატეხს უმაგალითო უბედურებას.

აჯანყების მოწყობა, საგარეო გართულებით სარგებლობა და სხვ., არის არა საქმე, არამედ საიქიო (თუ საიქიოს) ტაქტიკა. იქ ევროპაში ადვილია ადამიანი დაჯდეს, მაგარი წერილები სწეროს და სხვადასხვა გეგმები შეადგინოს, მაგრამ საბჭოთა სინამდვილეში ევროპიდან გამოგზავნილი უხეირო რეცეპტით მუშაობა შეუძლებელია და ქვეყნის დაღუპვისა და განადგურების მეტს არაფერს მოიტანს. ამას მოწმობს 1924 წლის აგვისტოს გამოსვლების ფინალი და მასთან დაკავშირებით ჩვენი ინტელიგენციის ოფიციალური დეკლარაციები.

ამიტომ ჩვენმა ინტელიგენციამ, ყოველმა მუშამ და გლეხმა, ყოველმა ქართველმა თავის სოციალისტურ და ეროვნულ მოვალეობათ უნდა დაისახოს—არ წამოეგოს პროვოკაციის ანკესზე, არ ათხოვოს ყური უსაფუძვლო ჭორებსა და ჩურჩულს.

არ მიეკაროს ახლოს იმათ, ვისაც სურს 1924 წლის ავანტიურის განმეორება და ჩვენი ქვეყნის უდიდეს განსაცდელსა და საფრთხეში ჩაგდება.

მაშ ასე. გსურს აჯანყება? დაიმახსოვრე:

1) განადგურდები.

2) ეროვნულ ღალატს ჩაიდენ და ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას ლახვარს ჩასცემ.

3) არავინ დაგეხმარება.

აჰა შენ იცი!

ლეო შენგელაია.

„ახალი გზა", № 2.

ყრილობები და თათბირები

ა.-კ. მე-2 სამალარიო ყრილობა

მეოთხე დღე

დილის სხდომა

2 თებერვლის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა პროფ. ოკინშევიჩის, ექ. კალანტაროვას და სომხეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის ექ. მატევოსიანის მოხსენებები.

პროფ. ოკინშევიჩის მოხსენება

პროფ. ოკინშევიჩი თავის მოხსენებაში ეხება ჰაჭების დაჩირქიანებას მალარიის ნიადაგზე და აქედან წარმომდგარ დიზინტერიის აზრებში. ორატორი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მარტო ბაქოში, სადაც მუშაობდა მომხსენებელი, ადგილი ჰქონდა მალარიის ნიადაგზე ჰაჭების დაჩირქიანების 196 შემთხვევას.

ეს ავათმყოფობა ხშირათ იწვევს ე. წ. ამებურ დიზინტერიას ანუ კუჭის აშლას და მის დაავადებას. ამ სენით დაავადებულნი იძლევიან მორჩენის 27 პროცენტს. გარდა ამისა აზერბეიჯანში და კერძოთ ბაქოში ადგილი აქვს აგრეთვე ე. წ. მალტის ციებას. აღნიშნული სენი ძლიერ გავრცელებულია აგრეთვე რქოსან საქონელზე და აქედან ავათმყოფდებიან ადამიანები.

სომხეთის ტროპ. ინსტიტუტის მუშაობა

სომხეთის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის მუშაობის ერთი დარგის შესახებ მოხსენებლათ გამოდის ექ. კალანტაროვასი. მომხსენებელი ამბობს, რომ ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სომხეთში სხვადასხვა სენების გამავრცელებელ კოღოების და მწერების შესწავლას.

გამოკვლევების დროს გამოირკვა, რომ სომხეთში სულ ყოფილა 14 სხვადასხვა ჯიშის მწერი. ეს მწერები იწვევენ ე. წ. „გლისტურ დავადებას", რითაც დაავადებულია მთელი მოზარდი მოსახლეობის თითქმის 96 პროცენტი.

შემდეგი მომხსენებელი ექ. მატევოსიანი ეხება ინსტიტუტის მუშაობას მალარიის ნიადაგზე ნაწლავების დაავადების შესწავლის შესახებ. მალარიის ნიადაგზე სომხეთში შემჩნეულია ნაწლავების დაავადების მრავალნაირი შემთხვევა ამ ინსტიტუტის მიზანი იყო გამოერკვია თუ რა იწვევდა ამ სხვადასხვა ხასიათის დაავადებას.

საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ექ. ვოსკრესენსკის, ანანიანის, მალინოვსკის, პროფ. ოკინშევიჩის და სხვათა მოხსენებების შესახებ.

ვრცელი, დასაბუთებული მეცნიერული ხასიათის სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. ვირსელაძე, პროფ. მარტანოვსკი, ზდროდოვსკი, დოროშენკო, ექ. ბოგოიავლენსკი, ექ. პოკროვსკი და სხვები.

მომხსენებელთა საბოლოო სიტყვებით დასრულდა საღამოს სხდომა.

ა.-კ. საგზაო კომიტეტის პლენუმი

მეექვსე სხდომა

მეექვსე სხდომაზე პლენუმმა გამოჰყო კომისია 9 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა რეზოლუციის გამომუშავება ამხ. ნ. უხუბაშვილის მოხსენების გარშემო. ამავე სხდომაზე სწარმოებდა კამათი ხაშურის საუბნო პროფკავშირის მუშაობის შესახებ.

კამათის შემდეგ, პლენუმმა ხაშურის საუბნო პროფკავშირის მუშაობა აღიარა სუსტათ და დაავალა საგზაო კომიტეტს მოახდინოს საუბნო კომიტეტის გადარჩევა.

ამის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. კოლოსოვის მოხსენება ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

კავშირის ფინანსები უმთავრესად შესდგება ორპროცენტიან საკავშირო ანარიცხებისაგან. ეს ანარიცხები 1926 წლის განმავლობაში შეადგენდა 536.103 მანეთს და 51 კაპ. ამას გარდა შემოსავალში შეტანილია სამეურნეო დარგის [illegible] კულტმუშაობისა და საკლუბო საჭიროებისათვის. ასე რომ კავშირის შემოსავალი 1926 წლის განმავლობაში 557.183 მან. და 88 კაპ. უდრიდა. უნდა აღინიშნოს, რომ საკავშირო სახადების აკრეფა ვერ სწარმოებდა წარმატებით.

წელს არ ჰქონია ადგილი საკავშირო თანხის გაფლანგვას, როგორც წინა წლებში. ის უმთავრესად იმიტომ, რომ საკავშირო თანხები ძირითადად ორგანოებში ებარა ამორჩეულ ხაზინადარებს, რომლებმაც თავის მოვალეობა პირნათლად შეასრულეს.

ხარჯების საერთო რაოდენობა გასულ წელს აღწევდა 540.832 მან. და 96 კაპ. ასე, რომ ამჟამად კავშირის ფინანსები შეადგენენ 2.300 მან. 92 კაპ. ხარჯები ასე ნაწილდება. საკავშირო რკ. გზის ც. კ.-ს გადაეგზავნა—30.415 მან. 78 კაპ., რესპუბლიკანურ პროფკავშირთა საბჭოებს სხვადასხვა მუშაობის საწარმოებლად—53.610 მან. 25 კაპ. კულტმუშაობაზე დაიხარჯა—80.415 მან. 32 კაპ., უმუშევართა ფონდიდან—53.610 მან. 25 კაპ. გამოცემლობის ფონდიდან კი 26.805 მან. და 20 კაპ. დანარჩენი დაიხარჯა უმთავრესად საუბნო კომიტეტებისა და საგზაო კომიტეტის შესანახად.

ამხ. კოლოსოვის მოხსენების შემდეგ, პლენუმმა მოისმინა სარევიზიო კომისიის თანამოხსენება კავშირის ფინანსიურ მდგომარეობაზე.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე კომისიების ანგარიშები და რეზოლუციის პროექტი ამხ. უხუბაშვილის მოხსენების გარშემო, რომელიც მიღებულ იქნა შესწორებებით.

რეზოლუციაში აღნიშნულია ტეხნიკურ მოწყობილობათა გაუმჯობესება, ორთქლმავალთა ბრიგადებისათვის საბინაო საკითხის მოწესრიგება, სახელოსნოების გაფართოების, აგენტების გამოცდების სისტემატიური ჩატარება, შპალების გამოცვლის და საშუალო მეურნეობის გაფართოების აუცილებლობა.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. **მანდენოვის** საინფორმაციო მოხსენება საკილომეტრო [illegible] საკითხის გარშემო არჩეულ კომისიის მუშაობის შესახებ. ამით დასრულდა მეექვსე სხდომა.

მასალები საქართველოს შესახებ

დიდი საბჭ. ენციკლოპედიისათვის

საკავშირო მთავრობის დადგენილებით, ამჟამად დაწყებულია საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის შედგენა.

ამ ენციკლოპედიის შედგენაში მონაწილეობის მისაღებათ და საქართველოს შესახებ სათანადო მასალების დასამუშავებლად განათლების კომისარიატთან ამხ. **დ. კანდელაკის** თავმჯდომარეობით დაარსდა კომისია, რომელშიდაც შედიან: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე ამხ. პავლე საკვარელიძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები: კორნელი კეკელიძე და გრიგოლ ნათაძე, რევოლიუციის მუზეუმის გამგე—ლეო შენგელაია და ნ. ზომლეთელი. კომისიის პირველი სხდომა უკვე შესდგა, სხდომამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა სიის დამუშავება დაავალა რევოლიუციის მუზეუმს ლეო შენგელაიას პასუხისმგებლობით; ისტორიულ პირთა სიის შედგენა მიენდო პროფ. გრ. ნათაძეს, ხოლო ლიტერატურულ მოღვაწეთა სახელების აღნუსხვა პროფ. კორნელი კეკელიძეს. სიტყვა „გრუზიას" ცნების განმარტება და შინაარსის შედგენა დაევალა ვუკოლ ბერიძეს.

ტრესტების გაერთიანება

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა მოახდინოს სამთო-ქიმიური კომბინატის და სახელმწიფო სათბობის გაერთიანება, ვინაიდან ორივე ამ ტრესტს აქვს საერთო ხასიათის ფუნქციები. გარდა ამისა ახლო ხანში მოსალოდნელია ნავთის პროდუქტებით ვაჭრობა გადაეცეს ახალ ორგანოს, რის შემდეგაც სახ. სათბობის განყოფილებას დარჩება თავის ფუნქციებში მარტო ტყიბულის მაღაროების ექსპლოატაცია, რაც ვერ გაამართლებს სახ. სათბობზე გაწეულ ადმინისტრატიულ ხარჯებს.

გაერთიანება გამოწვეულია აგრეთვე მომჭირნეობის რეჟიმით, ვინაიდან საადმინისტრაციო ხასიათის ხარჯები შესამჩნევათ შემცირდება, ხოლო მეორეს მხრივ შესამჩნევათ გაუმჯობესდება გაერთიანებულ ტრესტის საერთო ფინანსიური მდგომარეობა.

აღნიშნულ ტრესტების გაერთიანებისათვის დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ერზნკიანი, ელბაქიძე და ბორკონი.

ს. მ. უ. ს. იურიდიულ განყოფილებას მიენდო გამოიმუშაოს გაერთიანებულ ტრესტის წესდება და დებულება.

გამართლება

(დემიან ბედნის ლექსი)

ქვეყანავ წმინდანთ, ბერ-მონოზვნების, [illegible]
ქვეყანავ საყდართ, ხატ-სანთლებისა,
მოქარაფშუტე პორფირონსნების,
ლურჯ-მუნდირიან ჯალათების,
ქვეყანავ რბევის და პარადების
დარბაზთა გვერდით ნაგავ-ნეხვების
მხარევ მოხდენილ ტანსაცმელების,
კატორღის ოფლის, ფეხსახვევების,
დიადი სივრცის და ხალვათობის,
მხარევ უსაზღვრო სივიწროვისა,
მხარევ კულტურულ მასლაათობის,
მხარევ ბნელეთი—მხეცური გრძნობისა,
მხარევ მარმარის დედა-ქალაქთა,
მხარევ დამქიქულ სოფელ-დაბების,
მხარევ ზერელეთ ნაჩიჩნ მიწათა
პირველყოფილი სახნის-კავების,
ძალადობის და თმენის სამყაროვ
უფლებაზედა მწყრალო—ავჟულო,
შენ იყავ წიგნი უსათაურო
ყოვლად უსახო, ყოვლად უგულო.
შენი დღე იყო უკვე დათვლილი
და ხსნა არ სჩანდა არსაიდანა,
შენი მგოსნები, შენივე გწყევლიდენ:
—„კრულ იყავ! გაჰქრი, ბილწო სატანა!!"
ტანჯვა-ვაებით იღუპებოდი,
გაკოტრებული ელოდი არას,
და თავი მხოლოდ იმით იმართლე,
რომ... რომ ლენინი მიეც ქვეყანას.

ოსიკო.

მუშათა ცხოვრება

კინო-ლექცია მუშებში

29 იანვარს მეორე თუთუნის ქარხანა „პროლეტარი"-ს კულტკომისიამ მოაწყო კინო-ლექცია. დღემდე ჩვენი მუშები ძლიერ იშვიათად ესწრებოდენ ასეთ საღამოებს, მაგრამ როცა საკუთარი სცენა მოაწყვეს, აქ კი აღარ ეზარებათ მოსვლა და თანაც მოყავთ თავიანთი ცოლ-შვილი. ესეც ერთგვარი მიღწევაა ჩვენი წარმოებისა.

უნდა ვსთქვათ, რომ ასეთი სურათები კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს მუშებზე. ამ საღამოს დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მუშებში, როდესაც მათ აჩვენეს „მოგზაურობა მდინარე ამაზონკაზე". ამას თან ახლდა სურათის ახსნა-განმარტება. ახსნა - განმარტებას გვაძლევდა ამხ. სტრელკოვი. მან გასაგები ენით აუხსნა დამსწრეთ სურათის მნიშვნელობა და შინაარსი. სურათში ნაჩვენები იყო ბრაზილიის ცხოვრება, იქაური მიუვალი ტყეები, მათი სიმდიდრის გამოყენება, და დაახლოვებით გაეცვნენ ჩვენი მუშები კაუჩუკის დამზადებას. ნახეს აგრეთვე მათთვის უცნობი, — უშველებელი ხეები, რომლისგანაც შეიძლება მიიღოს ადამიანმა რძე, ფქვილი, ღვინო და სხვ.

მუშებმა ნახეს აგრეთვე მათთვის წარმოუდგენელი ცხოველი, რომელიც ზღვაში ცხოვრობს და რძით კვებავს თავის ბარტყებს, და სხვა მრავალი უნახავი ცხოველები.

ჩვენმა ქარხნის კულტკომისიამ კარგი ნაბიჯი გადადგა ამ კინო - ლექციის გამართვით.

დასასრულ ნაჩვენები იქნა კომიკური სურათი, მაგრამ მან ისეთი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მუშებზე, როგორც პირველმა. კულტკომისია შეჰპირდა მუშებს, რომ ასეთი სურათის ჩვენება სისტემატიურ ხასიათს მიიღებს.

მუშები ფრიად კმაყოფილნი დაიშალენ თავიანთ ბინებისაკენ.

ეს მუშების ექსპლოატაციაა

„ზაკპზრუზი"-ს ხელმძღვანელთა დაუშვებელ მოქმედების შესახებ ბევრი დაიწერა გაზეთების ფურცლებზე, მაგრამ საქმის გამოსწორებას მაინც არ ეშველა.

— „ზაკპზრუზის" სადგურებზე დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები გაცემული აქვს ნარდით. თავის მხრივ მონარდეებს დაქირავებული ყავთ მუშები. რომლებსაც ისეთ მცირე ხელფასს აძლევენ, რომ ის ერთ კაცს პურის ფასადაც კი არ ეყოფა თვეში.

ერთი ასეთი მონარდეთაგანია ვინმე კალანდაძე, რომელსაც ნარდად აქვს აღებული რამოდენიმე პატარა სადგური კახეთის ხაზზე. თვით კალანდაძე კი სად. ნავთლუღში სცხოვრობს.

კალანდაძის სადგურებზე დატვირთ - გადმოტვირთვის სამუშაოები მიცემული აქვს მუშებისათვის და ზოგან სადგურის უფროსებისათვის.

მუშები კალანდაძისაგან თვიურად ღებულობენ 15—15 მანეთს და ისიც ორი-სამი თვით დაგვიანებით. ამას გარდა მუშა მთელი 24 საათის განმავლობაში სამუშაოზე იმყოფება.

თავის თავად ცხადია, 15 მანეთიან მუშების პირზე გაკეთებულ სამუშაოზე კალანდაძე რკინისგზათა სამმართველოდან მიიღებს და ჩაიდებს რამოდენიმე 15 მანეთს.

მიაქციეთ ყურადღება კალანდაძის მოქმედებას.

მ-ნი.

ჩვენი კედლის გაზეთი

სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის კულტკომისიამ 21 იანვარს გამოუშვა კედლის გაზეთის „ნიშანსვეტის" მეთოთხმეტე ნომერი. შიგ მოთავსებული წერილების უმრავლესობა წარმოების საჭირბოროტო საკითხებს ეხება. მოთავსებულია აგრეთვე ამხ. ლენინის მოღვაწეობა, 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობიდან პატარა შენიშვნები.

გაზეთში მოთავსებულია 5 კარიკატურა, მაგრამ მათ წარწერა არა აქვთ, და მკითხველი ვერ გაიგებს კარიკატურის შინაარს. შემდეგში ეს არ უნდა იქნეს დაშვებული.

საერთოდ კედლის გაზეთის შინაარსი დამაკმაყოფილებელია.

მუშკორი განყენებული.

საწარმოო კომისიის სხდომა

26 იანვარს შესდგა მთ. სახელ. სადურგლო სამქროს საწარმოო ბიუროს სხდომა. დაესწრო მუშა - ხელოსნების საკმაო რაოდენობა. საკითხები შეეხებოდა წარმოების აწევის საქმეს, უთავბოლო ხარჯების შემცირებას და სამქროში ტეხნიკურ მხარეების გაუმჯობესებას.

დაისვა კიდევ საკითხი მხერხავი მუშების ინდივიდუალურ სამუშაოზე გადაყვანის შესახებ. ეს იმიტომ, რომ, როდესაც სხვა სამქროებში უკვე დიდი ხანია ჯგუფური დაყოფა მოხდა და მუშაობა ნაყოფს იძლევა და ამავე დროს მუშებიც შრომის ხელფასით კმაყოფილი არიან. მხერხავები ხელფასის მხრივ ჩამორჩენილი არიან.

გამოირკვა, რომ ორი სახერხი მანქანას შორის მხოლოდ ერთია შეფასებული და ამ მანქანის მუშები ღებულობენ სათანადო ხელფასს. მეორე მანქანა კი იძლევა მარტო ანაპირებ ხეებს და დაუმზადებელ მასალას. ამისათვის არ ხერხდება ჯგუფური დაყოფა.

წარმოება მოითხოვს ორივე ზემოხსენებულ სახერხ მანქანას დაედვას ფასი და მოხდეს მუშების ინდივიდუალური სამუშაოზე გადაყვანა.

სხდომამ გადაწყვიტა გამოყოფილ იქნეს კომისია, რომელმაც ახლო მომავალში უნდა შეუდგეს ძირითად მასალების გაცნობას და სათანადოთ შესწავლას წარმოების აღორძინების მიზნით.

ლ. ლანტკურისპირელი.

კულტურული მუშაობა მოიკოჭლებს

მეხუთე უბნის მილიციის სამმართველოს ადგილკომიდან გასულ წელს მილიციის ცენტრალურმა ადგილკომმა გამოჰყო შემდეგი კომისიები: შრომის დაცვის კომისია, სარევიზიო კომისია და კულტკომისია და თვითონ უნდა ეხელმძღვანელა ზემოხსენებულ კომისიებისთვის. მაგრამ ამას ჩვენ მოკლებული ვართ. მაგ. კულტურული მუშაობა ძალიან მოიკოჭლებს სამმართველოს თანამშრომლებში. უკვე რამოდენიმე თვეა, რაც ჩვენ სამმართველოში არ გამოდის კედლის გაზეთი. ცენტრალურმა ადგილკომმა მიანება თავი მუშაობას და არავითარ დახმარებას არ აძლევს, რომ იქნეს განახლებული კედლის გაზეთი.

ცენტრალური ადგილკომი ვალდებულია უხელმძღვანელოს და განაახლოს კედლის გაზეთის გამოშვება.

მასთან მოუწოდებ ყველა ჩვენ თანამშრომლებს, რათა მიიღონ აქტიური მონაწილეობა კედლის გაზეთის გამოშვებაში.

ბორისა ადამია.

თავგასული მოიჯარადრე

ბევრი დაიწერა და ბევრიც ითქვა ზოგიერთ მოიჯარადრეების თავგასულობაზე, მაგრამ მათ მოქმედებას მაინც საშველი არ დაადგა. ხშირია მომუშავე კავშირის წევრების ადგილიდან მოხსნა და მათ ადგილზე არა კავშირის წევრების მიღება. აი აქაც მაგალითი. კარლ მარქსის მოედანზე № 3 სასადილო „ძმური კავშირის" მეპატრონე, სარიბეგოვმა სწორედ ამ მიზნით დაითხოვა კავშირის წევრები, სამაგიეროდ აიყვანა არა წევრები, ვითომდა სამზარეულო გაუსწია ვინმე ბუხრიაშვილს, მაგრამ სინამდვილეში რას ვხედავთ,—ისინი განუსაზღვრელ საათებში მუშაობენ და მუშები კავშირის წევრები, რომელნიც წლობით მუშაობდენ, გამოუცხადა გარეთ. სარიბეგოვს ავლაბარშიაც ჰქონია 2 სასადილო და ერთი ღვინის სარდაფი, სადაც აუტანელ ექსპლოატაციას ეწევა და ამით მუშებს აყენებს აუტანელ პირობებში. საჭიროა შრომის ინსპექტორმა შეაგნებინოს მოქ. სარიბეგოვს, რომ მისი ასეთი საქციელი დაუშვებელია.

მუშკორი დაუნდობელი.

ბორჯომის წყლების სამმართველოს მუშაობა

(მ. გ. ინსპექციის გამოკვლევა)

მ.-გ. ინსპექციამ გამოიკვლია ბორჯომის წყლების სამმართველო და მისი ორგანოები და აღმოაჩინა შემდეგი:

ბორჯომის წარმოებათა ნაყოფიერებას [illegible]. თუ 1913 წელს ჩამომსხმელ ქარხანაში ცხრა მილიონ ბოთლის მინერალ წყლით ავსებას სჭირდებოდა 290 მუშა ხელი წელიწადში, ეხლა 15 მილიონ ბოთლს ავსებს 139 მუშა. ბორჯომის წყლის არსებული შტატი ნორმალურია, ხოლო სამმართველოსი კი რამოდენიმეთ გაბერილია. ხელფასს წარმოებებში 1925 წელთან შედარებით 40 პროცენტით მოუმატია; სანარდო მუშაობა ხელსაყრელი გამომდგარა, როგორც მუშებისათვის, ისე წარმოებისათვის, საშუალოდ ხელფასი უდრის 130—140 მანეთს თვეში. მოსამსახურეთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სპეც-განაკვეთების განსაზღვრაში ადგილი აქვს მიკერძოებას: ერთი და იგივე კვალიფიკაციის პირები ღებულობენ სხვადასხვა გასამრჯელოს. ბორჯომის წყლის პროდუქცია 1924—25 წ. შედარებით 60 პროცენტით მოუმატია. ამ ხნის განმავლობაში გატარებულია მრავალი ტეხნიკური გაუმჯობესება და წარმოების ნაწილობრივი მექანიზაცია. ბორჯომის შუშეულობის ქარხანა ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას: ბოთლების ყოველწლიური დეფიციტი უდრის ორ მილიონს. საჭიროა ქარხნის მექანიზაცია. შრომის ნაყოფიერება შუშეულობის ქარხანაში იზრდება, უმთავრესად, ტეხნიკურ გაუმჯობესებათა გამო. შრომის ინტენსიფიკაცია საკმაოსი არ არის.

„ბორჯომის" წყალი ამჟამად იწყებს პრობკის ქარხნის აგებას, რასაც შედეგად მოყვება 45—48 ათასი მანეთის ეკონომია წელიწადში. შუშეულობის ქარხანაში უვარგის ბოთლების რიცხვი დიდ პროცენტს აღწევს, რაც მიეწერება ქიმიური ლაბარატორიის უქონლობას. ბორჯომის წყალზე ფასების დაწესების საქმეში არ არსებობს ერთიანი სისტემა, რაც დაუშვებელია. ბუხჰალტერია და ანგარიშ-წარმოება კარგად არის დაყენებული. საწარმოო თათბირების მუშაობა ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე, ცუდათ არის დაყენებული აგრეთვე მუშათა საბინაო მშენებლობის საქმე. მოქალაქე ქებაძეზე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბორჯომის წყლის გავრცელება, ამჟამად ირიცხება 72 ათასი მანეთი ვალი, რაც უსათუოდ არანორმალურია.

მ. გ. ინსპექციამ დაავალა მთავარ საკურორტო სამმართველოს მიიღოს სასწრაფო ზომები ზემოაღნიშნულ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად.

ცეკავშირში

ჭურჭლეულობა

„ცეკავშირმა" მიიღო 18 ვაგონი ჭურჭლეულობა, რომელიც ახლო ხანში განაწილდება ძირითად კოოპერატივებს შორის.

ამ დღეებში მოელიან კიდევ 5 ვაგონ ჭურჭლეულობას.

აბაშის ელსადგური

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საგუბრის აგება და არხის გაყვანა დამთავრებულია. წყალსაშვები და საგენერატორო საგუბრის აგება დამთავრდება თებერვლის დამლევს. ელსადგური სავსებით მოთავებულ იქნება 1927 წლის 1-ლი მაისისათვის. ელსადგურის მოსალოდნელი დატვირთვა.

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საგუბარის აგება და არხის გაყვანა უკვე სავსებით დამთავრებულია. ამჟამად მიმდინარეობს სასწრაფო მუშაობა წყალსაშვების და საგენერატორო საგუბრის ასაგებად, რომელნიც დამთავრებულნი იქნებიან თებერვლის დამლევისათვის. ამ დროისათვის ლენინგრადიდან მიღებული იქნება 1640 ცხენის ძალიანი ძალოვნების ორი აგრეგატი, რომელთა აწყობა და დადგმა დაიწყება მიღებისთანავე. ამასთან ერთად დაიწყება მუშაობა საჰაერო ხაზის გასაყვანად, რომლის საერთო სივრძე უდრის 65 კილომეტრს. თუ რაიმე დამაბრკოლებელმა გარემოებამ ხელი არ შეუშალა, აბაშის ჰიდრო ელსადგურის აგება სავსებით დამთავრდება მიმდინარე წლის 1-ლ მაისისათვის.

ს. მ. უ. ს. და ადგილობრივი სამაზრო ორგანოები ამჟამად ამუშავებენ სადგურის დატვირთვის გეგმას.

სადგურის ენერგიის ყველაზე დიდი მომხმარებელი იქნება ქალაქი ფოთი და სამტრედიის რკინის გზის სადგური. ფოთში აბაშის სადგურის ენერგიის საშუალებით მოხდება [illegible] დატვირთვის ელექტროფიკაცია, ხოლო სამტრედიაში დეპოსა და ნავთსადენი სადგურის ელექტროფიკაცია, რომელსაც დასჭირდება წელიწადში დაახლოვებით ერთი მილიონ კილოვატ საათი.

სადგურის მიერ დამუშავებული დანარჩენი ერთი მილიონი კილოვატსაათი მოხმარდება ადგილობრივი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაციას. აბაშის ელდგურით იმუშავებენ: აბრეშუმის საქსოვ-სართავი სახელოსნოები, კრამიტ-აგურის ქარხნები, სადურგლო სახელოსნოები, ექვსი ხე-ტყის სახერხი ქარხანა, თხილისა და ბამბის საწმენდი ქარხნები და აგრეთვე ის წარმოებანი, რომელთა მოწყობაც განზრახულია 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმით. ამავე სადგურის ენერგიის საშუალებით მოირწყვის ბამბის პლანტაციები, რომელთა სივრცე ამ ხუთი წლის განმავლობაში 5 ათას დესეტინამდე მიაღწევს. დანარჩენი ენერგია მოხმარდება სოფლებსა და დაბა ქალაქების განათებას.

ავიაქიმში

საავიაციო კურსები

ავიაქიმის თბილისის საბჭო აწყობს საავიაქიმო და საპილოტო კურსებს. კურსები სამთვიანია და მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ საღამოს 6-დან—8 საათამდე.

კურსების მიზანია ავიაქიმის მუშაკების, კადრის შექმნა და მფრინავების თეორიულ სკოლისათვის კანდიდატების მომზადება.

კურსებზე მეცადინეობა უფასო იქნება. უკვე სწარმოებს მსურველთა ჩაწერა. კურსებზე ჩაწერა შეიძლება ავიაქიმის ბინაზე (კალოუბნის ქ., № 7). ჩაწერა შეუძლია ყველას

ამინდი

ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში გუშინ ასეთი ამინდი იყო:

სოხუმი

მოწმენდილი ცა, წყნარი დღე, ტემპერატურა +4,1 გრადუსი.

ფოთი

მოწმენდილი ცა, ქროდა ზომიერი ზენა ქარი, ტეპერატურა უდრიდა +4,8 გრადუსს.

ბათუმი

მოწმენდილი ცა, წყნარი დღე, ტემპერატურა +4,8 გრადუსი.

სამტრედია

მოწმენდილი ცა, ქროდა სუსტი ქარი, ტემპერატურა უდრიდა +2,4 გრადუსს.

ჭიათურა

მოწმენდილი ცა, ქროდა სუსტი ზენა ქარი, ტემპერატურა უდრიდა —0.8 გრადუსს.

აბასთუმანი

ცა მოწმენდილი იყო, წყნარი დღე იდგა, ტემპერატურა უდრიდა —15,1 გრადუსს.

გორი

გორში ცა დაფარული იყო ღრუბლებით, წყნარი დღე იდგა, ტემპერატურა უდრიდა —13,1 გრადუსს.

თბილისი

გუშინ თბილისში დილით ცა ცოტა მოღრუბლული იყო, ხოლო შემდეგ მთელი დღე მოწმენდილი, წყნარი დღე იდგა, ტემპერატურა უდრიდა —7,1 გრად.

ბაქო

ბაქოში წყნარი დღე იდგა, მაგრამ ცა მოღრუბლული იყო, ტემპერატურა უდრიდა +3,9 გრად.

განჯა

მოწმენდილი ცა, სუსტი ქვენა ქარი, ტემპერატურა —5,7 გრად.

ლენინაკანი

კარგი დარი იდგა, ტემპერატურა უდრიდა —22,2 გრადუსს.

სალიცენზიო თათბირი

ა.-კავ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სალიცენზიო თათბირის შემადგენლობა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოსთან. სალიცენზიო თათბირში შედის ათი კაცი. თათბირის თავმჯდომარეა ამხ. ბეკზადიანი. მისი მოადგილეა—ამხ. შირვანსკი; წევრები: ამხ. დანდუროვი, პანიევი, ნოვიკოვი და საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარის რწმუნებულის სამმართველოს საიმპორტო განყოფილების გამგე.

ამას გარდა, თათბირის შემადგენლობაში შედიან: ამხ. ავაქოვი, როგორც რესპუბლიკანური ს. მ. უ. საბჭოების წარმომადგენელი ამხ. ალანია.—ამიერ-კავკ. ფინსახკომიდან ამხ. ბუკრეევი—ამ.-კავკ. კოოპერატიულ საბჭოდან და ამხ. ამირაჯიბი—რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებიდან.

საბინაო სასამართლო

ამ კვირაში მოქმედებას იწყებს მეორე საბინაო სასამართლო, რომლის შესანახ ხარჯებს კისრულობს თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი. მეორე საბინაო სასამართლოს მოწყობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თბილისში არსებული ერთად-ერთი საბინაო სასამართლო ვერ აკმაყოფილებდა საჭიროებას, ვერ ასწრებდა საქმეების დანიშნულ დროზე განხილვას, რის გამოც ხშირად თითეულ საქმის გარჩევას ოთხი-ხუთი თვე აგვიანდებოდა. საერთოდ სასამართლო იმდენად დატვირთული იყო, რომ შეუძლებელი ხდებოდა 15-20 პროცენტზე მეტი საქმეების განხილვა. მეორე სასამართლოს გახსნა დააჩქარებს და წინ წასწევს საქმეების თავის დროზე გარჩევას.

საჩვენებელი ნაკვეთები

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა დაიწყო მუშაობა მებამბეობის საჩვენებელი ნაკვეთების მოსაწყობად გლეხების მიწებზე. განზრახულია საქართველოში მოწყობილი იქნეს 124 საჩვენებელი ნაკვეთი: 26—ბორჩალოს მაზრაში, 25—კახეთში, 25—ყარაიას რაიონში, 25—ქუთაისის მაზრაში და 23—სენაკის მაზრაში. საჩვენებელი ნაკვეთების მოსაწყობად ყველა აღნიშნულ მაზრებში უკვე არის აგრონომიული პერსონალი და აგრონომიული პუნქტები.

ამჟამად, ზამთრის გამო, ტარდება ლექციები და საუბრები მებამბეობაზე.

ქრონიკა

ოსმალეთის დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა ოსმალეთის მთავრობის მიერ სავეტერინარო კონვენციის დასადებათ გამოყოფილ დელეგაციის წევრი ბ. ალი რიზა-ბეი და შევფიკ-ბეი.

გუშინვე ალი-რიზა-ბეი და შევფიკ-ბეი მიიღო საბჭოთა კავშირის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში—ამხ. კარკლინმა.

დახმარება 1905 წლის რევოლიუციაში მონაწილეთ

საქართველოს ცაკმა სოცუზრუნველყოფის კომისარიატს გადასცა 5.000 მანეთი 1905 წლის რევოლიუციაში მონაწილეთათვის დახმარების გასაწევად. ეს დახმარება გაეწევა ისეთ პირებს, რომელნიც 1905 წელში ღებულობდენ მონაწილეობას და ამჟამად დაუძლურებულნი არიან. სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ამ თანხის გარდა კიდევ თავის მხრივ გადასდო 500 მანეთი და უკვე გაუნაწილა 1905 წლის რევოლიუციაში მონაწილეთ, რიცხვით 120 კაცს.

რადიო

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობამ გადასწყვიტა ქოხ - სამკითხველოებში მოაწყოს რადიო. ამ მიზნით მმართველობამ დაარსა სპეციალური კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარეა პ. ხობუა, წევრები—თბ. კომიტეტის ქალთა განყოფილების, ა. ლ. კ. კავშირის, დივიზიის პოლიტგანყოფილების და პროფკავშირების კულტგანყოფილების წარმომადგენლები.

ნარჩენები

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ გამოყო კომისია იმ ნარჩენების გადასასინჯავად, რომლებიც ითვლება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებზე. კომისიის შემადგენლობაში შედიან: ამხ. ხუმარიანი, შავედოვი, ავაქოვი, დავიდოვი და სმირნოვი.

კომისიამ მუშაობა უნდა დაამთავროს ორი კვირის განმავლობაში.

ფართალი

„ცეკავშირმა“ „ცენტროსოიუზიდან“ მიიღო 8 ვაგონ ფართალი, რომელიც ახლო ხანში განაწილდება საქართველოს სამაზრო კოოპერატიულ ცენტრებს შორის.

ლითონები

„ცეკავშირმა“ მიიღო მოსკოვიდან 4 ვაგონი ლითონის ნაწარმოები, რომელიც ახლო ხანში განაწილდება კოოპერატივებს შორის. მიღებული საქონლის ნახევარი გადაეგზავნა ქუთაისის და სამტრედიის კოოპერატიულ რაიონებს.

თბილისის აღმასკომში

◆ **სახერხი ქარხანა.** თიანეთის სახერხი ქარხნის ასამუშავებლად გადადებულია 2.782 მანეთი.

◆ **პირველ საავათმყოფოს** მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსებულია ცალკე კომისია ამხ. მამულიას თავმჯდომარეობით.

◆ **წყაროების გამოყვანა.** აღმასკომმა დაამტკიცა ახალი წყალსადენისათვის გამოსაყვან წყაროების გამომკვლევ კომიტეტის ხარჯთაღრიცხვა 220.000 მან. რაოდენობით.

◆ **ნაძალადევის დასაგეგმავად გადადებულია** 7.230 მანეთი.

◆ **მაუდის ქარხნის** საჭიროებისათვის დიდუბეში გამოყოფილია 11 დესეტინა მიწა.

◆ **საბავშვო ბაღები.** განათლების განყოფილების ცნობით, თბილისის საბავშვო ბაღებში ამჟამად ითვლება 520 ბავშვი.

◆ **ლექციები გრიპზე.** ჯანმრთელობის განყოფილება შეუდგა გრიპის შესახებ კლუბებსა და წარმოებებში ლექცია - საუბრების მოწყობას.

შრომის კომისარიატში

◆ **ზედმეტი საათების** მუშაობის დაშვებისათვის დაჯარიმებული იქნა სახ. მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარე გულბანი; სახელმწიფო გამომცემლობის საქმეთა მმართველი ქრისტეფორე რაჭველიშვილი, შინამრეწველობის კოოპერაციის თავმჯდომარე აივაზოვი, საქ. ფინსახკომის საქმეთა მმართველი ღარიბოვი, აღმასკომის სტამბის გამგე კოვშოვი.

სტუდენტთა ბიუროში

◆ **სტუდენტთა** საერთო საცხოვრებელ სახლის შესაკეთებლად პროლ. სტუდენტთა ბიურომ გადასდო 600 მან.

◆ **ბიურომ** აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა კომისარიატმა მიიღოს ზომები წარმოებებში მომუშავე მუშფაკელების 2 საათით ადრე გასანთავისუფლებლად.

კრებები და მოხსენებები

◆ **პარასკევს, თებერვლის 4, საღამოს 7 საათზე,** საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში მოწვეულია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პედაგოგიური განყოფილების წევრთა საერთო კრება.

სასამართლო

ჭორი

1-ლ თებერვალს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ბ. ჯაჯანიძის თავმჯდომარეობით ბორჯომში გაარჩია არისტიდ ელენიდის საქმე.

ელენიდის ბრალდება მცირე წლოვან ქალის ს. ფ-ვას გაუპატიურება.

ელენიდი მუშაობდა ბორჯომის ერთ-ერთ ფურნეში პურის მცხობელად და ცხოვრობდა ხსენებულ ბავშვის მშობლების სახლში.

გასულ წელს ბავშვის დედამ განცხადება შეიტანა ბორჯომის მილიციაში იმის შესახებ, რომ ელენიდიმ გააუპატიურა მისი მცირეწლოვანი ქალიშვილი.

ელენიდი პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლოში ელენიდიმ თავი არ სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ ყოველივე განზრახ არის მოგონილი ბავშვის მშობლების მიერ. ბრალდებულსა და ამ უკანასკნელთა შორის უსიამოვნება წარმოიშვა იმის გამო, რომ არ შეირთო იმათი უფროსი ქალიშვილი.

რამოდენიმე საათის თათბირის შემდეგ სასამართლომ ელენიდი უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

გასამართლებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

კაცის მოკვლა ყურძნის მოწყვეტისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ქავთარაძის მონაწილეობით სიღნაღში გაარჩია მიხეილ იაკობაშვილის საქმე.

იაკობაშვილს ბრალი ედებოდა მკვლელობაში.

სოფ. ქვემო მაჩხაანში ვენახების დარაჯათ დანიშნული იყო მიხ. იაკობაშვილი.

გასულ წელს ყურძნობის დროს იაკობაშვილის სადარაჯოში გადავიდა უცნობი წითელარმიელი, რომელმაც ვენახში მოსწყვიტა რამოდენიმე მტევანი ყურძენი. დარაჯმა იაკობიშვილმა აღელვებული მიარდა უცნობ წითელარმიელს და თოფით მოჰკლა იგი.

სასამართლომ იაკობაშვილს მიუსაჯა 5 წლ. თავისუფლების აღკვეთა.

ბიძაშვილის მოკვლის ცდა

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ქავთარაძის მონაწილეობით სიღნაღში გაარჩია ბესო ნატროშვილის საქმე.

ნატროშვილს ბრალდებოდა ბიძაშვილის მოკვლა.

ბრალდებული და მისი ბიძაშვილი ი. ნატროშვილი მეზობლად სცხოვრობდენ. მათი ეზოების საზღვარზე იყო ერთი კაკლის ხე.

ატყდა მათ შორის დავა, თუ ვის ეკუთვნოდა ხე.

ერთ დღეს ბესო ნატროშვილი ურმით მიდიოდა სამუშაოდ. ურემზე მას გამობმული ჰყავდა ძაღლი.

იმ ადგილას, სადაც ი. ნატროშვილი თავისი ბავშვით მუშაობდა, ძაღლმა აიწყვიტა და დაკბინა ბავშვი. ამის გამო ბიძაშვილები ერთმანეთს წაეჩხუბენ.

ბესო ნატროშვილმა თავის ბიძაშვილს ხანჯალი ჩასცა ოთხჯერ ზურგში. ი. ნატროშვილი განიკურნა.

სასამართლომ ბრალდებულ ბ. ნატროშვილს მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ყაჩაღების საქმე

5 თებერვალს უზენაეს სასამართლოში გაირჩევა ბიძინაშვილის და სინჯიკაშვილის საქმე.

ბიძინაშვილსა და სინჯიკაშვილს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ ყაჩაღობისათვის მისჯილი აქვთ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა.

განაჩენი მეფარიშვილის საქმეზე

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ამხ. ბოცვაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ალ. ჯაფარიძის და სიმ. ფურცელაძის და პროკურორის თანაშემწის ამხ. ებრაელიძის მონაწილეობით დაბა ბაღდათში გაარჩია ლევან (პიჟია), სავანელ კალისტინე და გერვასი მეფარიშვილების საქმე.

ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ბრალდებათ ბაღდათის კოოპერატივის ს. წითელ - ხევის განყოფილების გაქურდვა.

1925 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ზემოხსენებულმა მეფარიშვილებმა გატეხეს და გაქურდეს კოოპერატივის მაღაზია წითელ-ხევში, საიდანაც წაიღეს 1103 მან. საქონელი.

3—4 თვის შემდეგ დააპატიმრეს ლევან მეფარიშვილი, რომელიც გამოტყდა ბოროტმოქმედებაში. ნაპარავი საქონლის ნაწილიც აღმოუჩინეს მასვე. ამხანაგებივე დააპატიმრეს სავანელ მეფარიშვილი.

გამოწვეულ და დაკითხულ იქნა ორმოცამდე მოწმე. ძიება - ძიების შემდეგ სასამართლოში გამოირკვა, რომ მაღაზიის გატეხვა - გაქურდვაში ბრალი მიუძღვით მხოლოდ ლევან და სავანელ მეფარიშვილებს.

სასამართლომ ბრალდებული კალისტინე და გერვასი მეფარიშვილები უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

ბრალდებული ლევან და სავანელ მეფარიშვილები დამნაშავედ იქნენ ცნობილი მაღაზიის გაქურდვაში, რისთვისაც მიესაჯათ: ლევან მეფარიშვილს 2 წელ. და 6 თვით და სავანელ მეფარიშვილს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და ზარალის ანაზღაურება 820 მან. რაოდენობით.

საზოგადოება კმაყოფილი დარჩა სასამართლოს განაჩენით.

გაფლანგველების საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. ხიჭინავას თავმჯდომარეობით დაიწყო მუსიფ ახუნდოვის და ტიგრან მალუმიანცის საქმის გარჩევა.

მალუმიანცს და ახუნდოვს ბრალდებათ გაფლანგვა.

ბრალს სდებს პროკურორი ლ. კუპრაშვილი, ბრალდებულებს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრები: შ. დადიანი და იარალოვი. სამოქალაქო მოსარჩლის მხარეს იცავს ცაგარელი.

1924 წ. თებერვალში ბორჩალოს მაზრაში დაარსდა სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიული ამხანაგობა „რაპარი“.

1925 წ. აპრილის თვეში გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა მუსიფ ახუნდოვი.

იგი წარმოკავშირიდან ღებულობდა ფულებს, რომლებიც ავანსის სახით უნდა დაერიგებია მებამბე გლეხებისათვის, მაგრამ მიღებულ ფულებს ითვისებდა.

1925 წ. სექტემბერში წარმოკავშირმა მოახდინა საზოგადოება „რაპარის“ რევიზია.

რევიზიამ აღმოაჩინა 3.664 მანეთის დანაკლისი.

წინასწარი გამოძიების დროს გამოირკვა, რომ ახუნდოვის მიერ მითვისებულია 7.165 მანეთი.

გამოირკვა აგრეთვე, რომ საწყობის გამგის მალუმიანცის მიერ მითვისებულია და გაფლანგული 112 მანეთი.

სასამართლოში ბრალდებულმა ახუნდოვმა თავი დამნაშავედ სცნო მხოლოდ 2.500 მანეთის მითვისებაში.

მალუმიანცმა თავის დამნაშავედ სცნო.

გამოწვეულია 30 მოწმე და ექსპერტები.

საქმის გარჩევა გაგრძელდება რამოდენიმე დღეს.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 9 საათზე.

განაჩენი მაჩაბლის საქმეზე

სასამართლომ სად. იორის ყოფილ უფროს სოლომონ მაჩაბელს მიუსაჯა 1-ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა. ამნისტიის შეფარდებით სასჯელი შეუმცირა ერთი წლით.

შემთხვევები

საათის პოვნა

ს. ს. მილიციის მიერ აღმოჩენილია ნაქურდალი ნაჯის კაცის საათი. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ტ. კოპალეიშვილთან.

უბედური შემთხვევა ბაღდათში

ა.-წ. 26 იანვარს, საღამოს 11 საათზე, ბაღდათის მახლობლად ზეკრის გზატკეცილიდან ხრამში ვადავარდა ს. ნერგეეთიდან ცხენით მომავალი ბაღდათის უბნის სახალხო მოსამართლე ნიკოლოზ ჯორბენაძე, რომელიც იქვე გარდაიცვალა. გვამი იპოვეს მეორე დღეს დილას. ცხენი უვნებლად გადარჩა.

ქუთაისის პარტკომის განკარგულებით, ცხედარი გადატანილ იქნა ქუთაისში. დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა ცხედრის გაცილებაში.

◆ **ყალბი ჩეკების საშუალებით** 31 იანვ. ქსოვილების მე-2 მაღაზიიდან (რუსთაველის პრ. № 24) გაიტანეს 517 მანეთის ფართლეულობა.

თვითმკვლელობა

გუშინ, საღამოს, ნაგანის რევოლვერით თავი მოიკლა ბორის გოლიაშვილმა (სანაპიროს ქ. № 6). მიზეზი — გამოურკვეველია.

◆ **თავის მოწამვლა.** 1 თებ. 19 თებერვლის ქ. № 71 იოდით თავი მოიწამლა ვართანაშ ვასილის ასულმა აირაპეტოვამ.

◆ **თავისუფლების მოედანზე** 31 იანვარს გულნარა თხელიძეს მოპარეს რედიკული 200 მანეთით.

◆ **ქურდი ქალი.** 31 იანვარს დააპატიმრეს გული კიხი, რომელსაც ბრალდება იოსებ აბასოვის ბინის გაქურდვა.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 1-ლი თებერვლის ნომერში შემთხვევებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ს. ს. მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა გიორგი ვასაძე. ეს ცნობა არ შეეხება თბილისის ალექსანდრესძე ვასაძეს.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა.

„დაისი“.

(ინაშვილის გასტროლი).

კიაზოს პარტია მშვენივრად არის დამუშავებული არტისტის მიერ. არის მეტად საინტერესო მუსიკალური მომენტები. თუგინდ ავილოთ „სული ბოროტო“-ს შესრულება ზუა-ხმით მშვენიერ ტონსირივკით. ეს მშვენიერში ქმნის ისეთ განწყობილებას, რომ იგი ადვილად სწვდება კიაზოს მძიმე სულისკვეთებას იმ წამში. არტისტი მშვენიერი ტემპერამენტით ასრულებს საგასტროლო სიმღერას (მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ შემთხვევაში დაშვებულ იქნა კუპიურა, ეს არღვევს სიმღერის მთლიანობას). მთელი როლი მან შეასრულა აწეულ ტონებში და ადამიანის ღრმად შეურაცხყოფილი გრძნობის ნათელ სახეს იძლევა. გრიმი, კოსტიუმი, სცენის მთელი მიმდინარეობა, როგორც სოლოდ, ისე ურვის სცენებში, სინამდვილეს უახლოვდება. საერთოდ ნათელი, მშვენიერი სახე იყო ვოკალური და სცენიური მხრით.

მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ქუშისიშვილი. მალხაზის პარტია მას ებლა დეტალურად აქვს დამუშავებული. მიმიკა საუცხოოა, სინამდვილესთან ახლოა სცენიური გადმოცემა ამავე სიმაღლეზე სდგას ვოკალური შესრულება. კარგია გრიმი.

მაზოვეცკაია (მარო) ვერ იყო ხმაზე. სიმღერა მუსიკალური იყო, მაგრამ რამდენადმე მოდუნებული. არ ჰქონდა ნათელი მომენტები პათეტიურ ადგილებში. სასურველი იყო ნათელი დიქცია. მაგრამ მასხობი ქალი შთაბეჭდილებით ქმნის პოეტურ სახეს.

დირიჟორობას ეწეოდა თვითონ ოპერის ავტორი. მშვენიერი იყო ორკესტრის მხატვრული შესავალი მუსიკალობისა და ნაწილობრივ კონტრასტებს მხრივ. მაგრამ მეორე აქტის დიდ ფინალში სასურველია ტემპერამენტის მეტი სიცხადე და სიცხოველე ოპერის ძლიერ მომენტთან შეთანხმებით.

შესამჩნევია სარეჟისორო ნაწილის ნაკლი. ხორო ხანდახან ტრაფარეტულად ასრულებდა სცენას, იგი არ ღებულობდა მონაწილეობას თამაშობაში.

პ. ბ.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„პროლეტარული მწერლობა“.** ახლო ხანში გამოვა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ორგანო „პროლეტარული მწერლობა“.

◆ **ქართული პიესები რუსულ ენაზე.** მოსკოვის სათეატრო გამომცემლობა შეუდგა ქართულ და სომხურ პიესების გამოცემას რუსულ ენაზე.

◆ **ცნობილი პიანისტი** საფრონიცკი ახლო ხანში თბილისში გამართავს რამდენიმე კონცერტს.

◆ **პრემიერები ოპერაში.** ოპერაში შემდეგ პრემიერებით წავა: „ტრუბადური“, „ბოგემა“, „ლოენგრინ“, „ვერტერ“ და „ბორის გოდუნოვი“.

◆ **დეკორატორი იაკულოვი.** სახელმწიფო დრამაში დეკორატორად მიიწვიეს ცნობილი დეკორატორი იაკულოვი.

◆ **„ჰამლეტი“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ჰამლეტი“. ჰამლეტი—უ. ჩხეიძე.

◆ **მუშათა თეატრში** დღეს. რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ზოიას ბინა“.

◆ **„ბოკაჩიო“.** დღეს, ოპერის თეატრში მიდის „ბოკაჩიო“.

◆ **ლიტერატურული საღამო.** კვირას, 6 თებერვალს—საღ. 7 საათ. საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია სახ-უნტთან არსებულ, ქართულ ცენტრალურ მუშფაკში მართავს ლიტერატურულ საღამოს. სიტყვებით გამოვლენ ამხ. ბ. ბუაჩიძე, ლ. ესაკია და პ. ქიქოძე. მეორე განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი მწერლები: ი. ვაკელი, ს. ეული, ნოე ზომლეთელი, ქ. კალაძე; კ. ლორთქიფანიძე, ი. ლისაშვილი, ალიო მაშაშვილი. შ. ნავთლუღელი, ფ. ნაროუშვილი, ე. პოლუმორდვინოვი; დ. როდინი. გ. შინატეხელი, გ. ხეჩუაშვილი, ქ. ფეოდოსიშვილი.

წერილი რედ. მიმართ

თქვენი გაზეთის მე-25 ნომერში დაბეჭდილია წერილი 31 იანვარს გამართულ საღამოს შესახებ. ამ წერილისა და იმ საღამოს გამო იძულებული ვარ განვაცხადო შემდეგი: პირველი: საღამოს მომწყობს მე მივეცი თანხმობა 'შესავალი სიტყვის თქმის მხოლოდ მას შემდეგ, როცა მან წამიკითხა მონაწილეთა სია. მეორე: მე შევასრულე ჩემი ვალდებულება. მესამე: საღამოს მოწყობაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და მატერიალურადაც სრულებით არ ვყოფილვარ დაინტერესებული.

მეტად ვნანობ, რომ ამ საქმეში ჩემი სახელიც გაერია.

მიხეილ ჯავახიშვილი.

მეცნიერება და ტექნიკა

საჰაერო სივრცეების დასაპყრობათ

ავსტრიაში დაარსდა „საზოგადოება საჰაერო სივრცეების შესასწავლად“. საზოგადოების სათავეში უდგას ცნობილი ავსტრიელი ასტრონომი პროფ. გეფტი. საზოგადოება ახლო ხანში აპირებს მაშხალის გასროლას მთვარეზე. მთვარეზე დავარდნის დროს მაშხალა ისეთი სიძლიერით უნდა აფეთქდეს, რომ აფეთქების დანახვა შესაძლებელი შეიქნეს დედამიწიდან ტელესკოპების საშუალებით.

პროფ. გეფტი

არსებობენ თუ არა მთვარეზე ადამიანები

დღემდე დამტკიცებულათ ითვლებოდა, რომ მთვარე მკვდარი პლანეტაა, რომ მის ზედაპირზე არ არსებობს სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი, მაგრამ უკანასკნელ ხანებში ასტრონომები უფრო და უფრო ეძხრობიან იმ აზრს, რომ მთვარეზე მაინც უნდა არსებობდეს რაღაც სიცოცხლე.

ერთ-ერთმა ასტრონომმა, რომელიც ტელესკოპის საშუალებით ათვალიერებდა მთვარის ერთ-ერთ ვულკანს (ცეცხლის მფრქვეველ მთას), შენიშნა რომ ვულკანიდან ამოდის ორთქლი და კვამლი. იგი შეიქნა აგრეთვე მოწამე მთვარის ვულკანის ამოხეთქის. ამ ვულკანის შესახებ კი ასტრონომები იმ აზრის იყვნენ, რომ იგი ჩაქრა მრავალი ათასი წლის წინათ. ასტრონომი დააინტერესა ამ მოვლენამ და მან დაიწყო მთვარის ზედაპირის სხვა ნაწილების ყურადღებით შესწავლა. ის დააინტერესა საკითხმა—ხდება თუ არა რაიმე ცვლილებები მთვარის ზედაპირზე. იგი თვალყურს ადევნებდა მთვარის ზედაპირს მრავალი დღეების განმავლობაში და დაბოლოს შენიშნა ფერის შეცვლა თანდათანობით, რაც შეიძლება ახსნილ იქნას მხოლოდ მცენარეულობის არსებობით მთვარეზე.

სიცოცხლისათვის საჭიროა სამი პირობა. წყალი, ჰაერი და სითბო. ვულკანური ამოხეთქა იმის დამამტკიცებელია, რომ მთვარეზე არსებობს სითბო. მთვარეზე არ არის ისეთი მკვრივი ატმოსფერა, როგორც დედამიწაზე, მაგრამ ფიქრობენ, რომ მას გარს აკრავს გათხელებული ჰაერის ფენა, რომელიც საკმაო სიცოცხლის მარტივი ფორმების არსებობისათვის. წყალი არასოდეს არ შეუნიშნავთ მთვარეზე, მაგრამ ფიქრობენ, რომ იგი უნდა არსებობდეს მთვარის ზედაპირზე მრავლად გაფანტულ ნაპრალების ფსკერზე.

სიცოცხლე მთვარეზე, თუ იგი არსებობს, სულ სხვანაირი იქნება, ვიდრე დედამიწაზე. დედამიწას გარს აკრავს ჰაერის სქელი ფენა (50 მილის სისქე) რომელიც დღისით გვიცავს მზის სხივების აუტანელი სიმხურვალისაგან და ღამით არაჩვეულებრივი სიცივისაგან. მთვარის დღე უდრის დედამიწის ორკვირეს. ასეთი დღის განმავლობაში სიცხე ძალიანი მაღალი უნდა იყოს. შემდეგ იწყება ჩვენი ორი კვირის ხანგრძლივობის მქონე ღამე, რომლის დროს მთვარეზე საშინელი სიცივე მეფობს.

აქედან დასკვნა ასეთია: დედამიწის ადამიანების და ცხოველების მსგავსი არსებანი მთვარეზე არ არსებობენ. მთელი სიცოცხლე, ალბათ, გამოიხატება ისეთი მცენარეების არსებობაში, რომლებიც დღის განმავლობაში ჩვენთვის განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებიან და შემდეგ იღუპებიან ღამის განმავლობაში.

ოფიციალური განყოფილება

ბრძანება № 7

საქ. ს. ს. რეს. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსი

21 იანვარი, 1927 წ. ქ. თბილისი.

§ 1.

დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა ერთი თვის ვადაში სამხედრო უწყება, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ტყეების მცველთა სამმართველო, რკინის გზის დამცველი რაზმი, საბაჟო სამმართველო და სხვა უწყებები, რომელთაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან განსაკუთრებული შეთანხმების მიხედვით არ იცავს უწყებრივი მილიცია, ვალდებული არიან რეგისტრაციაში გაატარონ იარაღი, რომელიც აქვთ უწყების მცველ თანამშრომლებს.

შენიშვნა: სამხედრო უწყებას ევალება რეგისტრაციაში გაატაროს მხოლოდ ის იარაღი, რომელიც ხმარდება ნებაყოფლობით დაქირავებულ მცველების შეიარაღებას.

§ 2.

ამ ბრძანების პირველ პარაგრაფის შესასრულებლად ზემოთ დასახელებულმა დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კომენდანტურაში მცველ რაზმების დასახელებულ იარაღის საერთო სიები, მისი სისტემის და პატრონთა პერსონალური სიის აღნიშვნით, ამასთანავე შემდეგში წელიწადში ორჯერ 1 იანვარს და 1 ივლისს წარმოდგენილი უნდა იქნეს ცნობები მომხდარ ცვლილებების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე: **ბერია.**

საერთო ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი **დეკანოზოვი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 3 თებერვალს, საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე შესდგება მიმღები კომისიის სხდომა.

— სახალხო განათლების თბილისის განყოფილების საზოგადოებათმეცნიერების ცენტრალურ კაბინეტში (47-ე შრომის სკოლა, პლეხანოვის 40) დღეს, 3 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება მარქსისტული წრის მეცადინეობა პროფესორ ბოლოშნიკოვის ხელმძღვანელობით; საღამოს 8 საათზე შესდგება საზოგადოებათმეცნიერების სკოლის მუშაკთა საერთო კრება, რომელმაც უნდა დაამუშაოს თემა „ოქტომბრის რევოლიუცია“.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს წინადადებას აძლევს გამოცხადდენ რაიკომის საღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან 3 დღის განმავლობაში.

1) ფურცელაძე — უჯ. 23, 2) მანუკიანი არამ, 3) ხმოსტოვი ალექსი, 4) პეტროვი პეტრე, 5) ოკუჯავა ნიკოლოზ.

— შაბათს, 5 თებერვალს, საღამოს 6 საათზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების თბილისის საბჭოს პლენუმი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების თვითგანვითარების ბიუროს სხდომა შესდგება პარასკევს, 4 თებერვალს, დილის 10 საათზე აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობა).

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, ა. წ. 3 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, მეხუთე შრომის სკოლის შენობაში (ჟუკოვსკის ქ. № 9) შესდგება კოოპერატიული სექციის მორიგი მეცადინეობა ქართულ ენაზე, ხოლო კავკასიის წითელ დროშოვან არმიის კლუბის შენობაში (ჯორჯიაშვილის ქ.) იმავე დროს შესდგება კოოპერატიული სექციის მეცადინეობა რუსულ ენაზე.

სავალდებულოა სექციაში მომუშავე ყველა დელეგატ ქალების დასწრება.

— ასრაიონის საბჭოების საარჩევნო კომისია იუწყება, რომ არჩევნების საკითხების შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საარჩევნო კომისიის მდივანთან ყოველდღიურათ 9-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (ზემო დარბაზი).

— 1-ლი ლეგიონის 2-რე უჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ამხ. ივანე სერგოს ძე გოგიკოევს კომკავშირის წევრობიდან კომპარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ. თუ ვინმეს გაქვთ აღნიშნული ამხანაგის საწინააღმდეგო რაიმე მასალები გთხოვთ გვაცნობოთ დღის რიცხვიდან 15 დღის განმავლობაში.

— დღეს, 3 თებერვალს, საღამოს 5 საათზე ყოფ. ახალგ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალური ბიუროს მიერ მოწვეულია მე-4 რაიონის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა საორგანიზაციო თათბირი კომკავშირის ცეკას შენობაში რუსთაველის პრ., № 20.

ცენტრ. ბიურო სთხოვს მსურველ ამხანაგებს დაესწრონ.

ს.ა.ლ.კ.კ. ლენინის რაიკომი და მთავარ სახელოსნოს კომკავშირის ბიურო კოლექტივი აუწყებს ყველა ამხანაგებს

ამხ. ალექსანდრე (შურა) გრიგორიევის

გარდაცვალებას. გამოსვენება, ახალშენის ქ. ხუთშაბათს, 3 თებერვალს, დღის 3 საათზე. ნ. 581

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მელანია ანტონის ასული შვილებით, მარინე და ქეთო და სიძე თომა თოქას-ძე ციციშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 31 იანვარს ღამის 11 საათზე ყოფილ ალექსანდრეს საავადმყოფოში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ივანე პავლეს-ძე იმნაძე

გამოსვენება მოხდება დღეს, 4 საათზე, ნიკოლოზის ეკლესიიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1505

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ნინო, ბიძები: ვასილ, დავით, ბიცოლა სონა, ბიძაშვილები პეტრე და მარუსია მინდიაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

ივანე გიორგის-ძე მინდიაშვილის

ტრაგიკულათ გარდაცვალებას. დასაფლავება ლოზოვაია პავლოვკაში (დონის გუბერნია). ნ. 584

„სეკარის სითხე“

დამზადებული პროფესორ დოქტორ ბიუხნერის წესის მიხედვით. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის ნებართვით № 8362 კოოპერატივ „გალენ მოსკვა“-ს ლაბორატორიის ორგანიულ ტერაპევტიულ განყოფილების მიერ გამოშვებულია

ნ. 429 10—1

„სეკარის სითხე“

მზადდება ცხოველების სათესლე ჯირკვლებისაგან სპეციალისტ ქიმიკოსების, ფარმაცევტების და ექიმების ხელმძღვანელობით. სეკარის სითხე იყიდება საბჭოთა კავშირის ყველ აფთიაქებში და სანიტარიის და ჰიგიენის მაღაზიებში.

ექიმებს საცდელათ მოთხოვნილებისამებრ ეგზავნებათ gratis.

მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის

კოოპერატივი „გალენ მოსკვა“-ს ორგანიულ კოოპერატიული განყოფილება მოსკოვი ჰერცენის ქ. № 5 განყ. 66.

მთავარ საწყობიდან ფოსტით იგზავნება არა ნაკლებ 4 ფლაკონისა 25 პროც. რაოდენობით ბეს გადახდის შემდეგ. შეხვევა და გადაგზავნა ჩვენს ხარჯზე.

ფლაკონი ღირს 2 მან. 50 კაპ.

სახელმწიფო დრამა

დღეს 3 თებერვალს
უ. შექსპირის
ჰამლეტ
ჰამლეტ—უშანგი ჩხეიძე
ტრაგედია 5 მოქმ. და 11 სურათ. თარგ. ი. მაჩაბელის
დადგმა კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის
მუსიკა პ. ჩაიკოვსკისა.

შაბათს, 5 თებერვალს
ნ. შიუკაშვილის
ამერიკელი ძია
ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით
დადგმა ალ. ახმეტელის.

კვირას, 6 თებერვალს
ნ. აზიანის
დეზერტირკა
კომედია 4 მოქმ.

4—1 ნ. 573

ცირკი
ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
ნ. 580

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
ხუთშაბათს, 3 თებერვალს,
ჩამოვიდა დასის ახალი შემადგენლობა!
არაჩვეულებრივი პროგრამა!
3 უდიდესი განყოფილება! ყველაფერი ახალია!!!
გარდა ამისა მერვე დღე ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატისა ი. ვ. ლებედევის (ძია ვანო) ხელმძღვანელობით ჩამოვიდა და ჭიდაობაში მონაწილეობას იღებს ცნობილი მსოფ. ჩემპიონი ვ. შულცი.
ჭიდაობს სამი წყვილი აუცილებლათ წაიკითხეთ ჩვენი აფიშები.
ადმინ. ხელმ. მ. ი. ტ ა დ ე.

ქ. ოზურგეთში
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ხელის მოწერა მიიღება განყოფილების გამგე
პოლ. ინწკირველთან
3—1
„კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

სახელმწიფო ოპერა

ხუთშაბათს, 3 თებერვალს, მეორე აბონემენტის მე-7 წარმოდგენა
ბოკაჩიო
მონაწილეობენ: ბოკოვა, ვოლჩანეცკაია, მაზოვეცკაია, კანსბურგი, საკოვნინ, დემიანენკო და სხვ
დირიჟორი სახალხო მსახიობი ი. ფალიაშვილი

პარასკევს, 4 თებერვალს, სანდრო ინაშვილის, ვოლჩანეცკაიას, სპრიშევსკაიას და ქუმსიაშვილის მონაწილეობით კარმენ

შაბათს, 5 თებერვალს,
პრემიერა სამსონ და დალილა
დადგმა ა. ეიხენვალდის

ნ. 579

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი

0—22 ნ. 543

უდიდესი წარმატების გამო მეორე კვირაში გრძელდება ჩვენება საქართველოს სახკინმრეწვის სურათისა
ორი მონადირე
ტრაგედია 7 ნაწ., ი. ელეფთერიძის მოთხრ. მიხედვით
დადგმა ა. რ. წუწუნავასი ოპერ. ს. პ. ზაბოზლაევი
1-ლი სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათზე

საუკეთესო სურათი რუდოლფ ვ ლენტინოს და ნიტა ნალდის მონაწილეობით
„სისხლი და სილა“

ანონსი: ამ დღეებში „მონტეცუმას ასული“.

საქართველოს სახკინმრეწვის უახლოესი გამოშვება
„ბელა“ ლერმონტოვის მოთხრობის მიხედვით

საქართველოს სახკინმრეწვის უახლოესი გამოცემა
„ბელა“
რეჟისორი
ვ. ბარსკის
დადგმა
ოპერატორები
ა. პოლიკევიჩი
და ფ. გეგელი
ციკლიდან „ჩვენი დროის გმირი“ ლერმონტოვის მოთხრობის მისედვით
მთავარ როლებში: თინა მაჭავარიანი, ა. თაყაიშვილი,
გ. პროზოროვსკი და ვ. ოგულენსკი

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
348 25—1

'თბ. სახ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სტუდენტთა ტეხნიკური წრე

„ტეხნიკური სექცია“

ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ თბილისის ელექტრო ანაგებთა სამმართველომ სექციას გადასცა მთელ ქალაქში შენობების გეგმების აღების და სათანადო ელ-განათების პროექტების შედგენის საქმე.

გეგმების ასაღებად გამოყოფილია სექციის მიერ რამოდენიმე ჯგუფი სტუდენტებისა, რომელნიც აღჭურვილი იქნებიან სათანადო მოწმობებით.

მოქალაქეთაგან საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ხელის შეწყობა ასაგეგმად მისულ მომუშავეთათვის, რათა დაჩქარებით იქნეს დასრულებული თბილისის კერძო ბინების და დაწესებულებათა განათების მომზადება ზაჰესის ენერგიაზე გადასასვლელად.

ყოველგვარი საკითხის შესახებ, რომელიც დაკავშირებული იქნება აღნიშნულ ამგეგმავების მუშაობასთან, საჭიროა დაუყოვნებლივ ეცნობოს „ტეხნიკურ სექციას“, თავისუფლების მოედანი, თამამშევის ყოფილი ქარვასლა მე-3-ე სართული.

ტეხნიკური სექციის გამგეობა.

1495

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ

ჭიაური მოაწყო ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც მზადდება ყოველგვარი ხის მასალა, გარდა ფიჭვისა.

მსურველთ, როგორც დაწესებულებებს, ისე კერძო პირებს, დაკვეთა შეუძლიათ პარტიობით.

პირობების გაგება შეიძლება ადგილობრივ ქ. სიღნაღში და ჭიაურში, როგორც პირადათ, ისე წერილობით.

სიღნაღის სამაზრ. აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილება.

1502 15—1

ქ. თბ. მე-4 რაიონ. სახ. სასამართ. აღმასრულებელი

პოტემკოვსკი

აცხადებს, რომ 10 თებერვალს შუადღის 12 საათზე, გონჩაროვის ქუჩაზე № 8, ის პირველი **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ოვანეს ბეროევის-ძე ხარიმიანცის შემდეგ შენობებს, რომლებიც შეფასებულია 2.200 მანეთად: 1) სამ სართულიანი სახლი, რომელშიაც არის 11 ოთახი, 4 სამზარეულო და რკინის აივანი ქუჩისკენ; 2) ერთსართულიანი ფლიგელი 4 ოთახით სამზარეულოთი და ფარდულით. ვაჭრობა შესდგება ამ შენობების ადგილას და ჩატარებულ იქნება სამოქ. პროც. კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებში აღნიშნულ მოთხოვნილებების დაცვით. 1500

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 10 თებერვალს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 9 გრაფის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ზაქარია (შაქრო) პინჯარაძის მოძრავ ქონებას: ღვინის კასრებს, მაგიდებს, სკამებს და სხვ. შეფასებულს 487 მანეთად, თბილისის კომუნალურ ბანკის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბან. სახალხო სასამართლოსაგან 3 სექტემბ. 1925 წ. თარიღით, № 3101 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. ნ. 583

სურ-ბორჯომის სახ. სასამ. აღმასრულებელი

ი. ქურდევანიძე

ამით აცხადებს, რომ 11 თებერვალს 1927 წ. დილით 10—12 საათზე ქ. ბორჯომში არისტოკე კაზმარაროვის სახლში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება სხვადასხვა შინაური ავეჯეულობა კუთვნილი მიტუშა კაზმარაროვისა, თანახმად ბორჯომის სახ სასამ. ბრძანებისა მარიამ კაზმარაროვის ვალის დასაკმაყოფილებლად 348 მან. ქვალობაზე.

ვისაც სურს მობრძანდეს და ივაჭროს. 1506

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სილარიბის მოწმობა და შვილის შოთასი მეტრიკული ამონაწერი დავით ბაქრაძეს სახელზე, ჩ. გ. 1499

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 576, ა.-კავკასიის რკინის გზების დამხლავე საცეპტო დან მოცემული ივანე გიორგის-ძე პატარქალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1496

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 365—ისაკ სტეფანის-ძე ყაზარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1499

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1842—ზაქარია დიმიტრის-ძე მამულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1497

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 275 მოცემული წალენჯიხის რაიმილიციის მიერ და მოწმობა სამი ათასი მანეთის ღირებულების მოძრავ ქონებაზე, მოცემული წალენჯიხის თემ-აღმასკომის მიერ სერაპიონ ჯანიას სახელზე, ჩ. გ. 1508

დაიკარგა სამხედრო საღრიცხვო ბარათი, თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი და მეტრიკული ამონაწერი სეგერიანე ლუკას-ძე ხუროძეს სახელზე, ჩ. გ. 1506

დაიკარგა პარტიის საკანდიდატო ბილეთი № 11349, განო ბაკუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1508

დაიკარგა სახლის დავთარი შრომის ქუჩა № 46—ბესარიონ მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 1498

დაიკარგა პირადი სამხედრო წიგნაკი ფ. № 4, № 91 გაცემული დიდი-ჯიხაიშის სამხედრო მაგიდისაგან ბიქტორ ჯგერენაიას სახელზე, ჩ. გ. 1508

დაიკარგა პარტიის მთლიანი მანდატი № 499698, ისაკა სამხარაძის სახელზე, ჩ. გ. 1508

დაიკარგა საანგარიშო წიგნაკი № 47, გაცემული ზჩ. | 2 კანტორის მიერ, თადა ფარულავას სახელზე, ჩ. გ. 1504

დაიკარგა საბინაო დავთარი ოლია კერტეკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1503

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.